რუსეთმა აფხაზეთის „კოზირი„ ისევ ამოქმედა A2
სტილი B4-B5
ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
4 ნოემბერი, ორშაბათი, 2002 წელი. №155
ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### პრეზიდენტობის პირველი კანდიდატი, ვინ იქნება შემდეგი

ქართული პოლიტიკის ბოლოდროინდელ მონოტონურ ცხოვრებას გასულმა კვირამ ინტერესი შესძინა. ოპოზიციური პარტიების მხრიდან ზეწოლის შემდეგ, როგორც იქნა, ცესკო-მ გადაწყვეტილება მიიღო ახალი საკრებულოს შეკრების თაობაზე. გაერთიანებული დემოკრატების ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ კი პირველად ოფიციალურად განაცხადა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი.

A3

## ეკონომიკა

### კეროლ ნევისი: საქართველოს გლობალიზაციის არ უნდა ეშინოდეს - თქვენ სხვა პრობლემები გაქვთ...

ჩვენი გაზეთის სტუმარი ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი -სმიტსონის ინსტიტუტის ანალიტიკურ-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, დოქტორი კეროლ ნევისი გახლავთ. ეს ინსტიტუტი 150 წლის წინათ დაარსდა. ქ-ნი კეროლი სამი კვირის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა და საქართველოს საზოგადო საქმეთა ინსტიტუტში "პოლისი ანალიზის" კურსს კითხულობდა.

A4

## საზოგადოება

### სად წავიდა მილიონი ადამიანი?

*წლის დასაწყისში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგების მიხედვით (რომელიც რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი), საქართველოს მოსახლეობა ოთხ მილიონ-ნახევარზე ოდნავ მეტია. უკანასკნელად ჩატარებული აღწერის მაჩვენებლისგან განსხვავებით, საქართველოს მოსახლეობამ ერთი მილიონით იკლო.*

A6

## სამართალი

### გამოძიება დილემის წინაშე

*საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიაში, უკვე რამდენიმე თვეა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ერთი და იმავე შინაარსის ბარათები მიდის. სხვადასხვა ეროვნების, ასაკის, სქესის, სოციალური წარმომავლობის ადამიანები ედუარდ შევარდნაძეს ერთადერთი პატიმრის, ამჟამად თბილისის მე-5 საპყრობილეში მყოფი 21 წლის ალეკო ლუღუნიშვილის უფლებების დაცვას სთხოვენ.*

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 19 | ☼ |
| ქუთაისი | 21 | |
| ბათუმი | 22 | |
| სოხუმი | 17 | |
| ფოთი | 21 | |
| თელავი | 17 | |
| ზუგდიდი | 20 | |
| გორი | 14 | |
| ახმეტა | 17 | |
| ჭიათურა | 18 | |
| გაგრა | 16 | |
| სამტრედია | 21 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1650 |
| ევრო | 2.1163 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3640 |
| რუბლი | 0.0683 |

# თბილისის საკრებულოს ჭერიც დადგა. თუმცა...



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*თბილისელთა არჩევანი ხუთი თვე იბლოკებოდა*

*დღეს დილით, ზუსტად ცხრა საათზე, თბილისის მერიის სხდომათა დარბაზი დედაქალაქის ახალი მოწვევის საკრებულოს წევრებით, უამრავი ჟურნალისტითა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით გადაიჭედება. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ თბილისის ახალი მოწვევის საკრებულო გახდება დღევანდელი დღის მთავარი თემა – თავისი მოულოდნელობებითა და მოსალოდნელი სკანდალებით.*

თამარ მჭედლიშვილი

### ის, რაც დღეს შეიძლება მოხდეს

როგორც "24 საათი" არაერთგზის წერდა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2 ივნისის არჩევნების შედეგების ხელახალმა გადათვლამ პარტიათა პირველადი მონაცემები არ შეცვალა.

თბილისის საკრებულოში მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდა: **"ლეიბორისტული პარტია" - 15 მანდატი, "ნაციონალური მოძრაობა" - 14, "ახალი მემარჯვენეები" - 7, "მრეწველები" - 4, "ზურაბ ჟვანიას გუნდი" - 4, "აღორძინება" - 3, "ბლოკი ერთობა" - 2 მანდატი.**

თბილისის საკრებულოს პირველ სხდომაზე თავმჯდომარედ, სავარაუდოდ, "ნაციონალების" ლიდერს მიხეილ სააკაშვილს აირჩევენ. ამის თაობაზე შეთანხმებას "ნაციონალურმა მოძრაობამ" და "ლეიბორისტებმა" ჯერ კიდევ ივნისში მიაღწიეს.

შალვა ნათელაშვილის თქმით, "ლეიბორისტები" საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე მიხეილ სააკაშვილს დაუჭერენ მხარს, რადგან მათ "**დღეში ათი პარასკევი არ აქვთ, განსხვავებით ზოგიერთი პოლიტიკური ელემენტებისაგან**". ნათელაშვილი ასევე მიიჩნევს, რომ "**საკრებულოში და ქალაქის მთავრობაში თანამდებობები ერთმა და ორმა პარტიამ არ უნდა მიიღოს, რადგან საკრებულო პოლიტიკური დაპირისპირების არენად გადაიქცევა**".

თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ თავმჯდომარის გარდა, საკრებულოში სხვა საკვანძო პოსტებიც "მოიპოვება". "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერის, დავით ბერძენიშვილის თქმით, "**საკრებულოში შესულ პარტიებს შორის, გარდა საკრებულოს თავმჯდომარის პოსტისა, სხვა საკითხებზე კონსულტაციები არ დაწყებულა. შესაბამისად, დღეს ვაჭრობა არა მხოლოდ თავმჯდომარის სკამის ირგვლივ გაიმართება**".

თბილისის საკრებულოში სულ 49 წევრია. მიხეილ სააკაშვილის საკრებულოს თავმჯდომარედ დამტკიცებისთვის "ნაციონალებისა" და "ლეიბორისტების" ხმები სრულიად საკმარისია, თუმცა ცნობილია, რომ სააკაშვილს მხარს დაუჭერენ "დემოკრატებიც".

პარტიის წარმომადგენლების თქმით, "**თუ ყველაფერი გართულებების გარეშე ჩაივლის, დღეს, შესაძლოა, ფრაქციების თავმჯდომარეები და საკრებულოს კომისიებიც დაამტკიცონ**".

### ის, რაც, ალბათ, დღეს მოხდება

და მაინც, საკმაოდ რთულია იმის თქმა, რომ თბილისის ახალი მოწვევის საკრებულოს ირგვლივ ამტყდარი ხუთთვიანი პოლიტიკური ვნებათაღელვა დღეს ჩაცხრება. ამის თქმის საშუალებას არც პარტიათა ნაწილი და არც თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობა იძლევა.

სხვათა შორის, პარტიული ომების ამგვარი წყნარი დასასრულის იმედი უკვე ორი დღის წინ გადაგვეწურა, როცა "სოციალისტურმა" და

გაგრძელება A2 გვერდზე

## პრეზიდენტის იმპიჩმენტის შანსი

### პრეზიდენტის და სახელმწიფო მინისტრის დასუსტების ყველაზე ეფექტური გზა ბიუჯეტის ჩაგდებაზე გადის

ბადრი კოპლატაძე

საპარლამენტო ფრაქციებმა გასულ კვირას მთავრობას კიდევ ერთხელ შეუტიეს. ოთხი ფრაქციის მიერ მოწყობილ საკომიტეტო მოსმენაზე სახელმწიფო მინისტრი ისევ აღმოჩნდა კრიტიკის ობიექტი. თუმცა, ამჯერად მის მაგივრად ფინანსთა მინისტრს მოუწია პრეტენზიებზე პასუხის გაცემა. მიუხედავად იმისა, რომ ავთანდილ ჯორბენაძე, ჯერჯერობით, ახერხებს პირდაპირი დებატებისთვის თავის არიდებას, სულ ცოტა ხანში მას მაინც მოუწევს დეპუტატებთან საუბარი. ბიუჯეტის მორიგმა ჩავარდნამ და სამთავრობო ბრძანებებში მოქალაქეთა კავშირზე აპელირებამ საბოლოოდ ის შედეგი გამოიწვია, რაც დღეს არის - საპარლამენტო ფრაქციათა ნაწილი მის იმპიჩმენტს ითხოვს.

ამის პარალელურად "აღორძინებამ" ისარგებლა იმით, რომ ედუარდ შევარდნაძემ კვლავ მომგებიანად ჩათვალა ასლან აბაშიძესთან დაპირისპირება და თვითონაც გამწვავებაზე წავიდა. ასლან აბაშიძე და მისი მომხრეები პრეზიდენტ შევარდნაძის იმპიჩმენტის საკითხს სვამენ. შეიქმნა ერთი შეხედვით კურიოზული სიტუაცია.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ვევევ დღეში დატრიალებული დედამიწა



*ჭუმბერ ლეჟავამ დედამიწის გარშემო ველოსიპედით მოგზაურობა დაასრულა.*

## ბიუჯეტი კიდევ ერთხელ გაირღვა

### მთავრობა აჭარიდან მილიონების გადმორიცხვას და უცხოურ გრანტებს უშედეგოდ ელის

*საქართველოს მთავრობას ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული ციებ-ცხელების მორიგი შეტევა ეწყება. ბიუჯეტის ცხრა თვის გეგმის შესრულების ახლახან ჩავლილ საკმაოდ ხმაურიან განხილვებს ორიოდე დღეში მეათე და, მთლიანობაში, ათი თვის შედეგების შეფასებები შეცვლის. წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, მთავრობა ირწმუნება, რომ საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულდა, მაგრამ მთლიანად ბიუჯეტის შესრულებაზე გადაჭრით ვერაფერს ამბობს. ექსპერტების ვარაუდით კი, ოქტომბრის ბიუჯეტი აჭარიდან გადმოსარიცხი თანხებისა და მიუღებელი გრანტების გათვალისწინებით, მინიმუმ, 10 მილიონი ლარით გაირღვა.*

გვანცა კვინიკაძე

ოქტომბრის ბიუჯეტის საგეგმო პარამეტრების შესრულების შესახებ ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტს ჯერ არ მიუღია. როგორც სახაზინო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, დავით რამიშვილმა "24 საათს" განუცხადა, ხაზინა შესაბამისი უწყებებიდან ინფორმაციას ორშაბათიდან ელის. წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით კი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი აცხადებს, რომ ოქტომბერში საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულდა, თუმცა, კონკრეტულ ციფრებს ჯერ ვერ ასახელებს. სამაგიეროდ, უკვე თითქმის დაზუსტებულია არასაგადასახადო შემოსავლების ოდენობა – გიგოლაშვილის თქმით, ამ კუთხით სახელმწიფო ბიუჯეტში, დაახლოებით, ოთხი მილიონი ლარი შევიდა და გეგმაც შესრულდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## თურქეთის არჩევნებში წარმატებას ისლამისტებს უწინასწარმეტყველებენ

*თურქეთის ახლანდელი პრემიერ-მინისტრი, ბულენთ ეჯევითი პარლამენტში პირველად 1957 წელს აირჩიეს. მას შემდეგ იგი ორჯერ იყო მთავრობის მეთაური, ახლა კი მისი დღეები დათვლილია. დღეს ეჯევითის პარტიას არჩევნებში სრულ ფიასკოს უწინასწარმეტყველებენ, ისევე როგორც ყველა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ახლანდელ პარლამენტშია წარმოდგენილი.*

შოთა უტიაშვილი

არჩევნების წინ თურქეთში ჩატარებული სოციოლიგიური გამოკითხვები უჩვეულო ვითარებაზე მიანიშნებდა, ქვეყნის მოსახლეობის 70 პროცენტი ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეა, ამავე დროს, ხალხის უმეტესობის სიმპათია ისლამისტური "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიის მხარესაა. ამიტომაც, ისლამისტების

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ნავთობპოლიტიკა
B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 სტილი B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო განყოფილება აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფ ძებნილთა დასაკავებლად ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებას ვერ ახერხებს, რადგან, შესაძლოა, ამან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გართულება გამოიწვიოს..

აფხაზეთის შს-ს მიერ გადამოწმებული ინფორმაციით, 12 ძებნილი თავს აფარებს აფხაზეთის ტერიტორიას, ხოლო 11 ძებნილი, სავარაუდოდ, კოდორის ხეობაში იმყოფება, სადაც საკმაოდ მძიმე კრიმინოგენული სიტუაციაა შექმნილი.

"არსებული ვითარებიდან გამომდინარე, აფხაზეთში მყოფ ძებნილთა დაკავებისა და ზუგდიდში გადაყვანის შემთხვევაში, მათმა თანამზრახველებმა, დაკავებულების გათავისუფლების მოთხოვნით, შესაძლოა, მძევლები აიყვანონ, რაც კონფლიქტის პროვოცირების მიზეზი გახდება," - აცხადებენ მილიციის თანამშრომლები.

აფხაზეთის შს სამინისტროს მიერ, ძებნაში მყოფი 33 დამნაშავიდან, 20 განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის იძებნება. **"ინტერ-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის იმერეთის განყოფილება გაქურდეს. მძარცველებმა, სხვა ტექნიკასთან ერთად, იმერეთის საბაჟოს ექსპორტ-იმპორტის შესახებ ბოლო 8 წლის მასალები და დოკუმენტაცია წაიღეს.

საბაჟოს უფროსის გეგი გრიგოლაშვილის თქმით, ეს ქურდობა მიზანმიმართული იყო, რადგან «საბაჟო არაერთ საქმოსანს უქმნის პრობლემებს".

პოლიციის მონაცემებით, საბუთებთან ერთად წაღებულია, დაახლოებით, 5 000 დოლარის ღირებულების სხვადასხვა სახის ტექნიკა. **"ინტერ-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** 4-6 ნოემბერს ევროსაბჭოს ეგიდით, სტრასბურგში გაიმართება პენიტენციალური სისტემის რეფორმისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე პაატა მხეიძე. იგი კონფერენციაზე გამოვა მოხსენებით, რომელშიც დაწვრილებით ისაუბრებს საქართველოში პენიტენციალურ სისტემაში არსებულ პრობლემებზე. იგი იმედოვნებს, რომ კონფერენციაზე მიღწეული იქნება შეთანხმებები, რომელთა თანახმად, შესაძლოა, საქართველოს გარკვეული სახის დახმარება გაეწიოს. **"კავკას-პრესი".**







# თბილისის საკრებულოს ჭერიც დადგა. თუმცა...

პირველი გვერდიდან

"სახალხო" პარტიებმა ცალსახად გადაწყვიტეს, სასამართლოსთვის ეთხოვათ არა იმდენად ახალი შედეგების ოქმის გაუქმება, არამედ თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაშლა და მისი წევრების სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯა.

ორივე პარტია აცხადებს, რომ ჯუმბერ ლომინაძეს ახალი მოწვევის საკრებულოს სხდომის ერთპიროვნულად დანიშვნის არანაირი უფლება არ ჰქონდა (**"შემეშალა"**, - იტყვის იგი მოგვიანებით, მაგრამ ჯაჭვური რეაქცია უკვე წასულია და რა შედეგს მოუტანს იგი, პირველ რიგში, თბილისს, საკმაოდ ძნელად პროგნოზირებადია...)

ასე მაგალითად, "სოციალისტური პარტიის" წევრები დღეს დილიდან უზენაესი სასამართლოს წინ შეჯგუფდებიან და კანცელარიის გახსნისთანავე მის თანამშრომლებს მზა-მზარეულ სარჩელს ჩააბარებენ. როგორც სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ვახტანგ რჩეულიშვილი აცხადებს, სარჩელს ისინი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ შეიტანენ.

**"სააკაშვილისა და ნათელაშვილის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რადგან მათ არჩევნები ნამდვილად მოიგეს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა კი ამჯერადაც შედეგები გაყალბებებით დაამტკიცეს. ცესკო-ს წევრებს შორის ბევრი მექრთამეა. ბევრს კი, უბრალოდ, ეშინია ზოგიერთის",** - ამბობს იგი.

მეტიც: რჩეულიშვილი აცხადებს, რომ, სამშაბათის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სოციალისტური პარტია ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს დააყენებს, რადგან **"ჩვენ ამ ხალხს მომავალ არჩევნებში ვეღარ ვენდობით"**.

უზენაეს სასამართლოში სარჩელის შეტანას ხმების გადათვლისა და შედეგების გაუქმების მოთხოვნით სახალხო პარტიაც გეგმავს. როგორც პარტიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე აცხადებს, **"თვითმმართველობის არჩევნებიც ისეთივე გაყალბებებით ჩატარდა, როგორც წინა წლებში. სააკაშვილი მიჩვეულია სხვის ხარჯზე გამარჯვებების მოპოვებას და ამაში ცესკო ეხმარება"**.

ვის ან რითი ეხმარებიან კომისიის წევრები, ეს მაშინ გაირკვევა, თუკი უზენაესი სასამართლო სარჩელს წარმოებაში მიიღებს. თუმცა შინაურულად უკვე ასახელებენ ერთ ადამიანს, რომელმაც ასეთი დახმარება **"ზოგიერთ პოლიტიკოსს გაუწია"** – ეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ლომინაძეა, რომელმაც კანონის დარღვევით, ისე დანიშნა ახალი საკრებულოს სხდომა, რომ სხვებს აზრსაც კი არ დაეკითხა.

სხვათა შორის, როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურისტებმა გვამცნეს, შედეგების ოქმის დამტკიცების შემდგომ რამდენიმე პროცედურა უნდა ჩატარებულიყო: პირველი - კანდიდატების რეგისტრაცია უკვე საკრებულოს წევრთა სტატუსში, და მეორე - მათთვის მანდატების გადაცემა. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაენიშნათ კომისიის წევრებს სხდომა.

ამ პროცედურის შესასრულებლად კანონი მხოლოდ ხუთდღიან ვადას ითხოვდა. ხუთი დღე და... შეიძლება, საქმე სულ სხვაგვარად შემოტრიალებულიყო, "სოციალისტებს" გასაჩივრების უფრო ნაკლები საბაბი ჰქონოდათ და საკრებულოს მუშაობაც დაეწყო.

ბუნებრივია, თუკი უზენაესი სასამართლო ამ სარჩელს წარმოებაში მიიღებს (სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილი ეჭვობს, რომ **ლადო ჭანტურიას უწყება ასეთ ფუფუნებაზე უარს ნამდვილად ვერ იტყვის**), მაშინ საკრებულოს სხდომა ძალიან სწრაფად შეწყვეტს მუშაობას. აი, მერე რა მოხდება დედაქალაქში, არავინ უწყის.

მოვლენების ამგვარ განვითარებას არ გამორიცხავს არც საპარლამენტო ფრაქცია "მრეწველების" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე და აცხადებს, "**რომ საკრებულოს გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი კიდევ არ არის დასრულებული**".

მისი თქმით, «მრეწველთა" წარმომადგენლები, საკრებულოში რიცხობრივი სიმცირის მიუხედავად, არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან ალიანსში შესვლას წინასწარ არ გეგმავენ, რადგან **საკრებულოში ობიექტური და ნეიტრალური ხაზის გატარებას შეეცდებიან**. ზურაბ ტყემალაძე არ გამორიცხავს, რომ "მრეწველთა" წარმომადგენლებმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე მიხეილ სააკაშვილს დაუჭირონ მხარი, თუმცა იქვე აცხადებს, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს პირველ სხდომაზე ვერ აირჩევენ, რადგან სააკაშვილი თავმჯდომარის პოსტზე საკუთარ კანდიდატურას დეპუტატის მანდატის დატოვებამდე იურიდიულად ვერ წარადგენს.

### ამ ორომტრიალში პარტიული სიები შეიცვალა

საინფორმაციო სააგენტო "მედია-ნიუსის" ინფორმაციით, საკრებულოში მოხვედრილი პარტიების დეპუტატთა სიებმა 5 თვის განმავლობაში გარკვეული ცვლილება განიცადა. ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალამ ცნობილი სახეები და პოპულარული ადამიანები მხოლოდ საარჩევნო კამპანიისათვის გამოიყენა.

უკვე ცნობილია, რომ "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენლები, პარლამენტარები გიორგი ბარამიძე, ელენე თევდორაძე და ელდარ შენგელაია საკრებულოს წევრები არ იქნებიან. მათ ადგილს დედაქალაქის თვითმმართველობის ორგანოში შალვა ოგბაიძე, გიორგი გოდაბრელიძე და სოსო ეგუტია დაიკავებენ. `დემოკრატებიდან" საკრებულოს მეოთხე წევრი ძველი საკრებულოს ფრაქცია "თბილისის" თავმჯდომარე დავით ხუციშვილი იქნება.

"ნაციონალური მოძრაობის" პირველადი სიები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. "ნაციონალების" რიგებს გამოაკლდა კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე რევაზ შავიშვილი. იგი სხვა პარტიის დაფუძნებას აპირებს.

"ნაციონალურმა მოძრაობამ" საკრებულოში 14 მანდატი მოიპოვა შემდეგი შემადგენლობით: მიხეილ სააკაშვილი, ლევან მეტრეველი, დავით ბერძენიშვილი, ბესო ჯუღელი, რომან გოცირიძე, ირაკლი ოქრუაშვილი, ზვიად ძიძიგური, ნანული ქაჩიბაია, გიორგი არველაძე, ჟანი კალანდაძე, კობა ბექაური, ლევან ჭკუასელი, ვახტანგ გოძიაშვილი და კოტე ჩოლოყაშვილი.

"ლეიბორისტულმა პარტიამ" თბილისის საკრებულოში ყველაზე მეტი, 15 მანდატი მიიღო. ცნობილი სახეებიდან ლეიბორისტთა სიაშია ზურაბ ჟვანია და ავთანდილ ტყებუჩავა (მან ცოტა ხნის წინათ პარტია დატოვა).

"ახალმა მემარჯვენეებმა" თბილისის საკრებულოში შვიდი მანდატი მოიპოვეს; "ახლების" სიით საკრებულოში ვიხილავთ ლევან გაჩეჩილაძეს, ბიძინა გეგიძეს, მზია თოთლაძეს, ნონა გაფრინდაშვილს, გიგა ბათიაშვილს, მიხეილ ჯიბუტს და ვახტანგ კახიძეს.

"მრეწველთა" ფრაქციიდან საკრებულოში შევიდნენ თბილისის ყოფილი მერი ბადრი შოშიტაიშვილი, მოჭიდავე გურამ საღარაძე, რევაზ აიწურაძე, გიორგი ნიკოლაძე.

როგორც ცნობილია, "აღორძინების" სამკაციან სიაში ვერ მოხვდა თბილისის საკრებულოს ყოფილი წევრი ჯონდი ბაღათურია.

### და ბოლოს...

"24 საათი" შეეცადა, დღევანდელი მოვლენების განვითარება ეწინასწარმეტყველა, მაგრამ ნებისმიერი დაგვეთანხმება, რომ პოლიტიკაში პროგნოზი ყველაზე უმადური საქმეა. მით უფრო, როცა თავად პოლიტიკოსებმა არ უწყიან, რას სჩადიან...

# რუსეთმა აფხაზეთის „კოზირი„ ისევ აამოქმედა

*რუსეთი გაერო-შიც აღარ ცდილობს ითამაშოს "ნეიტრალური მესამე მხარის" როლი, რომელმაც შეიძლება აფხაზურ კონფლიქტში დადებითი როლი შეასრულოს. დღეს რუსეთი, კიდევ ერთხელ, მთელი მსოფლიოს წინაშე აფიქსირებს, რომ აფხაზეთი ერთ-ერთი კოზირია, რომლის გამოყენებასაც საქართველოსთან ურთიერთობაში იგი კვლავაც შეეცდება...*

***"რუსეთის მხრიდან აგრესიის საფრთხე მოხსნილია",*** *- ასე ახსნა მირიან გოგიაშვილმა გასულ პარასკევს საქართველოს თავდაცვისთვის 11 მილიონის გამოუყოფლობა. ეს განცხადება ფინანსთა მინისტრმა* ***"საკუთარი დასკვნების საფუძველზე"*** *გააკეთა. თავისთავად, განცხადება ღიმილისმომგვრელია, თუმცა, ჩვენთვის დღეს საინტერესოა ტენდენცია - ბოლო პერიოდში რუსეთ-საქართველოს შორის განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს მთავრობაშიც კი შექმნა ილუზია, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მთავარი საფრთხე გადავლილია. არადა რეალობა და რუსეთის ბოლოდროინდელი ნაბიჯები საწინააღმდეგოზე მეტყველებს...*

თამარ ხორბალაძე

ამ შემოდგომაზე რუსეთ-საქართველოს შორის განვითარებული მოვლენებიდან რამდენიმე "ათვლის წერტილი" შეიძლება მოინახოს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გახლდათ პუტინის ცნობილი განცხადება-მუქარა, რამაც პოლიტიკურ რუქაზე ინტერესთა გამყოფი ხაზების გამკვეთრება გამოიწვია. მაშინ რუსეთმა ვერ მოახერხა საქართველოს ჩართვა ანტიჩეჩნურ ოპერაციებში. მაშინ საქართველომ თავიდან აიცილა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, კონკრეტულად პანკისში, სამხედრო მოქმედებების გადმოტანა.

საქართველო, ცხადია, ისევე როგორც რუსეთი, აცნობიერებდა და, იმედია, დღესაც აცნობიერებს, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადმოლახვის შემთხვევაში, ჩეჩნური ომი პანკისის ან სხვა "რეგიონულ" ჩარჩოებში აღარ მოთავსდება.

მიუხედავად იმისა, რომ იმ ეტაპზე საფრთხის აცილება მოხერხდა, რუსეთს არ შეუწყვეტია საქართველოს ჩეჩნურ ომში ჩაბმის აქტიური მცდელობები, რაც ჩეჩენი პატიმრების ექსტრადიციის დაჟინებული მოთხოვნითაც გამოიხატა. ხუთი ჩეჩნის ექსტრადიციის ფაქტმა, გარდა იმისა, რომ ეს რუსეთისთვის გაკეთებული ჟესტი გახლდათ, საქართველოს ხელისუფლებას კიდევ უფრო კარგად დაანახა, თუ რა მყიფეა ჩეჩნებთან საქართველოს მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა. ამ ფონზე კიდევ უფრო გასაგები ხდება რუსეთის დაჟინება დანარჩენი პატიმრების ექსტრადიციასთან დაკავშირებითაც, რისი დაბლოკვაც ევროსასამართლომ ამ ეტაპზე მოახერხა.

თუმცა, რუსეთს ისევ რჩება ზემოქმედების სხვა საშუალებები, მაგალითად, აფხაზეთი.

პუტინის ცნობილი მუქარის შემდეგ, მოგეხსენებათ, უკვე ხმამაღლა და გადაჭრით დაფიქსირდა საქართველოს მიმართ ამერიკული ინტერესი. ის, რომ ამერიკის ინტერესი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაშიც განსაკუთრებულად გამოიკვეთა, ნამდვილად არ გახლდათ შემთხვევითი. აშშ, ცხადია, იმთავითვე აცნობიერებდა, რომ პანკისური ანტიკრიმინალური ოპერაციის დასრულების შემდეგ, საქართველოში არსებული ტერიტორიული კონფლიქტები, განსაკუთრებით კი - აფხაზეთის თემა, რუსეთისთვის საქართველოზე ზემოქმედების ყველაზე ეფექტურ ბერკეტად დარჩებოდა.

მაშინ, როცა საქართველო პანკისის ხეობაში "წარმატებულ ოპერაციას" ახორციელებდა და ჯერ კიდევ არ იყო გაციებული რუსული ავიაციის მიერ დაბომბილი ქართული ტერიტორიები; მაშინ, როცა შეტაკებების საფრთხე პანკისზე მეტად კოდორის ხეობის მისადგომებთან იქმნებოდა, აშშ-მ აფხაზეთის საკითხში სპეციალური წარმომადგენელი რუდოლფ პერინა დანიშნა და საქართველოს აფხაზეთის დარეგულირების საკითხში საკუთარი ბერკეტების ამოქმედების პირობა მისცა.

საქართველოსთვის, რომელსაც, რა დასამალია და, გაერო-ში საინფორმაციო ომი, კარგა ხანია, ფაქტობრივად, წაგებული ჰქონდა, აშშ-ს მხარდაჭერა მნიშვნელოვანი გახლდათ, როგორც გაერო-ზე გარკვეული ზემოქმედების (მისი გააქტიურების მიზნით), ისე რუსეთზე ზეწოლის თვალსაზრისით.

თუმცა, აფხაზეთის პრობლემის სასწრაფო და რადიკალური გადაწყვეტის იმედს იმავე რუდოლფ პერინას განმარტებამ გადაასხა ცივი წყალი.

მან, თბილისში ვიზიტის დროს, განაცხადა, რომ აშშ-სგან არ უნდა ველოდოთ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების გაერო-სეული გეზის კარდინალურ ცვლილებას. ცხადი გახდა, რომ ვაშინგტონი გაერო-ს მიერ შემუშავებული "თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ" დოკუმენტის ანუ ე.წ. ბოდენის დოკუმენტის განხილვაზე და მის ამოქმედებაზე აკეთებდა აქცენტს.

პერინას მოლაპარაკებათა პროცესში ჩართვამდე, ოფიციალური რუსეთი ამ დოკუმენტისადმი უარყოფით დამოკიდებულებას არ ამჟღავნებდა.

მაშინ რუსეთი "მხარს უჭერდა" დოკუმენტს და მისი განხილვის შეფერხების მთავარ მიზეზად აფხაზური მხარის სასტიკი უარი სახელდებოდა (ცხადია, ყველა აცნობიერებდა, რომ აფხაზური უარი რუსული ზურგით იყო განპირობებული, მაგრამ დიპლომატები ამაზე ოფიციალურად, რა თქმა უნდა, არ საუბრობდნენ)

თუმცა, ამ პერიოდშიც, რუსეთის მხარე აქტიურად აგზავნიდა საკუთარი მთავრობის წარმომადგენლებს აფხაზეთში და ეკონომიკურ კავშირებს ამყარებდა, რითიც დემონსტრაციულად არღვევდა მის მიერვე ხელმოწერილ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

ამ პერიოდში იგივე აშშ-სა და ინგლისის მეცადინეობით, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების მიმართულებით შედარებით გააქტიურდა გაერო.

დღეს უნდა შემდგარიყო გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც აფხაზეთის საკითხი უნდა განხილულიყო. წინასწარი ინფორმაციით, მიღწეული იყო შეთანხმება წევრ-ქვეყნებს შორის იმის თაობაზე, რომ გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენებაში და უშიშროების საბჭოს დასკვნაში ე.წ. ბოდენის დოკუმენტის განხილვის აუცილებლობაზე იქნებოდა საუბარი. გარდა ამისა, იგეგმებოდა იმ შესაძლო ზეწოლის დეტალების განხილვა, რომელიც აფხაზურ მხარეს "ბოდენის დოკუმენტის" განხილვას აიძულებდა.

რუსეთმა ამ საკითხების განხილვა კიდევ ერთხელ დაბლოკა, რასაც განხილვის გადადება მოჰყვა.

ორმაგი სტანდარტები, რომლითაც რუსეთი ტრადიციულად მოქმედებს, გასულ კვირას კიდევ რამდენჯერმე დადასტურდა. მაგალითად, მაშინ, როცა საქართველოში რუსეთის ელჩმა კითხვას - აქვს თუ არა რუსეთს უფლება, მოითხოვოს საქართველოსგან იჩქერიის წარმომადგენლობის გაუქმება მაშინ, როცა თავად აფხაზეთის წარმომადგენლობას "ინახავს", საკმაოდ მოურიდებლად უპასუხა, რომ **"ტერორისტებსა და სეპარატისტებს შორის დიდი სხვაობაა"...**

გაერო-ში აქტიურობით და მსგავსი განცხადებებით, რუსეთმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება მნიშვნელოვნად (თუ მთლიანად არა) დამოკიდებულია მის განწყობაზე. მიუხედავად იმისა, რომ, ოფიციალური ინფორმაციით, გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა შემდგომი კონსულტაციების შედეგად რუსეთის "დაყოლიებამდე" გადაიდო, ცხადია, რომ სერიოზული პოლიტიკური დათმობების, ან სერიოზული პოლიტიკური ზეწოლის გარეშე, ამ პოზიციის ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# პრეზიდენტობის პირველი კანდიდატი, ვინ იქნება შემდეგი

ეკა კვესიტაძე

ქართული პოლიტიკის ბოლოდროინდელ მონოტონურ ცხოვრებას გასულმა კვირამ ინტერესი შესძინა. ოპოზიციური პარტიების მხრიდან ზეწოლის შემდეგ, როგორც იქნა, ცესკო-მ გადაწყვეტილება მიიღო ახალი საკრებულოს შეკრების თაობაზე. გაერთიანებული დემოკრატების ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ კი პირველად ოფიციალურად განაცხადა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი.

პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა განსაკუთრებული დატვირთვა მისცა ახალი პარტიის პირველ ყრილობას და ის განსხვავებულ ფორმატში წარმართა. ერთი კვირის მანძილზე ყოველ დღე იმართებოდა თემატური ფორუმები სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის, განათლებაზე, ეკონომიკაზე და ეროვნულ უსაფრთხოებაზე. რაც ქართული პოლიტიკისათვის აქამდე უცნობი, საერთო ეროვნული კონვენტით დამთავრდა, პარტიის შესაძლებლობების, მიზნებისა და ამბიციების პრეზენტაციიით.

ამბიციები კი ასე ჟღერდა – ჩვენ შევძლებთ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების მოგებას.

ჟვანიას ამ განცხადებას რამდენიმე ადრესატი ჰყავდა. პრეზიდენტი, ოპოზიციის ლიდერები, ამომრჩეველი და დასავლეთი.

საქართველოში შევარდნაძის მმართველობის ბოლო ათწლეულის განმავლობაში თანდათან გაიდგა ფესვი დაუნგრეველმა სტერეოტიპმა - შევარდნაძეს ალტერნატივა არ ჰყავს და მან თავად უნდა დატოვოს თავისი შემცვლელი. ეს სტერეოტიპი დღემდე უზარმაზარ გავლენას ახდენდა რიგითი ქართველის პოლიტიკურ ცნობიერებაზე, ისევე, როგორც პოლიტიკოსებისა და თავად პრეზიდენტის მიდგომებზე და ქმედებებზე.

ამ სტერეოტიპის სიმყარე ქართველმა პოლიტიკოსებმა არაერთხელ დაამტკიცეს, პრეზიდენტის ქოლგის ქვეშ ყველაზე საპატიო ადგილისათვის ბრძოლით. მისი დანგრევა პირველად მიხეილ სააკაშვილმა შეძლო, რომელიც ბოლომდე გაემიჯნა პრეზიდენტს, მასთან დასაბრუნებელი ყველა ხიდი დაწვა და საკუთარი თავი ალტერნატიულ ძალად გამოაცხადა.

ამ სტერეოტიპის თანდათან დანგრევა მოახერხეს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ და ახალმა მემარჯვენეებმაც, თუმცა, გაცილებით დიდი დროისა და ფიქრის საფასურად.

პრეზიდენტთან დაკავშირებული ილუზიები ჟვანიასა და გამყრელიძეს მხოლოდ მაშინ დაემსხვრათ, როცა შევარდნაძემ აშკარად აჩვენა ჯერ ერთს, მერე კი მეორეს, რომ არჩევანს მათ ალტერნატიულ ძალაზე აკეთებდა, რამაც ორივე ლიდერი აიძულა, პოლიტიკაში დამოუკიდებელი გზების ძიება დაეწყოთ.

მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ამ სტერეოტიპის ყველაზე დიდი მსხვერპლი თავად შევარდნაძეა, რომელიც სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ მომავალი პრეზიდენტი მან უნდა აირჩიოს და არა ხალხმა.

ჟვანიას მიერ გაკეთებული განცხადება საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მზაობაზე, პირველ რიგში, გამოწვევა იყო შევარდნაძისთვის (ჟვანია, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს საკონტაქტო არხები პრეზიდენტთან, დაელოდება შევარდნაძის რეაქციას).

ეს განცხადება არანაკლები გამოწვევა იყო სხვა პარტიული ლიდერებისთვისაც და, ალბათ, ყველაზე მეტად, სააკაშვილისთვის. ის ასევე გამოცდა იქნება იმ პარტიული დიალოგის თუ თანამშრომლობისა, რომელიც რამდენიმე ხნის წინ, ჟვანიას აქტიური მონაწილეობით, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას შორის დაიწყო. სააკაშვილის მსგავსად, ამ დიალოგში მონაწილე სხვა ლიდერებისთვის, პარლამენტის ყოფილი სპიკერის ამბიცია, შესაძლოა, გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს, მაგრამ არა ზედმეტად მაღალი დოზით. ირინა სარიშვილ-ჭანტურიას პრეზიდენტობის პრეტენზია, ბუნებრივია, ვერ ექნება, რადგან ის ყველანაირ ობიექტურ საფუძველს იქნება მოკლებული, ისევე, როგორც - ტრადიციონალისტ აკაკი ასათიანს. ახლების ლიდერს დათო გამყრელიძეს სერიოზული ამბიციები აწუხებს, მაგრამ მის ამბიციას, სავარაუდოდ, ქვეყნის მეორე ან მესამე პირის თანამდებობაც დააკმაყოფილებს. რაც შეეხება სააკაშვილს, ნაციონალური მოძრაობის ქარიზმატულ ლიდერში უკვე აშკარად იკითხება ქვეყნის პირველკაცობაზე პრეტენზია, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე მას ჯერ გახსნილად და საჯაროდ არ უსაუბრია. სააკაშვილისათვის ჟვანია ყოველთვის ნომერი პირველი კონკურენტი იყო და პირიქით. ამიტომაც ვერ მოხერხდა მათი ერთ პარტიაში ყოფნა და ეს უკვე ვერასოდეს მოხერხდება.

მასების გულის მომგები და პოპულარული სააკაშვილი გათვლას ყოველთვის ერთ რამეზე აკეთებდა - ჟვანია, მართალია, ძალინ ჭკვიანია, მაგრამ არაქარიზმატულია და ხალხს არ უყვარს.

ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, მხოლოდ სააკაშვილს არ ეკუთვნის. დიდი ხნის განმავლობაში ქართული საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი ასე ფიქრობდა და, შესაძლოა, ასე ფიქრობს ახლაც.

და, ალბათ, ყველაზე მთავარი, რაც ჟვანიამ კონვენტზე გაჟღერებული განცხადებით გააკეთა, ეს იყო პირველი სერიოზული პროტესტი ამ მოსაზრების მიმართ. პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ გამოწვევა მიიღო. დღეს ის აცხადებს, რომ ის არის ძალა, რომელსაც საპრეზიდენტო არჩევნების მოგება შეუძლია.

როგორ მიიღებს საზოგადოება ჟვანიას ამ განცხადებას, ძნელი სათქმელია. უბრალო მოქალაქეებისთვის ის ახლობელი არ არის. ის არ არის ის პოლიტიკოსი, რომელიც ერთ-ერთი მათგანია. მართლია, ჟვანიას სიდინჯემ, ინტელექტმა და ორატორობის ხელოვნებამ უკვე დაატყვევა თბილისის გავლენიანი საზოგადოება, ეგრეთ წოდებული "ოფიონიონ მეიკერები", მაგრამ მას სერიოზული სამუშაო აქვს უბრალო ამომრჩეველთან, რომელიც სამართლიანი არჩევნების პირობეში, წყვეტს, თუ ვინ მოიგებს არჩევნებს.

ძნელი სათქმელია, აქვს თუ არა პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ის პოლიტიკური რესურსი, რითაც ამ ადამიანების მიზიდვას შეძლებს. თავად ჟვანიას რომ ჰკითხოთ, ეს მას შეუძლია და, ალბათ, პირველი განცხადებაც, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მზადყოფნაზე სწორედ იმის მანიშნებელია, რომ პარლამენტის ყოფილი ლიდერი ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას უკვე დაიწყებს.

რაც შეეხება დასავლეთს, ამერიკის გავლენიანი წრეებისათვის ჟვანიას განცხადება სერიოზული სიგნალი იქნება. ამ წრეში პარლამენტის ექს-სპიკერს სერიოზული გავლენა აქვს და მას ყოველთვის განიხილავდნენ, როგორც შევარდნაძის ერთ-ერთ ყველაზე სასურველ შემცვლელს.



# ხელისუფლებას იმპიჩმენტის არ ეშინია, რადგან ის... თვითმკვლელობას ირჩევს

*ბოლო პერიოდში ქართულ პოლიტიკაში ერთბაშად შემოჭრილმა საიმპიჩმენტო მოძრაობამ ლამის ყველა სხვა საკითხი დაჩრდილა. გადაყენებით ემუქრებიან პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრს, ეკონომიკური ბლოკის მინისტრებს... იმუქრებიან გავლენიანი საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლებიც და წამყვანი არასაპარლამენტო პარტიების ლიდერებიც. ასეთი დიდი ხმაურის რეზონანსად, რატომღაც, დომინირებს მოსაზრება, რომ მთელი ეს აჟიოტაჟი ხელოვნურად არის აგორებული, მისი ინიციატორები, უმნიშვნელო პოლიტიკური ქულების ჩაწერის გარდა, სხვას ვერაფერს გამორჩებიან და ანტისახელისუფლებო კამპანია, საბოლოო ჯამში, წარუმატებლად დასრულდება.*

გიორგი ასანიშვილი

ამ მოსაზრებას საფუძვლად ის გარემოება უდევს, რომ იმპიჩმენტის მისაღწევად მრავალი ბარიერია გადასალახი და ამდენად, იგი, პრაქტიკულად, განუხორციელებადია. მართლაც, თითქმის შეუძლებელია, იმპიჩმენტის პროცედურამ უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოებს "გაუძლოს" და ბოლოს, პოლიტიკურად დაქუცმაცებულ პარლამენტშიც ხმების ორი მესამედი (სახელმწიფო მინისტრის შემთხვევაში, - პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა) "შეკრიბოს".

თუმცა, ამ, ერთი შეხედვით უაზრო წამოწყებას, გარკვეული რეზონი მაინც აქვს. საიმპიჩმენტო მოძრაობის აგორება წინასაარჩევნო კამპანიის საწყის ეტაპს დაემთხვა. თუ საკანონმდებლო ორგანოში 79-ხმიანი ბარიერის გადალახვა მოხერხდება და ამით უმაღლეს სახელისუფლებო პერსონებზე შემდგომი შეტევისთვის იურიდიული პლაცდარმი შეიქმნება, ეს დღევანდელ მმართველ ძალას მეტად რთულ მდგომარეობაში ჩააყენებს. მართლაც, თუ მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში წინა პლანზე ქვეყნის პოლიტიკური ლიდერების "ავკაცობა" იქნება წამოწეული, ძნელად განსაჭვრეტი არ უნდა იყოს, გადამწყვეტ მომენტში საით გადაიხრება ელექტორატი. ამდენად, როდესაც ამტკიცებენ, რომ საიმპიჩმენტო პროცედურა მხოლოდ ხმაურია და ის ხელისუფლებას ვერაფერს დააკლებს, მსგავსი განცხადებები მთლად მართებული არ არის.

ცოტა უცნაურია, რომ იმპიჩმენტის თემას თავად სახელისუფლებო და ხელისუფლების მხარდამჭერ წრეებში აგდებით უყურებენ და ძირითადად, ირონიული კომენტარებით შემოიფარგლებიან. არადა, თუ საიმპიჩმენტო კოალიცია მიზანს მიაღწევს და პირველ ბარიერს გადალახავს (ანუ, პარლამენტში 79 ხელმოწერას მოაგროვებს), შემდგომში სხვა ველარაფერსაც რომ მიაღწიოს, ესეც უკვე გამარჯვება იქნება - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში საკითხი უკვე სასამართლო დარბაზებში გადაინაცვლებს, რითაც მთელი საარჩევნო "სეზონის" განმავლობაში ხელისუფლება მორალური და ფსიქოლოგიური შანტაჟის ქვეშ აღმოჩნდება. დაუმატეთ ამას, რომ სახელისუფლებო ბანაკიდან გავლენიანი ფიგურების გადინების პროცესი შეუქცევადი ხდება, პლუს, მმართველი ძალის ელექტორატი დღითიდღე მცირდება და ნათელი გახდება, რომ ერთი შეხედვით უწყინარი საიმპიჩმენტო მოძრაობა ოპოზიციის ხელში, შესაძლოა, საკმაოდ მძლავრ იარაღად გადაიქცეს.

ხელისუფლების ოლიმპიური სიმშვიდე, გარკვეულწილად, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ რამდენიმე გავლენიანმა ფრაქციამ (მათ შორის, "გაერთიანებულმა დემოკრატებმა") მმართველი გუნდისთვის შანტაჟის გზით ანგარიშის გასწორება არ ისურვა და მას ყელზე მახვილი არ მიაბჯინა. ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ძალები გადამწყვეტ მომენტში ძალაუფლების ხელში აღებაზე უარს იტყვიან, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ "ავანტიურაზე" (ზურაბ ჟვანიას შეფასება) არწასვლით, ხელისუფლებისთვის ამ ეტაპზე "დისკვალიფიკაციის" მიცემა სათუო ხდება.

თუმცა, მაინც ნაკლებად სავარაუდოა, რომ მმართველი ძალა ამ "შეღავათს" გამოიყენებს და, თუნდაც საიმპიჩმენტო მუქარის ნეიტრალიზების შემთხვევაში, საარჩევნო მარათონს გააზრებულად წარმართავს. იმპიჩმენტის არგანხორციელება მისთვის, უბრალოდ, ნელ სიკვდილს ნიშნავს. მან თავის თავს უკვე მაშინ გამოუტანა განაჩენი, როდესაც საკუთარი მომავალი უპერსპექტივო პოლიტიკურ სპექტრს დაუკავშირა.

ხელისუფლების ოფიციალურ "ფალავნებს" დღეისთვის "მოქალაქეთა კავშირი", "სოციალისტები" და, ნაწილობრივ, "მრეწველები" წარმოადგენენ. განმარტებას იმაზე, თუ როგორ აღმოჩნდა გოგი თოფაძის "კომპანია" ამ "გაუგებრობაში", "აღორძინების" ლიდერი ჯემალ გოგიტიძე იძლევა.

**"ედუარდ შევარდნაძემ მოსთხოვა თოფაძეს, ხუთი მილიონი "დაყაჭეო" და ფული რომ არ გადაიხადონ, ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე წავიდნენ,"** - ბათუმური ბლოკის წარმომადგენლის ამ სუბიექტურ მოსაზრებასაც რომ თავი დავანებოთ, არსებობს სხვა მიზეზებიც, რამაც "მრეწველები" პრეზიდენტის მხარდამჭერებს მიაჯაჭვა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. არსებითი ის გახლავთ, რომ "მრეწველებმა" პიკი უკვე განვლეს (ამის დასტურია 2 ივნისის მუნიციპალური არჩევნების შედეგები) და ისინი მეტს უკვე ველარ "გაქაჩავენ". იმაზე გათვლა, რომ მეწარმეთა ხმები გადამწყვეტი იქნება ძალაუფლების შესანარჩუნებლად, პროსახელისუფლებო ძალებისთვის, შესაძლოა, კრახის წინაპირობა აღმოჩნდეს. ისევე როგორც სოციალისტებთან არშიყი, რასაც სახელმწიფო კანცელარია უკვე აღარც კი მალავს.

ვახტანგ რჩეულიშვილის პარტიული ამქრის ჭეშმარიტი ძალა არჩევნებში იცნობა. ამ კუთხით კი სოციალისტებს ბევრი არაფერი აქვთ დასაკვეხნი: როდესაც ისინი არჩევნებში დამოუკიდებლად, სხვა პარტიებთან ბლოკში შესვლის გარეშე მონაწილეობენ, მათ მიერ დაგროვილი ხმები სულ რაღაც ორი-სამი პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ეს კი ნამდვილად არ არის ის მაშველი რგოლი, რომელიც ხელისუფლებას გადაარჩენს.

მომხიბლავი პერსპექტივა რომ არც ხელისუფლების მთავარ დასაყრდენს -"მოქალაქეთა კავშირს" - აქვს, იმავე 2 ივნისის არჩევნებმა დაადასტურა. თავად ამ ფაქტზეც რომ აღარაფერი ვთქვათ, ერთ დროს მძლავრი პარტიული წარმონაქმნის უსუსურობა პარლამენტის სხდომების დროსაც კარგად ჩანს: ოპონენტების არგუმენტებზე პრეზიდენტის მხარდამჭერი ფრაქცი(ებ)ის პასუხი, ამ ბოლო დროს, როგორც წესი, კვორუმის ჩაგდების გზით, სხდომების ჩაშლასა და საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის ბლოკირებაში გამოიხატება, რაც სულაც არ უწყობს ხელს ამ ძალის ავტორიტეტის ზრდას. ისე, პრეზიდენტის საპარლამენტო ბანაკის სისუსტე შემთხვევითი ნამდვილად არ არის - პარლამენტში შევარდნაძის "ადვოკატებს", ძირითადად, ხელოვნების, მეცნიერების და კულტურის სფეროებში "ხანგრძლივი და ნაყოფიერი" მოღვაწეობის შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში "დამსახურებული დასვენებისთვის" მისული ხალხი წარმოადგენს. მათი იურიდიული და პარტიული კვალიფიკაცია კი პოლიტიკურ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად არასაკმარისია.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩენილ მოკლე დროში ხელისუფლებამ პოლიტიკური აქცენტები შეცვალოს და ამით, ძალთა ბალანსის თავის სასარგებლოდ შეცვლას შეეცადოს. არადა, ასეთი შესაძლებლობა მან უკვე არაერთხელ გაუშვა ხელიდან, თუნდაც მაშინ, როდესაც ჯერ "ახალგაზრდა რეფორმატორებად" მონათლული (რომლებიც, მოგვიანებით, "გაერთიანებულ დემოკრატებად" და "ნაციონალებად" დაფუძნდნენ) ძალა ჩამოიშორა, შემდეგ კი მათ "ახალი მემარჯვენეებიც" მიაყოლა უკან.

ამ არჩევანის შედეგს ხელისუფლება თავის დროზე მოიმკის. ამისთვის საიმპიჩმენტო პროცედურა სრულიად ზედმეტია.

# პრეზიდენტის იმპიჩმენტის შანსი

პირველი გვერდიდან

ფრაქციათა ნაწილი პრეზიდენტის იმპიჩმენტს ითხოვს, ნაწილი კი - სახელმწიფო მინისტრის, და ეს ორი მიდგომა ურთიერთალტერნატიულად ცხადდება.

"აღორძინება" ამტკიცებს, რომ რეალურმა ოპოზიციამ შევარდნაძის გადაყენებას უნდა დაუჭიროს მხარი, ამავე პოზიციისკენ იხრებიან "ნაციონალისტები". ისინი ეჭვობენ, რომ ჯორბენაძის იმპიჩმენტის მოთხოვნის უკან პოლიტიკური თამაშები იმალება. სახელმწიფო მინისტრის გადაყენების მომხრეები კი შევარდნაძეზე ასეთი ფორმით გალაშქრებას არ ჩქარობენ და მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო მინისტრის ჩამოცილებით ბევრად უფრო ადვილი იქნება პრეზიდენტთან გამკლავება.

მაშ ასე, რა უფრო მნიშვნელოვანი და რეალურია ამ ეტაპზე - შევარდნაძის იმპიჩმენტი თუ ჯორბენაძის?

დავიწყოთ პრეზიდენტით. პირველი, რაზეც ყველა თანხმდება, არის ის, რომ პარლამენტში ძალთა დღევანდელი განლაგებით შევარდნაძის იმპიჩმენტი აბსოლუტურად გამორიცხულია (მით უფრო - ურთულესი კონსტიტუციური პროცედურების გათვალისწინებით). ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ ეს მოთხოვნა ხშირად უფრო პიარ-აქციად გამოიყურება და მხოლოდ სიტყვებით თამაშს ჰგავს. "აღორძინება" ასეთი მიდგომით კვლავ ცდილობს, დაიბრუნოს ოპოზიციის მებაირახტრის მდგომარეობა. შედარებით მეტი შანსი არსებობს ჯორბენაძის გადაყენებისათვის. დღეს პარლამენტში ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ ორივე ბანაკს, ჯორბენაძის მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც, საკმარისი ხმები აქვთ, რათა მთავრობის მუშაობა პარლამენტის დადგენილებით თავისთვის სასარგებლოდ შეაფასონ.

თუ ელემენტარულ ლოგიკას დავეყრდნობით, ის, ვინც შევარდნაძის გადაყენებას მოითხოვს, არც ჯორბენაძის გადადგომის წინააღმდეგი უნდა იყოს და, ასევე - პირიქით, რადგანაც, თუ აღმასრულებელი ხელისუფლება თავის მოვალეობებს თავს ვერ ართმევს და პარლამენტის დადგენილებებს არ ასრულებს, ამაში ლომის წილი მის მეთაურზე - პრეზიდენტზე მოდის. ამიტომაც დაპირისპირება, ხელოვნურად შექმნილი პრობლემის გამო, მხოლოდ მოსახლეობაზეა გათვლილი.

რეალობა კი ბევრად უფრო მარტივია: ვისაც მართლა უნდა შევარდნაძის სისტემის დამარცხება, მან არც ერთი საშუალება არ უნდა გაუშვას ხელიდან - როგორც პრეზიდენტის, ისე სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტის საკითხი, შეიძლება, სულაც ერთდროულად და შეთანხმებულად დადგეს დღის წესრიგში. მაგრამ ქვეტექსტი აქაც არის. მხოლოდ პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნით რეალურად მეორე პლანზე იწევს სახელმწიფო მინისტრის გადაყენება ანუ პრეზიდენტთან დაპირისპირება მხოლოდ სიტყვიერ დონეზე რჩება; მხოლოდ ჯორბენაძის გადაყენების მოთხოვნით კი, ზოგიერთი, როგორც ჩანს, იმედოვნებს, რომ კვლავ გათავისუფლდება პრეზიდენტისკენ მიმავალი გზები, ანუ მითი შევარდნაძის გამოყენების და მისი საშუალებით ხელისუფლებაში მოსვლის შესახებ კვლავ ცოცხლობს. ამიტომაც ვერ ხერხდება ორი, ერთი შეხედვით არა ურთიერთგამომრიცხავი, მოთხოვნის შეჯერება. ასეთი შეუთანხმებლობით კი, არც ჯორბენაძეს აღარ დაემუქრება საფრთხე და მით უფრო - არც შევარდნაძეს.

მაგრამ უახლოეს მომავალში დეპუტატებს მოელით პროცესი, რომელიც სიტუაციას საბოლოოდ გაარკვევს. საუბარია მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვაზე. გვერდზე რომ გადავდოთ ამ საკითხის ეკონომიკური მხარე, სიტუაცია ასეთია: პარლამენტში პოტენციურად 90-100 დეპუტატია (სოციალისტების და მრეწველების ჩათვლით), რომელიც ბიუჯეტს მხარს დაუჭერს. შევარდნაძეს და ჯორბენაძეს აუცილებლად დასჭირდებათ მომხრეების მოძიება 118 ხმის მოსაგროვებლად. შესაძლო ვარიანტები არც თუ ისე ბევრია: ან "აღორძინებასთან" უნდა მოხდეს შეთანხმება ან პარტიათა დიალოგის რომელიმე მონაწილესთან. სწორედ ეს გაარკვევს საკითხს - ვინ არის რეალური ოპოზიცია და ვინ - არა. თუ ამჯერად არც ერთი ფრაქცია ცდუნებას არ აჰყვება, კანცელარია მეტად რთულ, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო სიტუაციაში ჩავარდება.

დღევანდელი კანონმდებლობით, ბიუჯეტის არ მიღების შემთხვევაში, 2003 წელს მთავრობას ძველი ბიუჯეტით მოუწევს მუშაობა. ოღონდ, ყოველთვიურად წინა წელს რეალურად შემოსული თანხის მხოლოდ ერთი მეთორმეტედის დახარჯვის უფლება ექნება. თუ გავითვალისწინებთ, რომ წლევანდელი წლის ისედაც მცირე ბიუჯეტს 100 მილიონამდე აკლია, მომავალ საარჩევნო წელს მთავრობა უკიდურესად შეზღუდული რესურსებით შეხვდება - მას არა თუ ხელფასების მომატება, არსებული ხელფასების გაცემაც გაუჭირდება, რომ აღარაფერი ვთქვათ თავდაცვის დაფინანსების გაზრდაზე და სხვა საკითხებზე. არჩევნების წინ ასეთი სიტუაცია მთავრობის პოზიციებს კიდევ უფრო შეასუსტებს.

ეს სცენარი კანცელარიისათვის ყველაზე არასასურველია, ხელისუფლება ყველნაირად ეცდება ოპოციური ფრაქციებიდან რომელიმეს გადაბირებას, შესაბამისი საკადრო გადაადგილებების და პიარ-აქციების თანხლებით, რათა ზუსტად არჩევნების წინ კრიზისს თავი აარიდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ტექნოლოგიების ღრმა ცოდნა არ არის აუცილებელი იმის წარმოსადგენად, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდება მთავრობა და იგივე "მოქალაქეთა კავშირი".

ამიტომაც ახლა პრეზიდენტის და სახელმწიფო მინისტრის დასუსტების ყველაზე ეფექტური გზა სწორედ მომავალი ბიუჯეტის ჩაგდებაზე გადის. მით უფრო, რომ არც წლევანდელი ბიუჯეტის შესრულება და არც მომავალი წლის პროექტი არ იძლევა მისი შემდგენლებისადმი კეთილგანწყობის საშუალებას. სწორედ 2003 წლის ბიუჯეტის კენჭისყრა გაარკვევს, ვინ ვინ არის დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში და არა იმაზე დებატები, ვისი იმპიჩმენტის საკითხი უნდა დაისვას პირველად.

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი
... 1997 წლის მაისიდან.
ჩვენი ტელეფონები: 25-35-48; (899) 51-19-94

# ელექტროენერგიის გაძვირებაზე კომპენსაციის საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია

*"ეი-ი-ეს თელასმა" აბონენტებთან სამომხმარებლო ხელშეკრულებები უნდა გააფორმოს – ეს ინფორმაცია სწორედ იმ დღეს გახმაურდა, როცა ელექტროენერგიის გაზრდილი – 13,7 თეთრიანი ტარიფი შევიდა ძალაში. სიახლე იმის შესახებ, რომ "ეი-ი-ეს თელასმა" გადაწყვიტა შეასრულოს ვალდებულება და გააფორმოს დიდი ხნის ნანატრი ხელშეკრულებები, მთავრობამ ტარიფის მომატების ერთგვარი "კომპენსაციის" სახით მოგვაწოდა. ამასობაში იმ ნამდვილი კომპენსაციების შესახებ, რაც, წესით, ტარიფის მატებას უნდა მოჰყოლოდა, მთავრობას ხალხისთვის სათქმელი, ჯერჯერობით, არაფერი აქვს. იმ 18 მილიონი ლარის გადახდის მექანიზმები, რომლითაც მთავრობა მოსახლეობისთვის ძველსა და ახალ ტარიფს შორის სხვაობის დაფარვას გეგმავს, შეუთანხმებელია. მთავრობამ ჯერ არ იცის, თუ რა გზით, ვისგან და როდის მიიღებს "ეი-ი-ეს თელასი" ამ თანხას.*

მაია ურუშაძე

როგორც ჩანს, "ეი-ი-ეს თელასს" კვლავ გაუგებრობები ელის. თუ "ეი-ი-ეს თელასი" მთავრობისგან ნოემბრის ბოლომდე ვერ მიიღებს კომპენსაციას, რომლითაც ძველსა და ახალ ტარიფს შორის სხვაობა უნდა დაიფაროს, ის იძულებული იქნება, მოსახლეობას ელექტროენერგიის საფასური ახალი – გაზრდილი ტარიფით, მოსთხოვოს. როგორც "ეი-ი-ეს თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა სოფო ბრეტანჩუკმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, **"ჯერჯერობით, "ეი-ი-ეს თელასს" არავისგან არ მიუღია კონკრეტული წინადადება იმის შესახებ, თუ რა მექანიზმით უნდა მოხდეს მოსახლეობისათვის კომპენსაციის გაცემა. მნიშვნელოვანია, რომ ეს საკითხი მალე გადაწყდეს, ვინაიდან ტარიფის ძალაში შესვლა იმას ნიშნავს, რომ 5 ნოემბრიდან მოსახლეობისთვის ქვითრები უკვე ახალი ტარიფით გამოიწერება."**

იმის შესახებ, თუ რა გზებით უნდა გაიცეს ეს კომპენსაციები, მთავრობაში სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. მაგალითად, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე მიიჩნევს, რომ კომპენსაციების გაცემა ბიუჯეტს არ უნდა შეეხოს და მთლიანად ენერგოსექტორის მიერ უნდა დაიფაროს. არსებობს ვარაუდი, რომ მთავრობამ, შესაძლოა, კომპენსაციის გასაცემად ის საერთაშორისო დახმარებები გამოიყენოს, რომლის მიღება-არ მიღების საკითხი ჯერ საბოლოოდ გარკვეული არ არის.

**"საკომპენსაციო თანხა 18 მილიონ ლარს შეადგენს. ამ თანხის ნაწილი დაიფარება ბიუჯეტიდან, ნაწილი – აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოთხ მილიონ დოლარიანი დახმარებიდან, ნაწილის დაფარვას კი ენერგოსექტორი აიღებს თავის თავზე და "ეი-ი-ეს თელასს" შვიდი მილიონი ლარის ღირებულების ელექტროენერგია მიეწოდება,"** – აცხადებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მერაბ კვეკვესქირი. ამ განცხადების ფონზე, ძნელია, საბოლოოდ გარკვეულად ჩაითვალოს საკომპენსაციო თანხის ოდენობაც. გამოდის, რომ მთავრობა აპირებს, კომპენსაციებს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ზამთრის გათბობის პროგრამით გათვალისწინებული დახმარებაც მიათვალოს. არადა, ამ დახმარებას, ტარიფის ზრდის მიუხედავად, ისედაც იღებდა ქალაქის მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ნაწილი.

მერაბ კვეკვესქირის ინფორმაციით, თბილისის მთელი მოსახლეობა ელექტროენერგიის საფასურს ზამთარში იმ ტარიფით გადაიხდის, რა ტარიფითაც პირველ ნოემბრამდე იხდიდა. თუმცა, **"მსჯელობა საკომპენსაციო მექანიზმების 2-3 ვარიანტზე მიმდინარეობს. ალბათ, მექანიზმი ნოემბრის ბოლომდე გაირკვევა,"** – აცხადებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე.

**"თუ მანამდე არ მოხერხდა კომპენსაციის გადახდის მექანიზმების დარეგულირება, ნოემბრის ბოლოს "ეი-ი-ეს თელასი" უკვე იძულებული იქნება, მოსახლეობას ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ახალი ტარიფით მოსთხოვოს,"** – კიდევ ერთხელ აზუსტებს "თელასის" პოზიციას სოფო ბრეტანჩუკი.

"ეი-ი-ესის" გაურკვევლობები მხოლოდ კომპენსაციების საკითხით არ ამოიწურება. საკმაოდ ბუნდოვანია ისიც, თუ როდის მიიღებს ის საბითუმო ბაზრისგან იმ 300 ათას ლარს, რომელიც, "ეი-ი-ეს თელასს", საბითუმო ბაზარსა და "ეი-ი-ეს მტკვარს" შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, საბითუმო ბაზარმა "ეი-ი-ეს მტკვარს" უნდა გადაურიცხოს. ამ თანხით "ეი-ი-ეს მტკვარმა" თბილსრესის მე-9 ენერგობლოკის ასამუშავებლად გაზი უნდა შეიძინოს.

საბოლოოდ, თუ "ეი-ი-ესმა" ფული დროულად ვერ მიიღო, მას შეიძლება თბილსრესის მეცხრე ენერგობლოკის ამუშავებაში სერიოზულად შეეშალოს ხელი. არადა, აციებამ ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა გამოიწვია. შედეგად, ელექტროენერგიის დეფიციტი უკვე სახეზეა.

ამასობაში სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო იმედით შეჰყურებს საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელ ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონზე" მიმდინარე სამუშაოებს. სამუშაოები, რომელიც რუსეთის მხარეს მიმდინარეობს, სავარაუდოდ, ერთ კვირაში უნდა დასრულდეს. ზამთრის ენერგეტიკული დეფიციტის პირობებში სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ელექტროენერგიის იმპორტს სწორედ რუსეთიდან გეგმავს. რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის მიღება კი სრულებით არ აძლევს ხელს "ეი-ი-ეს თელასს". მას მეცხრე ენერგობლოკის ამუშავება ურჩევნია, ვინაიდან ამ შემთხვევაში ის ძვირი თბოენერგიის გამომუშავებისთვის დახარჯულ თანხებს ამ ენერგიის გაყიდვით აინაზღაურებს, რაც იმპორტის შემთხვევაში არ მოხდება. მიუხედავად ამისა, მას სხვა არჩევანი არ დაუტოვეს: მთავრობის ყველა იმ გადაწყვეტილებამ, რომელიც ამერიკულ კომპანიას წლევანდელი ზამთრის უზრუნველსაყოფად ესაჭიროებოდა, მინიმუმ, ერთი თვით დაიგვიანა.

და კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ წელს ნორმალურ ზამთარს არ უნდა ველოდოთ: სამომხმარებლო ხელშეკრულებაში, რომელიც "ეი-ი-ეს თელასმა" აბონენტებთან უნდა გააფორმოს, მკაფიოდ არის განსაზღვრული, თუ რა შემთხვევაში ეკისრება კომპანიას ბრალეულობა დენის მოულოდნელი გამორთვისათვის. "ეი-ი-ეს თელასი" ვალდებული იქნება, აბონენტებს აუნაზღაუროს მისი მიზეზით მომხდარი ავარიების შედეგად მიყენებული ზარალი. იმ რამდენიმე ფორს-მაჟორულ პუნქტში კი, რომელიც "ეი-ი-ეს თელასს" პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს, "ელექტროგადაცემისა" და "დისპეტჩერიზაციის" სისტემების ავარიებიც შედის. შეგახსენებთ, რომ ამ კომპანიებში ირლანდიური "ი-ეს-ბი-აის" შესვლა კვლავ ფერხდება. კომპანიები ისევ ჰაერში არიან გამოკიდებულნი. შესაბამისად, მათ ქსელში ხშირი ავარიების ალბათობა საკმაოდ მაღალია.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ
2002 წლის 29 ოქტომბერი – 4 ნოემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6388 | 0.6331 | 0.0052 |
| US$ | 1.5654 | | 0.9907 | 0.0082 |
| €uro | 1.5802 | 1.0094 | | 0.0082 |
| ¥en | 191.72 | 122.52 | 121.32 | |

2002 წლის 4 ნოემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1449 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3852 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4664 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1650 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.2910 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1766 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0681 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4424 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.2381 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0619 ლარი |

# კეროლ ნევისი: საქართველოს გლობალიზაციის არ უნდა ეშინოდეს - თქვენ სხვა პრობლემები გაქვთ...

ჩვენი გაზეთის სტუმარი ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი -სმიტსონის ინსტიტუტის ანალიტიკურ-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, დოქტორი კეროლ ნევისი გახლავთ. ეს ინსტიტუტი 150 წლის წინათ დაარსდა. ქ-ნი კეროლი სამი კვირის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა და საქართველოს საზოგადო საქმეთა ინსტიტუტში "პოლისი ანალიზის" კურსს კითხულობდა. სამწუხაროდ, ტერმინი "პოლისი"-ს ზუსტი შესატყვისი ქართულში არ არსებობს, იგი შეიძლება ითარგმნოს, როგორც გატარებული კურსი, გატარებული პოლიტიკა. პოლისი ანალიტიკოსები, რომლის ელიტის ერთ-ერთი წარმომადგენელი კეროლ ნევისია, უდიდეს როლს თამაშობენ დასავლეთში. ეს ის ხალხია, რომელთა რჩევების გარეშეც ხელისუფალნი ნაბიჯს არ დგამენ, თუმცა,თავად ყოველთვის პოლიტიკური სცენის მიღმა რჩებიან. დოქტორმა ნევისმა განაცხადა, რომ იგი საქართველოს ისე კარგად არ იცნობს, რომ ჩვენი პრობლემების პროფესიული ანალიზი შეძლოს, თუმცა, საუბრის ბოლოს გარკვეული შეფასებები მაინც გააკეთა.



კეროლ ნევისი

თორნიკე შარაშენიძე

**- დოქტორო ნევის, პირველ რიგში, იქნებ მოკლედ აგვიხსნათ, რას წარმოადგენს პოლისი ანალიზი და რა გავლენას იქონიებს საქართველოზე ის გარემოება, რომ ჩვენში პოლისი ანალიზი, პრაქტიკულად, არ არსებობს.**

- ეს მეტად ფართო დისციპლინაა. შეიძლება, ამიტომაც არის, რომ ამ სფეროში მომუშავეთაგან ბევრს არა აქვს გავლილი პოლისი ანალიზის კურსი. ზოგი ეკონომისტია, ზოგი სტატისტიკოსი, ზოგი სოციოლოგი, ზოგი პოლიტიკოსი... უმთავრეს შემთხვევაში, პოლისი ანალიტიკოსები მაინც მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის ანალიზით ვართ დაკავებულნი. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა იმ კურსის წინასწარი შესწავლა, რომელიც მთავრობამ უნდა გაატაროს. ჩვენი ამოცანაა იმის პროგნოზირება, თუ რა მოჰყვება ამ კურსის გატარებას, მის შესახებ რეკომენდაციის შემუშავება და ა.შ.

რაც შეხება შეკითხვის მეორე ნაწილს, დარწმუნებული ვარ, პოლისი ანალიზი საქართველოში არსებობს, მაგრამ არა სისტემატიზებული სახით. ალბათ, ამ საკითხზე ბევრი ორგანიზაცია მუშაობს, მაგრამ ეს მუშაობა დაცალკევებულია და საჭიროა მისი მოწესრიგება. უპრიანი იქნებოდა პოლისი ანალიზის ცენტრების ჩამოყალიბება სახელმწიფო სტრუქტურებში. ეს ცენტრები კოორდინირებას გაუწევენ ყველა ანალიტიკოსის მუშაობას, ერთმანეთთან კონკურენციის პირობებში, ეს უთუოდ აამაღლებს მთავრობის საქმიანობის საბოლოო ეფექტიანობას.

**- აშშ-ში როდის ჩამოყალიბდა პოლისი ანალიზი ახლანდელი სახით?**

- მისი ახლანდელი სახით ჩამოყალიბება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. თავიდან პოლისი ანალიზი თავდაცვის დეპარტამენტში დაინერგა. ამ ორგანიზაციას მეტად რთული პრობლემების გადაჭრა უხდებოდა და, საამისოდ, მის ხელთ არსებული ძველი მეთოდები უკვე აღარ ჰყოფნიდა – საჭირო იყო საკითხებისადმი უფრო კომპლექსური მიდგომა. სწორედ, ამ დროს დაიწყო ჩამოყალიბება პოლისი ანალიზმა. მოგვიანებით იგი არასამხედრო, სამოქალაქო ორგანიზაციებმაც აითვისეს.

**- ახლა ამერიკის პოლისი ანალიტიკოსები, ალბათ, ძირითადად, ერაყის საკითხით არიან დაკავებულნი.**

- დიახ, ახლა ანალიტიკოსები ამ საკითხზე მუშაობას, მართლაც რომ, 24 საათს ანდომებენ. ყველა ვარიანტის გათვლა ხდება,საჭიროა განჭვრეტა - რა მოხდება ერაყზე დარტყმის შემთხვევაში და არდარტყმის შემთხვევაშიც. ეს მეტად სერიოზული საკითხია, მითუმეტეს, რომ თავის დროზე ერაყთან მიმართებაში შეცდომები იქნა დაშვებული. კერძოდ, ამ ქვეყნის წინააღმდეგ ეკონომიკური ემბარგოს დაწესებამ იმის სრულიად საპირისპირო შედეგი გამოიღო, რასაც ჩვენთან ელოდნენ...

**- ალბათ, ელოდნენ, რომ ეკონომიკური სიდუხჭირით შეწუხებული ხალხი ჰუსეინის ხელისუფლებას დაამხობდა.**

- სწორედაც. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ასე არ მოხდა და ემბარგომ კიდევ უფრო გააერთიანა ერაყელები ჰუსეინის გარშემო. ახლა ერაყის წინააღმდეგ მორიგ სამხედრო დარტყმაზე ფიქრობენ და, თუ ეს გავაკეთეთ, შეცდომები აღარ უნდა დავუშვათ.

**- ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რაც, ალბათ, ამერიკას აწუხებს, ერაყული ნავთობსაბადოებია, რომლებიც, ძირითადად, რუსულმა კომპანიებმა აითვისეს და ამერიკული კომპანიები თამაშგარეთ დატოვეს. ერაყში წარმატებული სამხედრო ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში გაუჩნდებათ თუ არა ამერიკულ კომპანიებს ერაყული საბადოების ხელში ჩაგდების შანსი?**

- არა მგონია ამერიკას ასე სჭირდებოდეს ერაყული ნავთობი. ჩვენ ნავთობის ბევრ სხვა ალტერნატიულ წყაროს ვფლობთ - თუნდაც ნიგერია, ვენესუელა ან რუსეთი. ეს უკანასკნელი ახლა, ძველი ტექნოლოგიის გამო, თავისი ნავთობის მხოლოდ ნაწილს მოიპოვებს და მომავალში აუცილებლად დასჭირდება უცხოური ინვესტიციები ღრმა ბურღვისთვის. აი, სწორედ იქ გამოვლენ ასპარეზზე ჩვენი კომპანიები. ამას რომ თავი დავანებოთ, არც ამერიკის სანავთობო რეზერვებია ამოწურული. ასე რომ, ჩემი აზრით, ერაყული ნავთობის თაობაზე ატეხილი მითქმა-მოთქმა გადამეტებულია.

**- როგორ შეაფასებთ დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მუშაობას. მას გამოეპარა 11 სექტემბერი; 9 წლის განმავლობაში ამერიკაში მომუშავე ორმაგი აგენტი ოლდრიჯ ეიმსი, რომელიც მოსკოვს უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას აწვდიდა, სააგენტომ ვერაფრით გაშიფრა, სანამ დახმარებისათვის გამოძიების ფედერალურ ბიუროს არ მიმართა. როგორი დამოკიდებულებაა ახლა დაზვერვის სააგენტოსადმი?**

- ჩვენ დიდად ჩახედულნი არ ვართ არც დაზვერვის სააგენტოს საქმიანობაში და არც მის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, რადგან, მოგეხსენებათ, ეს გასაიდუმლოებული ორგანიზაციაა. მაგრამ, ჩემი აზრით, წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ სააგენტოს მნიშვნელოვნად ზღუდავს კონგრესი - მას ეკრძალება ისეთი საქმიანობა, რომელიც რამენაირად შეიძლება არღვევდეს ადამიანის უფლებებს, მაგალითად, სატელეფონო საუბრების მოსმენა. გარდა ამისა, სააგენტო, ალბათ, ზედმეტად დაეყრდნო ტექნოლოგიებს და უგულველყო ადამიანური რესურსები. 11 სექტემბრის შემდეგ ბიუროს მუშაობა, ალბათ, მნიშვნელოვნად შეიცვლება და, ამ მხრივ, გარკვეული ნაბიჯები უკვე იდგმება. კერძოდ, დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს მუშაობის კოორდინირება ხდება.

**- პრეზიდენტ ბუშის პოპულარობა აშკარაა და, ალბათ, მომავალ არჩევნებზე მას ალტერნატივა არ ეყოლება. თქვენი აზრით, როგორი იქნება ამერიკა ბუშის მეორე მმართველობისას?**

- ბუშის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ეკონომიკური პრობლემები წარმოადგენდა ჩვენს მთავარ საზრუნავს, მაგრამ ბოლოდროინდელი მონაცემები, ამ მხრივ, მეტად დამაიმედებელია. აშკარაა, რომ ამერიკის ეკონომიკა გაცილებით უფრო მყარად დგას ფეხზე, ვიდრე გვეგონა.

**- ცნობილი ეკონომისტები ხშირად საყვედურობენ ბუშს იმის გამო, რომ იგი სათანადოდ არ ერევა თავისუფალი ბაზრის საქმეებში...**

- ძნელია ამაზე საუბარი. თავისუფალი ბაზარი მეტად ცვალებადია. იგი ზოგჯერ სერიოზულ ჩარევას საჭიროებს, ზოგჯერ კი ჩარევა საერთოდ არ არის საჭირო. აქედან გამომდინარე, ბალანსის მიგნება საკმაოდ რთული ამოცანაა. მთავრობა, უბრალოდ, მზად უნდა იყოს, რომ რეაგირება არ დააგვიანოს და როდესაც ეს საჭიროა, ჩაერიოს. როგორც ვნახეთ, ბოლო დროს, "ენრონის," "ანდერსენისა" და სხვა სკანდალების გამო, ჩარევა საჭირო გახდა.

**- თქვენ რამდენჯერმე ნამყოფი ხართ რუსეთში. როგორ გგონიათ, აქვს ამ ქვეყანას შანსი, რომ ცივილიზებული სამყაროს ნაწილად იქცეს?**

- რუსეთი, გარკვეულწილად, საკმაოდ ცივილიზებულია. ამ ერის კულტურას და ხელოვნებაზე თუ ვისაუბრებთ, მათ ცოტა ვინმე თუ შეედრება. ეს ყველაფერი უმნიშვნელო არ არის და სწორედ, ეს უნდა გვაიმედებდეს. ახლა რუსეთს სიღარიბის დაძლევა სჭირდება. რაც იქ ვნახე, განმაცვიფრებელი და შემაშფოთებელია: დიდ ქალაქებში ძალიან მდიდრული ცხოვრებაა, სოფლებში კი – საშინელი სიღატაკე. ასე რომ, ძალიან ბევრი რამ ეკონომიკის განვითარებაზე იქნება დამოკიდებული.

**- ხომ არ შეიცვლება ამერიკელების დამოკიდებულება პუტინის მიმართ მოსკოვში ახლახან დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ?**

- აუცილებლად შეიცვლება, რადგან საკუთარი მოქალაქეების არდანდობას ჩვენ გაგებით ვერასოდეს მოვეკიდებით. მინდა გითხრათ, რომ ბოლო დროს გადადგმული საკამათო ნაბიჯების მიუხედავად (მაგალითად, ერაყთან ეკონომიკური ხელშეკრულების გაფორმება), პუტინი მაინც პოპულარული იყო. ამერიკაში ახსოვდათ 11 სექტემბრის შემდეგ მისი გამოსვლა და, ყველაფრის მიუხედავად, იგი ტერორიზმის წინააღმდეგ ომში მოკავშირედ აღიქმებოდა. მართალია, იგი ისეთი პოპულარული ფიგურა არასოდეს ყოფილა, როგორიც თავის დროზე გორბაჩოვი გახლდათ, მაგრამ, მთლიანობაში, მისი მოღვაწეობა, მოსკოვში დატრიალებულ მოვლენებამდე, მაინც დადებითად ფასდებოდა. მითუმეტეს, რომ ჩეჩნეთის პრობლემაზე ამერიკელთა უმრავლესობამ ბევრი არაფერი უწყოდა. ახლა ჩეჩნებმა თავიანთი არსებობა მთელ მსოფლიოს გააგებინეს და პუტინს ამ პრობლემის მიჩქმალვა ძალიან გაუჭირდება.

**- როგორ აფასებთ ჩინეთის პერსპექტივებს. ეს ქვეყანა არნახული ტემპით ვითარდება და, სპეციალისტთა აზრით, შორს არაა ის დრო, როცა ამერიკას უკან ჩამოიტოვებს?**

- ამერიკაში ამას საშიშროებად არავინ აფასებს. ჩვენთვის გაცილებით უარესი და საშიში იქნებოდა ჩაკეტილი ჩინეთი და, სხვა თუ არაფერი, მხოლოდ ამიტომაც მივესალმებით ჩინეთის ეკონომიკურ განვითარებას და საერთაშორისო ეკონომიკურ თანამეგობრობაში მის გაერთიანებას. რაც უფრო მეტი და მდიდარი სავაჭრო პარტნიორი გვეყოლება, ჩვენთვის უკეთესია. მით უკეთესი, თუ ეს ჩინეთისნაირი ქვეყანა იქნება. ეს უდიდესი ბაზარია და მეტად სასიხარულოა, რომ იქ ევროპულ და ამერიკულ კომპანიებთან ამდენი ერთობლივი საწარმო იქმნება. ჩინელები მესაკუთრეები ხდებიან, ისინი ინტერესდებიან ჩვენთან ნორმალური ურთიერთობით და... იმედია, თანდათან, ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაც გაუმჯობესდება.

**- გერმანიის კანცლერმა შრიოდერმა, ცოტა არ იყოს, გააფუჭა ვაშინგტონთან ურთიერთობა, როცა წინასაარჩევნო კამპანიისას ერაყზე დარტყმის წინააღმდეგ რადიკალურად გაილაშქრა. მისმა ერთ-ერთმა მინისტრმა ბუში ჰიტლერსაც კი შეადარა. ამის შემდეგ ბევრმა ამერიკელმა საქმოსანმა განაცხადა, რომ გერმანია ამერიკულ ინვესტიციებს უნდა დაემშვიდობოს.**

- ბუშის მიმართ გაკეთებული ეს განცხადებები ჩვენთან სერიოზულად არ აღუქვამთ. რაც შეეხება ინვესტიციებს, თუკი გერმანიაში ამერიკული კომპანიები ნაკლებ კაპიტალს დააბანდებენ, ვიდრე იმავე ჩინეთში, ეს პოლიტიკური მოტივებით არ უნდა აიხსნას. უბრალოდ, ფული იქით მიდინება, სადაც მოგება მეტია.

**- ბევრი ფიქრობს, რომ ამერიკული კულტურა ბოლო დროს დაღმავლობას განიცდის, ამას კი ეკონომიკური დაქვეითება შეიძლება მოჰყვეს და...**

- ასე ფიქრობენ? ვერ დავეთანხმები. შეიძლება ფოლკნერი თუ სტაინბეკი აღარ გვყავს, მაგრამ ასეთი გენიოსები ხომ იშვიათად იბადებიან. ჩვენთან კარგი წიგნები ისევ იწერება და მათ არც მკითხველი აკლიათ. საერთოდ, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამერიკელების განათლების დონე დაბალია, ცდებიან: ჩვენთან წიგნის მაღაზიები მუდამ სავსეა წიგნებითაც და მკითხველებითაც. ამერიკა ვითარდება: ჩვენ ყოველწლიურად უამრავ ემიგრანტს ვიღებთ - ვისრუტავთ და ვითვისებთ უამრავ განსხვავებულ კულტურას. როგორც იტყვიან, ახალი სისხლი გვერევა. უცხოელები ჩვენგან სწავლობენ და იღებენ საუკეთესოს, ჩვენ კი - მათგან.

**- თქვენ ამბობთ, რომ საქართველოს არც ისე კარგად იცნობთ, მაგრამ მაინც, როგორ გგონიათ, რით შეიძლება დააინტერესოს ჩვენმა ქვეყანამ დასავლეთი, თუნდაც, იგივე მსხვილი ინვესტორები?**

- პირველ რიგში, ადამიანური კაპიტალით. თქვენ მეტად განათლებული მოსახლეობა გყავთ, მეტად თბილი, რომლებიც ყველასთან იოლად ნახულობენ საერთო ენას. ამ ქვეყანაში დიდი პოტენციალია, ოღონდ მეზობლებში არ გაგიმართლათ და ეს ბევრი უბედურების მიზეზია. მიუხედავად ამისა, ქვეყანა მაინც ვითარდება. პირველად აქ 1995 წელს გახლდით. მაშინდელი მდგომარეობის ახლანდელთან შედარება არ შეიძლება. თუმცა, ისიც უნდა ვაღიარო, რომ საქართველო მაინც მეტად ნელი ნაბიჯებით მიიწევს წინ – თუნდაც, ესტონეთთან შედარებით. მე იქ უკვე არაერთხელ გახლდით და ეს ჩამორჩენა აშკარაა. თქვენ ძალიან ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი.

**- იქნებ ეს იმის ბრალია, რომ საქართველო სულაც არ არის დასავლეთის ორგანული წევრი და ევროპაზე მეტად ლათინურ ამერიკასთან, თუნდაც კოლუმბიასთან, უფრო მეტი საერთო გვაქვს. იქ ხომ პუტჩები და სამოქალაქო ომები ჩვეულებრივი მოვლენაა?**

- არა მგონია, ასე იყოს საქმე. საქართველოს ვერ შევადარებ, თუნდაც, კოლუმბიას, რადგან აქ საშუალო ფენა უფრო დიდი და ძლიერია. იქ კი მდიდრებსა და ღარიბებს შორის უზარმაზარი უფსკრულია, რაც ყველა პრობლემების სათავეა.

**- საქართველოში ბევრს უშინია გლობალიზაციის. არსებობს აზრი, რომ ეს ჩვენნაირი პატარა ერების გაქრობას გამოიწვევს.**

- თქვენ აქამდე შეინარჩუნეთ მშობლიური ენა, კულტურა და ტრადიციები. რა უნდა მოახდინოს გლობალიზაციამ ისეთი, რომ ეს ყველაფერი დაკარგოთ? საქართველოს ამერიკის ან ჩინეთის არ უნდა ეშინოდეს - ამაზე წუხილი ნამდვილად არ ღირს, თქვენ სხვა პრობლემები გაქვთ...

# ბიუჯეტი კიდევ ერთხელ გაირღვა

პირველი გვერდიდან

კვლავ სერიოზულ პრობლემებს უქმნის ქვეყნის ბიუჯეტს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ბიუჯეტში გათვალისწინებული გრანტების მიუღებლობა. გიგოლაშვილის თქმით, ოქტომბერში გრანტების მხივ არსებული 38 მილიონ ლარიანი გარღვევა კიდევ, დაახლოებით, ოთხი მილიონი ლარით გაიზარდა რაც, ძირითადად, ამერიკული ხორბლის მონეტიზების პროცესის ნელი ტემპით მიმდინარეობას ბრალდება.

გარდა ამისა, ხაზინაც და მთლიანად ცენტრალური ხელისუფლება კვლავაც ელიან აჭარიდან გადმოსარიცხ 3.1 მილიონ ლარს, თუმცა, ბოლო პერიოდში ცენტრსა და ავტონომიურ რესპუბლიკას შორის ურთიერთობების დაძაბვის გათვალისწინებით, ალბათ - უშედეგოდ. წლის დასაწყისიდან აჭარამ ცენტრალურ ბიუჯეტს 31 მილიონ ლარზე მეტი დააკლო.

ასეთი მნიშვნელოვანი დანაკლისი, წლის ბოლოს მოახლოების გათვალისწინებით, კიდევ უფრო მეტად ამძიმებს სიტუაციას. ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში მთავრობამ 400 მილიონი ლარი უნდა შეაგროვოს, რათა სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდეს, რაც შეუძლებელი თუ არა, საკმაოდ რთული ამოცანა იქნება. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესები საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისიის ვიზიტისას ვითარდება. ვასილ გიგოლაშვილის აზრით, მისიას კარგად ესმის, რომ მიმდინარე წელი საქართველოსთვის, ობიექტური მიზეზების გამო, საკმაოდ რთული იყო. **"სსფ-სთვის ცნობილია, რომ წელს ბუნებრივი აირის მიწოდებასთან დაკავშირებით შექმნილი სერიოზული კრიზისის, აგრეთვე, მიწისძვრის შედეგების დასაძლევად ხელისუფლებას დამატებით, მნიშვნელოვანი თანხების გაღება მოუხდა. გარდა ამისა, სსფ აჭარასთან დაკავშირებულ პრობლემასაც გაგებით მოეკიდა. ასე რომ, ფონდის შეფასება ძალიან მკაცრი არ იქნება,"** — მიაჩნია გიგოლაშვილს. ცნობილია, რომ მისიის დასკვნაზე დიდად იქნება დამოკიდებული სსფ-ს მიერ წლის ბოლომდე საქართველოსთვის მორიგი 30 მილიონ დოლარიანი ტრანშის გამოყოფის საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

გიგოლაშვილის ინფორმაციით, არც თუ ურიგოდ არის საქმე მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობის კუთხითაც. გაზაფხულზე დაიწყება მოლაპარაკებები საქართველოსთვის მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნების მეოთხე კრედიტის (SAC 4) გამოყოფასთან დაკავშირებით. ამ კრედიტის მოცულობა, სავარაუდოდ, 15 მილიონი დოლარი იქნება. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკი გაისად საქართველოში ათამდე პროექტს დააფინანსებს, რისთვისაც 65 მილიონ დოლარს (134 მილიონი ლარი) გამოყოფს. საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებასთან ერთად ეს თანხა 150 მილიონ ლარს შეადგენს.

მიმზიდველი პერსპექტივების მიუხედავად, 2002 წლის ბიუჯეტის შესრულება საეჭვოა. ექსპერტების ვარაუდით, აჭარიდან გადმოურიცხავი თანხებისა და მიუღებელი გრანტების ჩათვლით, ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტს, მინიმუმ, ათი მილიონი ლარი დააკლდება და ეს კიდევ უფრო გაზრდის უკვე არსებულ საბიუჯეტო გარღვევას, რომელმაც ცხრა თვის განმავლობაში 82 მილიონი ლარი შეადგინა. დამოუკიდებელი ექსპერტებისგან განსხვავებით, გიგოლაშვილი ბიუჯეტის სეკვესტრის შესაძლებლობას გამორიცხავს და აცხადებს, რომ შესაძლებელია, პრობლემები მხოლოდ ზოგიერთი პუნქტის დაუფინანსებლობით ამოიწუროს, მაგრამ ეს ნაბიჯი დაცულ მუხლებს არ შეეხება.

# თურქეთის არჩევნებში წარმატებას ისლამისტებს უწინასწარმეტყველებენ

პირველი გვერდიდან

ლიდერი რეჯეპ ერდოქანი, რომელიც ერთ დროს აცხადებდა, რომ შეუძლებელია კაცი ერთდროულად მუსულმანიც იყოს და საერო მმართველობის მომხრეც, დღეს სულით და გულით უჭერს მხარს თურქეთის გაევროპელებას.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიას (თეთრი პარტია) მხარდამჭერები ერდოქანის არაკორუმპირებულობას უფრო მეტად სცემენ პატივს, ვიდრე მის რელიგიურ შეხედულებებს.

"ისეთი თეთრი, როგორც დედათქვენის რძე" – წერია პარტიის შესახებ მის საარჩევნო პლაკატებზე. "თეთრი პარტია" მას შემდეგ შეიქმნა, რაც 1998 წელს სამხედროებმა მისი წინამორბედი ისლამისტური "კეთილდღეობის პარტია" აკრძალეს. მაშინ ერდოქანი 4 თვით ციხეშიც კი მოხვდა - "რელიგიური შუღლის" გაღვივების ბრალდებით. "მინარეთები ჩვენი ხიშტებია, მეჩეთები – ჩვენი ყაზარმები, მორწმუნეები კი – ჩვენი ჯარისკაცები." – ამ ლექსისთვის სტამბოლის მაშინდელი მერი მუნიციპალიტეტიდან პირდაპირ ციხეში მიაბრძანეს.

ერდოქანი ქალაქ რიზეში დაიბადა, მაშველის ოჯახში. ახალგაზრდობაში სტამბოლის ქუჩებში ლიმონათს ყიდდა, "კეთილდღეობის პარტიის" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი ქალაქის მერი გახდა. ამ პოსტზე მუშაობისას, პროფესიონალიზმისა და პატიოსნების წყალობით, მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, რასაც დაპატიმრებამაც კი ვერაფერი დააკლო.

ერდოქანი ამტკიცებს, რომ დიდი ხანია, პოლიტიკურ ისლამთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა და ახლა, როგორც ყველა წესიერი პოლიტიკოსი, დასავლეთთან დაახლოებას ემხრობა, სახელმწიფოს ისლამიზაციას ეწინააღმდეგება და თავს იკავებს ერაყის ომის შესახებ აზრის გამოთქმისაგან.

ამ მტკიცების მიუხედავად, ბევრს სჯერა, რომ ერდოგანი ფუნდამენტალისტად რჩება. "იგი 12 წლის ასაკიდან ისლამისტი იყო,- ამტკიცებს მისი ბიოგრაფი, - მას ვერაფერი შეცვლის".

თურქეთში ქალებს საზოგადოებრივ დაწესებულებებში ჩადრის ტარების ნებას არ აძლევენ, "თეთრი პარტიის" წევრები კი ამ აკრძალვის გაუქმებას მოითხოვენ, რაც ქვეყანაში ისლამისტურ ნაბიჯად იქნება აღქმული. როდესაც ერდოქანს ჰკითხეს, მოახდევინებდა თუ არა თავის ცოლს ჩადრს სახელმწიფო დაწესებულებაში, მან უპასუხა, რომ ცოლის თან ტარებას არ აპირებს.

ისლამისტები, სავარაუდოდ, ხმების 30 პროცენტამდე მოიპოვებენ. 18 პროცენტი უჭერს მხარს რესპუბლიკურ პარტიას, რომელიც ჯერ კიდევ ათათურქმა დააფუძნა. დანარჩენ პარტიებს კი 10 პროცენტიანი ბარიერის გადალახვის ნაკლები შანსი აქვთ.

რესპუბლიკური პარტია "წესიერების" ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს. თეთრი პარტიის მსგავსად, ისიც არ ყოფილა ამჟამინდელ პარლამენტში და ამიტომაც, იმ მძიმე ეკონომიკურ კრიზისში, რომელმაც მოსახლეობის მეხუთედი უმუშევარი დატოვა, წვლილი არ მიუძღვის. პარტიის პოპულარობა დიდად გაზარდა მსოფლიო ბანკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, ქემალ დერვიშის შემოერთებამ. ვაშინგტონიდან დაბრუნებულმა დერვიშმა ეკონომიკის მინისტრის პოსტზე ყოფნისას ხელი შეუწყო სავალუტო ფონდიდან ქვეყნისთვის 16 მილიარდიანი კრედიტის გამოყოფას.

ისლამისტები ხალხის ფავორიტები არიან, რესპუბლიკელები – საფონდო ბირჟების. ბევრი მიმომხილველი ფიქრობს, რომ მმართველი



ბულენტ ეჯევითი საარჩევნო ყუთთან.

კოალიცია სწორედ მათ შეიძლება შექმნან. ამით სამხედროებიც კმაყოფილები დარჩებიან, ინვესტორებიც და მოსახლეობაც - ცოტა ხნით მაინც.

სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, მესამე ადგილზეა მედიისა და მობილური კავშირგაბმულობის მაგნატის - ჯემ უზანის პარტია, რომელიც, გამარჯვების შემთხვევაში, ყველა თურქს 200 კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთს, უფასო განათლებას და 30-წლიან შეღავათიან კრედიტებს ჰპირდება. თავის მიტინგებზე მოსულ ხალხს კი უფასოდ აჭმევს. უზანი აცხადებს, რომ უცხოელებს ქვეყნის მართვის ნებას არ მისცემს და სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ქვეყნიდან გაძევებას მოითხოვს. ამერიკისადმი სიძულვილის მიუხედავად, რამდენიმე ხნის წინ მან 40-მილიონიანი ბინა იყიდა მანჰეტენზე. უზანის უცხოელებისადმი ზიზღს და "თურქეთი თურქებისათვის" ძახილს, ბოროტი ხმების თანახმად, "ნოკიასა" და "მოტოროლასადმი" სამ მილიარდიანი გადაუხდელი ვალი განაპირობებს.

უზანზე ნაკლებად ხელგაშლილია ყოფილი პრემიერი, თანსუ ჩილერი. გამარჯვების შემთხვევაში თურქულ ოჯახებს ის მხოლოდ უფასო ტრაქტორებს ჰპირდება.

დასავლეთისათვის ყველაზე მისაღები, ალბათ, რესპუბლიკელების პარტია იქნება. მათმა წინა ფავორიტმა - ისმაილ ჯემის "ახალგაზრდა თურქეთმა", პოპულარობის მოპოვება ვერ მოასწრო.

თავად თურქი ექსპერტები ხაზს უსვამენ თურქეთის მიმართ ევროკავშირის ორაზროვან პოლიტიკას. ერთი მხრივ, ევროპელები, ბუნებრივია, მხარს უჭერენ თურქეთში საერო ხელისუფლების შენარჩუნებას, მეორე მხრივ კი, როგორც კი ხელისუფლება ისლამისტურ პარტიას აკრძალავს, ისინი ქვეყანას მაშინვე არადემოკრატიულობაში ადანაშაულებენ. ეს "ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდების" პოლიტიკა კი ზოგიერთ თურქ ექსპერტს აფიქრებინებს, რომ ბრიუსელს ისლამისტების გამარჯვება სურს, რათა საბოლოოდ მიუხუროს თურქეთს გაერთიანების კარი.

წინასაარჩევნო მდგომარეობის ანალიზისას ექსპერტთა უმეტესობა ერთ დასკვნამდე მიდის – ქვეყანა



თეჯეფ ერდოქანი

დაიღალა გაუთავებელი პოლიტიკური კინკლაობითა და კორუფციით. ანკარაში შედარებით სუფთა და ქმედუნარიანი მთავრობის მოსვლას, უკვე ათეული წლებია, საშველი არ დაადგა. პოლიტიკურ არენაზე იცვლება პარტიები და იდეები, მაგრამ არ იცვლებიან პერსონაჟები, რომელთა უმრავლესობასაც სახელი საბოლოოდ აქვს გატეხილი. თუმცა, საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისაგან განსხვავებით, პოლიტიკოსების უთავბოლობა და მექრთამეობა სახელმწიფოს განვითარებას მაინც ვერ ამუხრუჭებს.

ერთი სიტყვით, ქვეყანას ახალი სისხლი სჭირდება. ამ როლში ამომრჩევლები თეთრ პარტიასა და რესპუბლიკელებს ხედავენ. თუ ისინი შეცდებიან, ეს ქვეყანას არ დააქცევს, რადგან საქმეში არმია ჩაერევა და უხმაურო, უსისხლო სამხედრო გადტრიალების შემდეგ ქვეყანაში ერთი პარტიით ნაკლები დარჩება. ხალხს კი კიდევ ერთხელ მოუხმობენ საარჩევნო ყუთებთან და ამას იმდენჯერ გააკეთებენ, სანამ ამომრჩეველი "ერთი არჩევანის დილემას" წარმატებით არ გადაჭრის. ეს ერთი არჩევანი კი თურქეთისათვის პროდასავლური და ნაკლებად კორუმპირებული მთავრობის შექმნაა.

## მოკლედ

**მოსკოვი.** რუსეთში მომხდარი ტერაქტის თავისებური ახსნა შემოგვთავაზა რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერმა გენადი ზიუგანოვმა. იტალიის გაზეთ "ლა სტამპასათვის" მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ზოგიერთი ოლიგარქი დაინტერესებულია დესტაბილიზაციით, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე მათი კონტროლის განმტკიცებას. მისი თქმით, ტერაქტში დამნაშავეები მოსკოვში უნდა ეძებონ.

"ბოლო ორიოდე კვირაში მოკლეს გუბერნატორი, ააფეთქეს მანქანაში ჩამალული ბომბი, ჩამოაგდეს სამი ვერტმფრენი, და მძევლად აიყვანეს 800 კაცი", – განაცხადა ზიუგანოვმა. მისი აზრით, ეს მოვლენები ერთი სცენარის ნაწილებია. სცენარის ავტორები კი ელცინის დროინდელი "ოჯახის" წევრი ოლიგარქები არიან, რომელთაც პუტინის დასუსტება სურთ.

▪ ▪ ▪

**გროზნო**. "დღეიდან ფედერალური ძალები მთელი ჩეჩნეთის მასშტაბით მასობრივი და მკაცრი, მაგრამ წერტილოვანი სპეცოპერაციების განხორციელებას შეუდგებიან," – განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, სერგეი ივანოვმა.

მინისტრის თქმით, მათ აქვთ ინფორმაცია, რომ ბოევიკები ჩეჩნეთსა და მის საზღვრებს გარეთ ახალი ტერაქტების განსახორციელებლად ემზადებიან. ოპერაციის მიზანია, საფუძველშივე აღიკვეთოს მოსკოვის ტრაგედიის გამეორების საფრთხე. ამ მიზნით, რუსეთი ჩეჩნეთიდან ჯარების გამოყვანის პროცესსაც შეაჩერებს.

როგორც ჩანს, სამხედროები ფართომასშტაბიანი "ზაჩისტკის" ჩასატარებლად ემზადებიან. ამგვარი ოპერაციების დროს ფედერალური ძალები ალყაში აქცევენ სოფელს და აკავებენ მასში მცხოვრებ ყველა საეჭვო ადამიანს, რომელთაც მხოლოდ საბუთების წარდგენის შემთხვევაში ათავისუფლებენ. საერთაშორისო ორგანიზაცია "ემნესტი ინტერნეშენალის" თქმით, "ზაჩისტკები" ხშირად მთავრდება მკვლელობებით, გაუპატიურებებით, ფულის გამოძალვითა და სხვა არაადამიანური ქმედებებით.

სპეცოპერაციის დაწყებას მხარს უჭერს რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც მანამდე თითქმის სრულად ემხრობოდა მძევლების გათავისუფლების ოპერაციას.

გუშინვე ჩეჩნებმა რუსეთის არმიის კიდევ ერთი ვერტმფრენი ჩამოაგდეს, რასაც ცხრა სამხედრო მოსამსახურის სიკვდილი მოჰყვა. წელს ეს უკვე მეცხრე რუსული ვერტმფრენია, რომელიც ჩეჩნეთში ჩამოვარდა.

▪ ▪ ▪

**კოპენჰაგენი.** ჩეჩნეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი აჰმედ ზაკაევი დანიაში პოლიტიკური ემიგრანტის სტატუსით დარჩენას აპირებს. უახლოეს მომავალში, ალბათ, ზაკაევი პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით მიმართავს ამ ქვეყნის ხელისუფლებას. ამის შესახებ ზაკაევის ადვოკატებმა განაცხადეს. ზაკაევი გასულ კვირას დანიის პოლიციამ დააკავა რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნით. იგი დანიაში "ჩეჩენთა მსოფლიო კონგრესის" ორგანიზების მიზნით იმყოფებოდა. ზაკაევს რუსეთი სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით სდებს ბრალს – შეიარაღებული აჯანყება, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბება და სამართალდამცველებზე თავდასხმა. ჯერჯერობით, ზაკაევი ციხეში იმყოფება, სადაც 12 ნოემბრამდე დარჩება.

▪ ▪ ▪

**ჩეჩნეთი.** რადიოსადგურ "ეხო მოსკვის" ცნობით, ჩეჩენმა მებრძოლებმა რაიონულ ცენტრ ვედენოში ხუთი რუსი სამხედრო მოსამსახურის განადგურება შეძლეს. ეს ინფორმაცია ჩეჩნების ინტერნეტ-გვერდმა გაავრცელა. რუსი სამხედროები ამ ცნობას ჯერ არ გამოხმაურებიან. ბოლო ორი დღის განმავლობაში ჩეჩნეთში სატვირთო ავტომანქანებზე თავდასხმების სერია განხორციელდა. ჩეჩნური მილიციისა და რუსეთის შინაგანი ჯარების წარმომადგენლებმა თავდამსხმელების აღმოჩენა და დაკავება ვერ შეძლეს.

▪ ▪ ▪

**ერევანი.** დღეს ერევანში ოფიციალური ვიზიტით ჩადის რუსეთის პრემიერ-მინისტრი მიხაილ კასიანოვი. სამთავრობო დონეზე მოლაპარაკების დროს მხარეები რამდენიმე დოკუმენტს მოაწერენ ხელს. განხილვის მთავარი თემა იქნება სომხეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების რუსეთის მხარისათვის გადაცემა, რაც სომხეთის რუსული ვალის გასტუმრებისთვის არის საჭირო. კასიანოვი სომხეთის პრეზიდენტს, სომხური ეკლესიის პატრიარქს და საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლებს შეხვდება. რუსეთის პრემიერ-მინისტრი პატივს მიაგებს სომხების გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნას.

▪ ▪ ▪

**სან-ჯულიანო დი პულია.** კვირას სამხრეთ იტალიის ქალაქ სან-ჯულიანო დი პულიაში დაკრძალეს ხუთშაბათის მიწისძვრის შედეგად სკოლის შენობის ჩამონგრევისას დაღუპული 29 ადამიანი, რომელთაგან 26 მცირეწლოვანი ბავშვი იყო. დაკრძალვის ცერემონიას დაესწრნენ იტალიის პრეზიდენტი კარლო აძელიო ჩამპი და წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე პიერ ფერდინანდო კაზინი. დაღუპულთაგან ერთ-ერთი ბავშვი ქალაქის მერის ქალიშვილი იყო. დღეისათვის საავადმყოფოებში იმყოფება მიწისძვრისაგან დაზარალებული 140 ადამიანი. იტალიელმა პროკურორებმა სკოლის დანგრევის მიზეზების გამოძიება დაიწყეს. სკოლის სიახლოვეს მდგარი შენობები 5,4 ბალიანი მიწისძვრისაგან თითქმის არ დაზიანებულან, სკოლა კი თითქმის მთლიანად დაინგრა, რაც ბადებს ეჭვს, რომ სკოლა უხარისხოდ იყო აშენებული. სკოლა 1950-იან წლებში ააგეს, მაგრამ გასულ წელს მას ორი ახალი სართული დააშენეს.

▪ ▪ ▪

**თელ-ავივი.** ისრაელის დედაქალაქში ყოფილი პრემიერ-მინისტრის იცხაკ რაბინის გარდაცვალების მეშვიდე წლისთავი აღნიშნეს. ცერემონიაზე 100 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. შეკრებილებმა მოისმინეს ეგვიპტის პრეზიდენტის მუბარაქის, იორდანიის მეფე აბდულას და შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის კლინტონის სიტყვის ჩანაწერები, რომელშიც ისრაელ-არაბეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში იცხაკ რაბინის მიერ შეტანილ დიდ წვლილზეა ლაპარაკი.

▪ ▪ ▪

**ბაღდადი.** "ერაყი არასოდეს გახდება მეორე ავღანეთი," – განაცხადა ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა ეგვიპტურ ჟურნალ "ალ-უსბუასთვის" მიცემულ ინტერვიუში. სადამის თქმით, ერაყი ყოველ წუთს მზადაა ამერიკის თავდასხმის მოსაგერიებლად. მისი ინტერვიუს ტექსტი მთლიანად გადასცა კატარის ტელეკომპანია "ალ-ჯაზირამ".

# აზერბაიჯანის მმართველ ოჯახს ამერიკული მართლმსაჯულება დაეძებს

სააგენტო "თურანის" ცნობით, ჩეხმა ბიზნესმენმა ვიქტორ კოზენიმ და რამდენიმე ამერიკელმა ინვესტორმა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევს, მის ვაჟს, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის ვიცე-პრეზიდენტს ილჰამ ალიევსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელს ნასიბ ნასიბოვს ნიუ იორკის სასამართლოში უჩივლეს. ბიზნესმენები აზერბაიჯანის მმართველი ოჯახის წევრებისაგან 100 მილიონ დოლარს მოითხოვენ.

ვიქტორ კოზენიმ ეს თანხა საინვესტიციო კომპანიებიდან შეაგროვა, რათა აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის პრივატიზებაში მიეღო მონაწილეობა. ამასობაში აზერბაიჯანის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ნავთობის კომპანია სახელმწიფოს მფლობელობაში უნდა დარჩენილიყო. ამერიკელი ინვესტორების განცხადებით, ალიევების ოჯახმა აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრივატიზება მას შემდეგ გადაიფიქრა, რაც ამერიკულ კომპანიებს (Daventree Ltd., Audia Investment, Oily Rock Group) საპრივატიზაციო ჩეკების შეძენაზე უკვე რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი ჰქონდათ დახარჯული.

ნიუ იორკის სამხრეთის ოლქის სასამართლომ ინვესტორების სარჩელი დააკმაყოფილა და აზერბაიჯანის პრეზიდენტი და მისი ვაჟი (რომელიც ალიევის მემკვიდრედაც განიხილება) რეკეტში, გამომძალველობასა და ფულის გათეთრებაში დაადანაშაულა. შესაბამისად, ალიევებმა 100 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადონ. ისიც უნდა ითქვას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება 60 დღის ვადაში უნდა შესრულდეს.

ამერიკელი ინვესტორების მიერ ნიუ იორკში აღძრული სარჩელის შესახებ ინფორმაცია უკვე აზერბაიჯანულმა გაზეთებმაც გამოაქვეყნეს, მათ შორის - ოპოზიციურმა "იენი მუსავატმაც".

რუსული "ნეზავისიმაია გაზეტას" კომენტარის მიხედვით, ამერიკული თემიდა უკვე ყოვლისშემძლე ხდება ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ხოლო ამერიკის პოლიტიკურ გავლენას ამერიკული მართლმსაჯულების გავლენაც ემატება. ჰეიდარ ალიევი მაღალი რანგის მესამე ოფიციალური პირია (პაველ ბოროდინისა და ლეონიდ კუჩმას შემდეგ), რომლის წინააღმდეგაც დასავლეთის სასამართლოებმა განაჩენი გამოიტანეს.

# „ლუკოილი„ აზერბაიჯანული გაზის საბადოზე უარს ამბობს

რუსული ნავთობკომპანია "ლუკოილის" პრეზიდენტმა ვაგიტ ალეკპეროვმა განაცხადა, რომ კომპანია აზერბაიჯანული გაზის საბადო "შაჰდენიზის" ათპროცენტიანი წილის გაყიდვის საკითხს განიხილავს. ამის შესახებ იუწყება რუსულენოვანი აზერბაიჯანული გაზეთი "ზერკალო".

"ლუკოილის" მონაწილეობა აზერბაიჯანის ნავთობის გადამუშავების საერთაშორისო კონსორციუმში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც "ლუკოილი" იყო ერთადერთი რუსული ნავთობკომპანია, რომელმაც ამ კონსორციუმში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. თავის დროზე რეგიონის პოლიტიკური ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ "ლუკოილის" აზერბაიჯანული ნავთობის პროექტებში ჩართვამ რუსეთის მთავრობის მხრიდან აზერბაიჯანზე პოლიტიკური ზეწოლა შეარბილა. გასული წლის მიწურულს "ლუკოილის" აზერბაიჯანული ნავთობით დაინტერესება ისე გაიზარდა, რომ "ლუკოილის" პრეზიდენტი ვაგიტ ალეკპეროვი არამცთუ ნავთობის დამუშავებაში, არამედ ნავთობის ტრანსპორტირებაში მონაწილეობაზეც კი ალაპარაკდა. ალეკპეროვი მაშინ თითქოს მზად იყო, თავის თავზე აეღო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაფინანსების გარკვეული ნაწილი.

მოგვიანებით ალეკპეროვმა განაცხადა, რომ "ლუკოილი" მხოლოდ იმ აზერბაიჯანული საბადოების დამუშავებას გააგრძელებდა, რომლის ოპერატორიც თავად იყო – ანუ საუბარი იყო ჩრდილოეთ აზერბაიჯანის კასპიის შელფზე განლაგებული "იამალის" ნავთობსაბადოზე. გასულ თვეში გავრცელდა ხმა, რომ "ლუკოილი" აპირებდა, გაეყიდა "აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის" საბადოს ათპროცენტიანი წილი, მაგრამ ეს ხმა არ დადასტურდა. ბოლო დღეებში კი ცნობილი გახდა, რომ "ლუკოილი" დანამდვილებით აპირებს, გაყიდოს გაზის საბადო "შაჰდენიზის" წილი. "შაჰდენიზის" დამუშავების პროექტში "ლუკოილი" იტალიურ კომპანია "აგიპთან" ერთად მონაწილეობს. რუსული და იტალიური კომპანიები ერთად აპირებენ, უარი თქვან "შაჰდენიზის" საბადოს დამუშავებაზე. კომპანიებმა თავიანთი წილის გაყიდვაზე ღია ტენდერი შეიძლება დეკემბრის დასაწყისში გამოაცხადონ, თუმცა, ამის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას მოგვიანებით მიიღებენ.

"ლუკოილის" პრიორიტეტების მკვეთრი ცვლილება ახალი პროექტების გაჩენამ გამოიწვია – "ლუკოილი" აპირებს, მურმანსკში დიდი ნავთობტერმინალის მშენებლობაში მიიღოს მონაწილეობა. როგორც ჩანს, "ლუკოილი" სულ უფრო მეტი ყურადღებით ეკიდება ამერიკული ნავთობის ბაზრის ათვისების საკითხს.

გაზეთი "ზერკალო" "ლუკოილის" ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ასკვნის, რომ რუსული კომპანიის ადგილს ნებისმიერი უცხოური კომპანია სიხარულით დაიკავებს. მეორეს მხრივ, რუსული კომპანიის აზერბაიჯანული პროექტიდან გამოსვლა შეიძლება პოლიტიკური მოტივებით უფრო იყოს განპირობებული, ვიდრე- ეკონომიკური მოსაზრებებით.

# სად წავიდა მილიონი ადამიანი?

*წლის დასაწყისში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგების მიხედვით (რომელიც რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი), საქართველოს მოსახლეობა ოთხ მილიონ-ნახევარზე ოდნავ მეტია. უკანასკნელად ჩატარებული აღწერის მაჩვენებლისგან განსხვავებით, საქართველოს მოსახლეობამ ერთი მილიონით იკლო.*

ეთერ მამულაშვილი

ჩვენს ქვეყანაში წინა აღწერა 1989 წლის იანვარში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში ჩატარდა. მაშინ საქართველოში მცხოვრებთა რაოდენობა 5.400.841-ს უტოლდებოდა. მაშინდელსა და დღევანდელს შორის სხვაობა, ერთი შეხედვით, განგაშის საფუძველს ნამდვილად იძლევა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობს ეს ცოტათი დამამშვიდებელიც უნდა იყოს.

დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველოს ბოლო მონაცემებით, დღეისთვის საქართველოდან გასულია 1537 მოქალაქე, თუმცა, ექსპერტები თვლიან, რომ ეს ციფრი ძალიან შორს არის რეალობისგან. მათი შეფასებით, ქვეყნის საზღვრებს გარეთ საქართველოს მილიონზე მეტი მოქალაქე მოღვაწეობს.

სხვაობა, დამოუკიდებელ ექსპერტთა მონაცემებსა და ოფიციალურ სტატისტიკას შორის, დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველოს უფროსის მოადგილემ მანანა სხირტლაძემ ასე აგვიხსნა: "ვაღიარებთ, ჩვენი მონაცემები არაზუსტია. ვფიქრობთ, რომ საქართველოდან წასულთა რიცხვი, მართლაც, მილიონს აჭარბებს. ქვეყნის დატოვების შესახებ ოფიციალური განაცხადი წარადგინა მხოლოდ 1537-მა მოქალაქემ, დანარჩენმა კი არალეგალურად გადაკვეთა საზღვარი".

დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის თანამშრომლის, გიორგი წულაძის შეფასებით, უკანასკნელ წლებში მიგრაციის მკვეთრი ზრდა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ადეკვატურია. თუმცა, ამ მხრივ, საქართველოსგან განსხვავებით, სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში გაცილებით უარესი სიტუაციაა. თუ დღეს ჩვენი ქვეყნიდან წასულთა რაოდენობა საერთო მოსახლეობის 19 პროცენტს შეადგენს, სომხეთში ეს მაჩვენებელი 26 პროცენტს აღწევს. მოლდოვაში, რომლის ფართობი, დაახლოებით, საქართველოს ნახევარია, ქვეყნიდან გასულთა რაოდენობა საერთო მოსახლეობის 30 პროცენტია. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა აზერბაიჯანში - უკანასკნელ წლებში, მარტო რუსეთში, ორი მილიონი მოქალაქე წავიდა, რაც აზერბაიჯანის მოსახლეობის, დაახლოებით, 25 პროცენტია.

საქართველოდან დროებით თუ მუდმივად წასულთა ზუსტი რაოდენობა წლის ბოლოს გახდება ცნობილი, როცა იანვარში ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემების დამუშავება დასრულდება. შეგახსენებთ, რომ ქვეყანაში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომლისთვის მზადებაც 1995 წელს დაიწყო, მიმდინარე წლის 17-24 იანვარს ჩატარდა. აღწერა შეეხო საქართველოს იურისდიქციაში მყოფ ყველა ტერიტორიულ ერთეულს, გარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონისა. თუმცა, როგორც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ვარაუდობს, ამ ტერიტორიებზე მოსახლეობის რიცხვიანობა ქვეყნის მოსახლეობის ხუთ პროცენტზე ნაკლები უნდა იყოს.

# უპატრონო „ჩანგი" „პურმარილის ქვეყანაში"

*ბაზრობაზე რვა გამოკითხულიდან ხუთმა არ იცოდა, რომ იქვე აკაკი წერეთლის ძეგლი დგას, მას ჩანგი უჭირავს და დაფიქრებული დაჰყურებს იმ აურზაურს, რომელსაც ბაზრობა ჰქვია. როდესაც დანაშაულისთვის არავინ ისჯება, მაშინ კანონის არასრულყოფილებაზე უნდა დავფიქრდეთ. როდესაც დანაშაულისთვის არავინ ისჯება, მაშინ კანონშემოქმედებითი ნებაყოფლობითი უუნარობასთან გვაქვს საქმე და სტრუქტურული მიზეზით უნდა აიხსნას, რადგან ყალბი მხოლოდ და მხოლოდ დასჯა კანონის აღმასრულებელთა მოვალეობაა.*

დალი კუპრავა

სახელმძღვანელოების ბაზრობები მინავლდა. თუმცა, ნაადრევი აღმოჩნდა გამომცემლობა წლევანდელი სეზონით გამოწვეული კმაყოფილება, რომ თბილისში ყალბი წიგნების ბაზარი მოკვდა.

გამომცემლობა "ლოგოს პრესმა" ა.წ. 30 სექტემბერს "დინამოს" სტადიონთან, აკაკი წერეთლის ძეგლის ირგვლივ მდებარე დახლებზე აღმოაჩინა საკუთარი გამოცემის სახელმძღვანელოთა ყალბი ეგზემპლარები, კერძოდ, VII და VIII კლასების მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოები.

"სახელმძღვანელოები მიმდინარე 2001 წლის გამოცემებია. ფულის ასახვედად, თავსა და ბოლოში, რამდენიმე ფურცელი ლუქტურაცია, დანარჩენი კი მაქ-თეორია. 2001 წლის გამოცემით, რომლებიც მარშანდლიდან ნაშთის სახით გვქონდა შემორჩენილი, 10 სექტემბერამდე გავყიდეთ", - განაცხადა გამომცემლობა "ლოგოს პრესის" ხელმძღვანელმა მერაბ ბერაიამ.

გამომცემლობის წარმომადგენელმა ოთხი ყალბი ეგზემპლარის ყიდვა მოინდომა, გამყიდველმაც დაუზარებლად მოიტანა საწყობიდან და, სურვილის შემთხვევაში, დიდი რაოდენობაც აღუთქვა.

აღმოჩენის სიხარულით საქმე "ლოგოს პრესის" "თანამშრომელმა საწყობსაც მიაგნო: ბავშვთა სამყაროს შენობაში, მეტროს ამოსასვლელთან, რომელიც თევდორე მღვდლის ქუჩაზე გადის, ავეჯის სახელოსნოს გვერდით შესასვლელში, სასადილო "პურმარილის ქვეყნის" მეზობელ დერეფანში. ინფორმაცია გამომცემლობამ რამდენიმე შესაბამის უწყებას წერილობით მიაწოდა და სთხოვა: "სახელმწიფო მინისტრის 2001 წლის 3 ოქტომბრის ბრძანებულების მოთხოვნათა შესაბამისად, მოახდინონ რეაგირება ჩვენს წერილზე და, ყალბი პროდუქციის პოვნის შემთხვევაში, მოგვაწოდონ ოფიციალური ცნობა ან აქტი ნაპოვნი კონტრაფაქტული პროდუქციის დასახელებებისა და ოდენობის თაობაზე".

"ჩვენმა სამსახურმა გააკეთა ის, რაც მის უფლებებში შედიოდა", - გვითხრა საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურის მუშაკმა სლავა ფუტკარაძემ. ანტიმონოპოლიური სამსახურის მოვალეობაა კანონდარღვევის გაფორმება და დოკუმენტების აღმოფხვრა. კერძოდ, შსს-თან ერთად, მათ "მოინახულეს" შემთხვევის ადგილი. შეადგინეს აქტი და, აქტის საფუძველზე, - მიწერილობა, რომელიც ბაზრობის ადმინისტრაციამ არ მიიღო.

ამის შემდეგ შედგა აქტი ადმინისტრაციისას ხელის შეშლის თაობაზე და გადაეგზავნა დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს. აქტი და მიწერილობა ბაზრობის ადმინისტრაციას გაეგზავნა, ამჯერად, დაზღვეული ფოსტით.

შსს-ს მე-6, კორუფციისა და ეკონომიკურ დანაშაულებებთან ბრძოლის განყოფილების უფროსმა გიორგი ერმაკოვმა გვითხრა, რომ ეცნობა ერთად, მათ უკვე გადატრანსპორტირეს, რომ ოცდა სისტემის შესახებ, მათ ადმინისტრაციული ზემოქმედების მექანიზმი არა აქვთ. მათ უკანონო საქმიანობა ამოღება არ შეუძლიათ, ხოლო სისხლის სამართლის 189-ე მუხლი მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როცა, როგორც უკვე ვთქვით, აღმოჩენის შემდეგ ფაქტი დადასტურდება.

შპს "ჩანგი", რომელსაც, სავარაუდოდ, ეკუთვნის "ლოგოს პრესის" მიერ აღმოჩენილი საწყობი, ბაზრობის ტერიტორიაზეა. და თუ მართალია, რომ ბაზრობას არ ეკუთვნის, მაშინ ვისია "ჩანგი"?

## მოკლედ

**თბილისი.** ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს მიერ გადმოცემული, რადიაციული წყაროების საძიებო აპარატურის გამოყენება საქართველოს რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების სამსახურს კიდევ 6 თვე შეუძლია. სამსახურის უფროსის სოსო კაკუშაძის განცხადებით, აპარატურის გამოყენებაზე ვადა საქართველოს 31 ნოემბრამდე ჰქონდა, მაგრამ მისი გაგრძელება მოითხოვა და თანხმობაც მიიღო. ეს მოთხოვნა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიის შემოწმების საჭიროებას უკავშირდება. ამაზე მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. შეგახსენებთ, რომ აპარატურა საქართველოს ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს დახმარებით მაისში გადმოეცა და მასში შედის ხელსაწყოები აშშ-დან, გერმანიიდან და თურქეთიდან. ეს აპარატურა უკვე გამოიყენეს რადიაციული წყაროების ოპერაციების ჩატარებისას აჭარაში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და სვანეთში. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბორჯომის რაიონის ახალი გამგებელი ზაზა ჯოხაძე ხეობაში ხე-ტყის უკანონო ჭრის შესაჩერებლად, სადამსჯელო ზომების გატარების მიზნით, ამზადებს სპეციალურ კანონპროექტებს, რომლებსაც შესაბამის უწყებებს უახლოეს დღეებში წარუდგენს. "ხე-ტყის უკანონო ჭრის პრობლემა მარტო გამგებლის მოსაგვარებელი არ არის, ამისთვის ქვეყნის პოლიტიკური ნებაა საჭირო", - აცხადებს გამგებელი. ზაზა ჯოხაძის ინიციატივით, უკვე 3 თვეა, ბორჯომის ხეობაში ხე-ტყის უკანონო ჭრის შესაჩერებლად რადიკალური ზომების გატარება დაიწყო. კერძოდ, ადგილობრივი ძალოვანი სტრუქტურების მიერ გადაკეტილია ყველა საგზაო მონაკვეთი, საიდანაც ბოლო წლების მანძილზე მასობრივად გაედინებოდა ხე-ტყე. დადგენილია რამდენიმე ფაქტი, რომლებზეც მიმდინარეობს მოკვლევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში, მუხრანის ტყე-პარკში დასრულდა "SOS-ბავშვთა სოფლის" მშენებლობა. ასეთი ტიპის 423 სოფელი მსოფლიოს 131 ქვეყანაში უკვე არსებობს. ქუთაისური სოფელი 12 ოჯახისგან შედგება და 100 მიუსაფარ და ობოლ ბავშვზეა გათვლილი. ერთ ოჯახში, რომელსაც დედა და დეიდა ეყოლება, 8 ბავშვი და-ძმასავით იცხოვრებს. სოფლის შენახვისთვის წელიწადში ნახევარი მილიონი დოლარი დაიხარჯება. ამ თანხას გაიღებს გერმანული საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია "კინდერ-დორს ინტერნაციონალი". ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, მუხრანის ტყე-პარკში აშენებული სახლები, მსოფლიოში არსებულ ანალოგიური ტიპის სახლებს შორის, სტანდარტების თვალსაზრისით, ხუთეულში შედის. ქუთაისში "SOS-ბავშვთა სოფლის" მშენებლობა გერმანელთა ინიციატივით, 1999 წელს დაიწყო. **ინტერ-პრესი**

# ყველაფერს მირჩევნია საქართველო და... ჩემი ძმაკაცები


ლევან ხერხეულიძის ფოტო

ძველბიჭობა - ასაკობრივი სახადი თუ სოციალური პრობლემა?

*თბილისი თითქოს უკვე აღარ ჰგავს გასული საუკუნის 90-ანი წლების განგსტერთა ქალაქს. თბილისი შეიცვალა. და არა მხოლოდ ვიზუალურად. შეცვლილია თბილისელთა ტიპებიც. შეიცვალა ადათ-წესები, სუბკულტურა, ღირებულებები, პრინციპები; შეცვლილია მოზარდი ბიჭების ქცევითი სტერეოტიპები, ლაპარაკის მანერა და ჟარგონიც...*

ირინე სანებლიძე

**ადვილად ამოსაცნობი ობიექტი:** "...*ცუდად მოვლილი, გაუპარსავი და არცთუ ჯანსაღი სახის ფერის მქონე პირქუში ფიგურა, დამახასიათებელი ლაპარაკის მანერითა და მიხრა-მოხრით... მუქი სათვალით, რასაც პრაგმატული საფუძველი აქვს*" (შესაძლოა, რაღაცას მალავს)... "*კისერი და თავი გაშეშებულია, მხრები წინაა წამოწეული, ხელები მოდუნებულია... საუბრის დროს ერთი ან ორივე ხელი იდაყვში იხრება და მოდუნებული მაჯა სიტყვების ტაქტში მოძრაობს. თუ "ბაზარმა" უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო, ჟესტები მუქარანარევი ხდება – მოდუნებული მხოლოდ შუა და უსახელო თითები რჩება, დანარჩენი თითები კი გახევებულია და ოპონენტისაკენ მიმართული, აქცენტირდება ქვემოთკენ მიმართული მოძრაობები*"

("ძველი ბიჭები", გაგა ნიჟარაძე, ფსიქოლოგი, ჟურნალი "დრო მშვიდობისა", 03.01.)

## შეხვედრა

თბილისის ძველი უბნის ერთ-ერთი სკოლის ეზოში დგას ექვსიოდე, დაახლოებით, ერთი ასაკის *თინეიჯერი* ბიჭი, ჩვეული "ბაზრითა და ფურთხებით გართულნი". ურთიერთობის ფორმა კამათს კი ჰგავს, მაგრამ შინაარსი უნისონში ჟღერს - ერთსა და იმავეს ამტკიცებენ.

## გაცნობა

"ვაჟკაცი კაცი ვარ, ზრდილობიანი და პატიოსანი, *დაჟე*, სიგარეტსაც არ ვეწევი. ურთიერთობებში არაფერი მეშლება, ვიცი, ვისთან, როგორ უნდა მოვიქცე. ჩემხელა ძველი ბიჭები ეგრე არ არიან, ძირითადათ, სუ ქუჩაში არიან, სკოლაში ან ინსტიტუტში არ დადიან, განათლების მიღება არ უნდათ. დადიან აჯაჯულები, ცუდათ აცვიათ, არა, შეილება, მაგრა ეცვას, მაგრამ დაჭმუჭნულად და ჭუჭყიანად"...

("*მათთვის სრულიად უცხოა ელეგანტურობა და, მით უმეტეს, რაიმე ექსტრავაგანტურობა ჩაცმულობაში. იგულისხმება, რომ განსაკუთრებული ყურადღება საკუთარი გარეგნობის, მოდის მოთხოვნათა მიმართ, "არაკაცურია". აქედან - ასე ვთქვათ, "დაუდევარი სტილი", თითქოსდა, უყურადღებობა ჩაცმისადმი*" - *გ. ნიჟარაძე*).

"ისინი გამოდიან გარეთ, დგანან, იყურებიან აქეთ-იქით, შეილება, *დაჟე*, პატარა ბავშვებიც *წაახიპიშონ* ერთმანეთში. მერე *ბირჟაზე* ნელ-ნელა გროვდებიან ძმაკაცები. არა, მეც ვდგევარ ხოლმე *ბირჟაზე*, ჩემი ძმაკაცები დგანან და... აბა, სუ სახში ხო არ ვიქნები?! უფროსი ძმაკაცები როგორც ცხოვრობენ, მეც მინდება, მომწონს რა! აბა, რისი ძმაკაცია?! არა, ხანდახან რეებსაც უყურებ, ეგეთი ნაღდად არ ვარ. ვინმეს, ვთქვათ, რო ფული ავახიო ან რაღაც ეგეთი, არ არსებობს. ესეთი რაღაცეები, მგონი, ოჯახის ბრალიც არის. ჩემთვის რო არ მოეხედათ, უარესი ვიქნებოდი. არა, არც ეხლა ვარ ძველი ბიჭი, მარა"...

("*არც ერთი ძველი ბიჭი არ იტყვის საკუთარ თავზე, ძველი ბიჭი ვარო. სხვებზე, იცოცხლეთ, იტყვის. როგორც ჩანს, ძველი ბიჭი გულის სიღრმეში გრძნობს, რომ მისი ცხოვრების სტილი ფუჭია და უპერსპექტივო, მაგრამ ვინაიდან მასზე ხელს ვერ იღებს, ამიტომ ფსიქოლოგიურ თავდაცვას მიმართავს - საკუთარ თავს არწმუნებს, მე არა ვარ ძველი ბიჭი, გაცილებით უფრო ღრმა და რთული პიროვნება ვარ*"... *გ.ნიჟარაძე*).

## ოჯახი და მეგობრები

"მშობლები და ოჯახის ახლობლები, მე და ჩემ ძმაკაცებს, სუ გვეუბნევიან - მიხედეთ სწავლას, თორე, რო გაიზრდებით, ინანებთო. *იასნია*, ჩვენზე მეტი აქვთ ნანახი და იმიტო ამბობენ. უფროსი ძმაკაცებიც სუ გვეუბნევიან, რათ გინდათ აქ დგომაო. ეხლა ისეთი დრო მოდის, თუ ნასწავლი არ ხარ - *კაროჩეო*... ჩვენ რო არ ვისწავლეთ, იმიტო ვართ ასეთებიო, ეხლა კი უკვე გვიანააო. ბევრჯერ რაღაცეები მინანია, მერე მშობლები რო მიხსნიან რაღაცეებს, ჭკუას მარიგებენ, აქ (გული!) რაღაც მტკივა ხოლმე: ვხვდები, რომ მართალს ბაზრობენ, მარა მერე ძმაკაცს შეხვდები, გაერთობი და გავიწყდება რა! ისე, მშობლებთან, ორივესთან მეგობრულად ვარ, მაგრამ დედასთან უფრო. მართალი რო უთხრა, არ დამსჯიან, მაგრამ... ამიტო ხანდახან ვიტყუები, მაგრამ ისინი არ ტყუვდებიან; მამა დედაჩემთან შედარებით უფრო მკაცრია. ისე, მეც მასეთი მამა ვიქნები. ისეთი არ უნდა იყოს მამა, რომ შვილმა იმის პატივისცემა დაკარგოს. მეზობელი მყავს, მაგარი მდიდარი მამა ყავს, მარა, დედას ვფიცავარ, თუ ყოველდღე იმაზე მეტი ფული არ მედოს. არ აძლევს რა, *უჟმოტავს* მამამისი. რა, კაია ასე?!.. ჩვენ უფრო უფროსი ძმაკაცებისგან ვსწავლობთ რაღაცეებს, ვსწავლობთ ცუდსაც და კარგსაც. ერთმანეთისგან, როგორმე, ვარჩევ კარგსა და ცუდს... კაი ბიჭებს ყველა პატივს ცემს, ყველა გამარჯობას ეუბნევა. ბევრს იცნობს. როცა სუ სახში ხარ და სწავლობ, კონტაქტში არა ხარ ხალხთან".

("ძველი ბიჭი "*ხშირად დიდაქტიკურ საუბარს მიმართავს, რომლის თემას ხშირად სწავლისა და განათლების აპოლოგია შეადგენს. ძველი ბიჭი სინანულს გამოთქვამს, რომ ცხოვრების უკუღმართობამ იგი ადრე მოწყვიტა ცოდნის წყაროს და დამსწრეებს მოუწოდებს, წიგნი იკითხონ, ისწავლონ და ა.შ. ძველი ბიჭისათვის აუცილებელია, რაც შეიძლება, ფართო და, რაც მთავარია, ავტორიტეტული ნაცნობების წრის ყოლა. ახლად გაცნობილ თანატოლთან ურთიერთობისას, პირველ რიგში, ირკვევა საერთო ნაცნობების წრე - ამის მიხედვით დგინდება თანამოსაუბრის რანგი*" - *გ.ნიჟარაძე*).

## ძალიანაც მოსწონს, რომ ასეთია

"ჩემგან განსხვავებულები არიან ჩანთოსანი და *აჩკებიანი* ტიპები. ასეთს ვიღაც ნაღდად დასცინებს, რაზე უნდა დაცინიო თავი კაი ბიჭებს? ეგეთები თან კომპლექსიანებიც არიან. როცა ჩაგრავენ და ვერაფერს ვერ ეუბნევა, ჩაკეტილი ხდება, ამიტომ ნელ-ნელა კომპლექსდება. ამდენი სწავლისაგან უკვე ჭკუა აქვთ, დედას გეფიცები, დახშული.

მეც ვმეცადინეობ. საღამომდე ვასწრებ იმის სწავლას, რაც მაინტერესებს. ვამაყობ, რომ განათლებული ვარ, ვიღაცაზე მეტად. მერე უბანში გავდივარ. ყველაზე დიდი სიამაყე ისიც არის, როცა ხალხი პატივს გცემს... რავი, ისეთი ცხოვრებაა, რო თუ ქუჩასთან შეხება არ გაქ, ისე ვერ იქნები...

ერთი პრობლემა მქონდა, მოვაგვარე: ცოტა ხნის წინ, ფეხბურთიდან გამოვედი იმიტო, რო ველარ ავყევი, ვაცდენდი ხოლმე. აუ, მაგრა მიყვარს სპორტი. ცხოვრებაში ვიცი, რა მინდა - გამოვალ პროგრამისტი და იურისტი. ამას მინდა, რო მივაღწიო და ვიცი, მივაღწევ კიდეც!

რაც მთავარია, უბანში არ მაქ პრობლემა. შეცდომებიც მომსვლია, მარა სასწაულები - არა. იმდენი პატივისცემა ნაღდად მაქ, რომ გავივლი უბანში, კაი გამარჯობას მეტყვიან, გადამკოცნიან... რო მოვინდომო, უფრო მაგარი ვიქნები, მაგრამ არ მინდა. არა, არა, ძალიანაც მომწონს, ასეთი რო ვარ!...

## ძველბიჭობა - ასაკობრივი სახადი თუ სოციალური პრობლემა?

ბავშვთა ფსიქიკური დარღვევების დიაგნოსტიკისა და კორექციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ქეთევან მაყაშვილი:

- ეს არის მოზარდი, თენეიჯერი, რომლის ქცევის *ფორმა* გამოხატულად პრეტენზიულია, მიმართულია ხაზგასმულ თვითგამოხატვასა და თვითდამკვიდრებაზე თანატოლთა შორის, ხოლო ქცევის *შინაარსი* მწირი და რეალობას მოკლებულია. როგორც შედეგი, "ძველბიჭობა" შეიძლება გამოიხატოს დაწყებული ზედმეტად თვალშისაცემი, გამომწვევი მოქმედებებითა და საუბრით (ფურთხება, გინება), დამთავრებული - მიზეზს მოკლებული საბაბით, პროვოცირებული ჩხუბებითა და ასოციალური ქმედებებით. "ძველბიჭობა" ტიპურად ასაკობრივი მოვლენაა და მისი გამოვლენა თინეიჯერებში გამოწვეულია როგორც გარე ფაქტორებით - აღზრდის სტილით, სოციალური ვითარებით, ასევე შინაგანით - ასაკის ფსიქოლოგიური სტრუქტურითა და მექანიზმებით.

***მშობლების (და არა მარტო მათ) საყურადღებოდ:***

- ძალიან მკაცრი, ან ძალიან ლოიალური მშობელი აფერხებს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებას. საძიებელია ის ოქროს შუალედი, როცა მშობელი ახერხებს, აჰყვეს ბავშვის პიროვნული განვითარების ასაკობრივ საჭიროებებს, ანუ შვილს ბუნებრივ თავისუფლებაში ზრდის; მაგრამ ცივილიზაციის შემოტევა ყოველ ნაბიჯზე აფერხებს ამ, ერთი შეხედვით, თავისთავად პროცესს. მაგალითი კი უამრავია: შებინდებულზე დედის წყნარი ხმით მოყოლილი ზღაპრის ნაცვლად, ურჩხულებიანი მულტფილმის სანახავად ტელევიზორთან მიმჯდარი ორი-სამი წლის პატარა; ან მამასთან ერთად ხმელი ფოთლებით დანთებული კოცონის ნაცვლად, გასეირნება მანქანით. დიდებისთვის ეს უწყინარი ყოველდღიურობაა, სასურველი კომფორტი, პატარა ადამიანისთვის კი - სამყაროს მთლიანობისა და სანდოობის განცდის დაკარგული შანსი. დაძაბული სოციალური ურთიერთობები, მშობლებზე მოსული სოციალური პრესი, არანაკლებ სირთულეებს უქმნის მოზარდ პიროვნებას. დედა წვრილი ბიზნესით (ვთქვათ, ვაჭრობით) არის დაკავებული, ან, კარგი მომავლის უზრუნველსაყოფად, საჭირო კარიერას იკეთებს, ბავშვს ბებია ზრდის, ან, სულაც, ძიძა ჰყავს. პატარა მოვლილია, ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ რაღაც მაინც იკარგება - ის, რაც მშობლის ბუნებრივი პრეროგატივაა - წინასწარ ჭვრიტოს და შვილსაც აგრძნობინოს მისი, ჯერ არშემდგარი მეობა, პიროვნულობა. ისე არ გამიგოთ, თითქოს ზოგადად წინააღმდეგი ვიყო მშობელთა, კერძოდ, დედის სოციალური აქტივობისა. პრინციპული წინააღმდეგობა აქ არ იქმნება. საქმე ეხება შინაგან ღირებულებათა, განწყობათა რეიტინგს, რომელიც სოციუმის (მაგალითად, დიდი ოჯახი, სამეზობლო, სოციალური ჯგუფი, ან უფრო მსხვილი სოციალური ერთეული) მოთხოვნათა სასარგებლოდ იცვლება. სხვათა შორის, იგივე პრობლემის წინაშე დგანან პროფესიონალი აღმზრდელები (მასწავლებლები), რომლებიც იძულებულნი არიან, ცალსახად მოერგონ დაწესებულ კურიკულუმს და სხვა სასკოლო წესებს.

აღმზრდელთა სოციალური პრესინგი იმითაც არის აღსაზრდელთა განვითარების შემაფერხებელი, რომ იგი ურთიერთობებს შენიღბულს, არაგამჭვირვალეს ხდის. ურთიერთობის შეფარული კონფლიქტები, ორმაგი სტანდარტები ბავშვის სოციალურ გამოცდილებაში ისეთივე აღრევასა და გახლეჩას იწვევს, როგორც ზემოთქმული სატელევიზიო გადაცემები ფიზიკური სამყაროს გაგებისას.

რა შეიძლება იღონონ მშობლებმა თინეიჯერ "ძველ ბიჭებთან" მიმართებაში? სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ, რადგან მათი ეფექტიანი ზემოქმედების დრო უკვე გასულია. ყველა ასაკს აქვს თავისი მთავარი ამოცანა. მოზარდობის ასაკის ამოცანაა, მიუტრიალდეს ყველაფერს, რაც მშობლებთან და აღმზრდელებთან ერთად და მათი დახმარებით დაუგროვებია ცხოვრების მანძილზე, როგორც პიროვნული მონაპოვარი, და დამოუკიდებლად შეაჯამოს ყოველივე. ამ გზით, მოზარდი ცდილობს, გაერკვეს თავის რაობაში, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, გადაჭრას იდენტობის პრობლემა; თუ მისი წარსული სწორად წარიმართა, მაშინ, დიდი ალბათობით, ჩვენს წინაშეა ისეთი შედეგი, როგორსაც ვისურვებდით. ასეთ მოზარდს არ დასჭირდება დიდი ძალისხმევა, რომ საკუთარი თავი იპოვოს და შეიცნოს, მაგრამ ეს იშვიათობაა. თინეიჯერთა ისტორიაში, ძირითადად, უამრავი ჩავარდნა გროვდება; ამიტომ, თავის ძიებისა და ადგილის დამკვიდრებისას, ის არაცნობიერად იწყებს იდენტურობათა ძიებას არა საკუთარი წარსულიდან (რადგან იქ არეულობაა და ცოტა რამ დაუგროვდა), არამედ გარეთ. ბაძავს ყველაზე თვალშისაცემს, ყველაზე ფორმალური გზით. მას ხომ ცაიტნოტი აქვს და ხარისხზე ზრუნვა არ ხერხდება. შეუპოვრობის ნაცვლად - ფურთხება და გინება, სამართლიანობის ნაცვლად - იმპულსურობა და ჩხუბისთავობა, ვაჟკაცობის ნაცვლად - სიგარეტი, ალკოჰოლი (ნარკოტიკი). ყველაფერი ეს ადვილია და ეფექტიანი, რადგან საკმარისია გარკვეულ წრეში დასამკვიდრებლად.

მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება, თუ საზოგადოებაში საეჭვო ღირებულებები (ძალადობა, კორუფცია) რეალურად დომინირებს და მათი პოზიტიური გამოსავალი გზებიც ფართოდ რეკლამირდება. ცხადია, ამ შემთხვევაში ისეთი ღირებულებები, როგორიცაა განათლება, კულტურა, შრომისმოყვარეობა, ტოლერანტობა - სრულიად არაკონკურენტუნარიანი ხდება.

საერთოდ, თინეიჯერთა პრობლემებისადმი ჩვენი საზოგადოების აშკარა ინდიფერენტიზმი, რაც მოზარდებზე გათვლილი ტელეპროგრამების, ლიტერატურის, პრესის, ორგანიზაციების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ფორმების სიმცირეში გამოიხატება, ზემოქმედების რესურსის დაუშვებელი მფლანგველობაა, რადგან მოზარდი, ოჯახზე მეტად, ფართო სოციუმის სტრუქტურებსა და ღირებულებებზეა ორიენტირებული. ვფიქრობ, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება - თინეიჯერთა მზარდი პრობლემები მათი გადაჭრის გზების უფრო ინტენსიური ძიების საკითხს საზოგადოების დღის წესრიგში ძალაუნებურად დააყენებს".

# გამოძიება დილემის წინაშე

## სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი გამოძიებას მნიშვნელოვან ჩვენებას მისცემს

*საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიაში, უკვე რამდენიმე თვეა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ერთი და იმავე შინაარსის ბარათები მიდის. სხვადასხვა ეროვნების, ასაკის, სქესის, სოციალური წარმომავლობის ადამიანები ედუარდ შევარდნაძეს ერთადერთი პატიმრის, ამჟამად თბილისის მე-5 საპყრობილეში მყოფი 21 წლის ალეკო ღუღუნიშვილის უფლებების დაცვას სთხოვენ. საეჭვოა, რომ ათასობით ბარათის ადრესატმა ამ ადამიანის შესახებ რაიმე იცოდეს, რადგან ეს ბარათები მიღებისთანავე საქართველოს გენერალურ პროკურატურას, იქიდან კი ღუღუნიშვილის საქმის გამომძიებელს ეგზავნება.*

სოფიკო ჩხაიძე

ალეკო ღუღუნიშვილი, მეგობართან – დიმიტრი ჭიბოშვილთან ერთად, პოლიციამ ამ ზაფხულს რუსთავში, მისივე საცხოვრებელი სახლის მახლობლად, მე-16 სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავა. პოლიციელების თქმით, მათ მშვიდობიან თხოვნას - საეჭვო თუ გაქვს რამე, მოგვეციო - ღუღუნიშვილმა გაქცევით უპასუხა. დადევნებულ პოლიციელებთან ხელჩართულმა ბრძოლამ ერთხანს გასტანა, ამ დროს მიწაზე გადაჭრილი სანადირო თოფი დავარდა, რომელიც, პოლიციელთა მტკიცებით, ღუღუნიშვილის კუთვნილი იყო (სწორედ ეს თოფი გახდა ღუღუნიშვილის წინააღმდეგ საქმის აღძვრის საფუძველი). ამასობაში ხმაურზე ღუღუნიშვილის დედა და მეზობლები გამოჩნდნენ და სამართალდამცველებს ისღა დარჩენოდათ, ეგზალტირებული ხალხისგან თავდასაცავად ღუღუნიშვილი სასწრაფოდ ჩაესვათ მანქანაში და შემთხვევის ადგილიდან გაერიდებინათ. თუმცა, ადვილი არც ეს აღმოჩნდა, ახალგაზრდა კაცი მათ წინააღმდეგობას უწევდა და მისი მანქანაში ჩასმა დიდი გაწევ-გამოწევის შემდეგ ძლივს მოახერხეს.

ღუღუნიშვილის დაკავებისას გამართული ბატალიები, სხვა მრავალი შემთხვევისგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი ოქმის შესავსებ მასალად არ ქცეულა. პოლიციელებს მომხდარის შესახებ ჩვენების მიცემა არაერთხელ მოუხდათ. მეტიც, რუსთავის პოლიციის ექვსი თანამშრომლის მიმართ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით, სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრა. თუმცა, თუ სამართალდამცველებმა უკვე მოასწრეს ალეკო ღუღუნიშვილის მძიმე ბრალდების — შვიდი ქურდობისა და ერთი ყაჩაღობის – დასადასტურებლად შეკრებილი მასალების სასამართლოში წარმართვა, სამაგიეროდ, პოლიციელთა ბრალეულობის დასადგენად მიმდინარე მუშაობის ტემპი გაცილებით დაბალია, შესაბამისად, მათი საქმის გამოძიება ჯერაც არ დასრულებულა.

ქვემო ქართლის პროკურატურაში, სადაც ღუღუნიშვილის საქმეს იძიებდნენ, თვლიან, რომ მისი ბრალეულობის დასადასტურებლად მათ საკმაო მტკიცებულებები მოეპოვებათ.

მეტიც, თუ თავდაპირველად ის ორი ქურდობის შესახებ არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს, პოლიციაში მიყვანის შემდეგ მან კიდევ აღიარა ხუთი ქურდობისა და ერთი ყაჩაღობის ჩადენა. როგორც სამართალდამცველები ირწმუნებიან, აღიარებულთაგან, ორი ქურდობის შესახებ მათ საერთოდ არაფერი იცოდნენ. ღუღუნიშვილსაც საკუთარი დანაშაულის დამტკიცებაზე თავადვე უზრუნია და პოლიცია ნაქურდალ-ნაყაჩაღარი ნივთების სამალავთან მიუყვანია, სადაც გახმაურებულ-გაუხმაურებელი ქურდობების შედეგად მოპოვებული ნივთებისთვის ( სხვადასხვა ადგილებიდან წამოღებული ტელევიზორები, კომპიუტერები, ფაქსის აპარატები და ა.შ.) მიუგნიათ.

ერთი შეხედვით, საქმე გვაქვს გახსნილ-დამტკიცებულ დანაშაულებსა და დასასჯელად გამზადებულ დამნაშავესთან. მაგრამ, ღუღუნიშვილის ადვოკატის ზურაბ როსტიაშვილის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შეტანილ განცხადებაში ვკითხულობთ: **“თოფი, რომელიც ღუღუნიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძვლად იქცა, თვითმხილველთა თქმით, მას არ ჰქონია და დაკავებისას პოლიციამ ჩაუდო და ამ დროს ღუღუნიშვილმა ზურგის არეში დაზიანებები მიიღო. გარდა ამისა, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი დროებითი დაკავების იზოლატორში 5-6 საათის მანძილზე დაკიდებული ჰყავდათ მაგიდებს შორის გადებულ ძელზე და დროგამოშვებით ელექტროშოკის აპარატს უერთებდნენ”**. ადვოკატის მტკიცებით, სწორედ ასეთი წამების შემდეგ აღიარა დაკავებულმა ყველა ის დანაშაული, რომლებიც საბრალდებო დასკვნაში მის მიერ ჩადენილად მოიხსენიება.

ალეკო ღუღუნიშვილი, ბევრი სხვა მსგავსი შემთხვევისგან განსხვავებით, ასახელებდა იმ პოლიციელებსაც, რომლებმაც იგი აწამეს. დღეს გამოძიებისთვის ცნობილია, ვინ არიან ღუღუნიშვლის მიერ დასახელებული გელა, ლევანი, უჩა, “კროლიკა” და კიდევ ორნი, რომელთა სახელებსაც ბრალდებული ვერ იხსენებდა, თუმცა კი მათი ამოცნობის პირობას დებდა. ამოიცნო კიდეც და, შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე, 10 ივლისს ამ ექვსი პოლიციელის მიმართ, რომელთა ვინაობის დასახელებაც გამოძიებას არ სურს, გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და გამოსაძიებლად ქვემო ქართლის პროკურატურას გადაეგზავნა. თუმცა, ღუღუნიშვილის ადვოკატი მათ გამოძიების მიკერძოებით წარმართვას აბრალებდა და, სახალხო დამცველის აპარატის დახმარებით, მიაღწია კიდეც ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურისთვის საქმის გადაცემას. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის ალეკო სვანიძის თქმით, ღუღუნიშვილის საქმით ვინ არ დაინტერესდა - საერთაშორისო ორგანიზაცია “ამნისტი ინტერნეიშენალიდან” დაწყებული, დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩით დასრულებული, ყველა მის საქმეში ობიექტურად გარკვევას ითხოვს. “ამნისტი ინტერნეიშენალის” მოხალისეებს ისანი-სამგორის პროკურატურაც შეუწუხებიათ. გამომძიებელი ზვიად გუგუჩია, რომელმაც თვენახევრის წინ მიიღო ეს საქმე წარმოებაში, ღუღუნიშვილის ბედით შეწუხებული უცხოელების ბარათების თვლას ვერ აუდის. რაც შეეხება გამოძიებას, რომლის გაგრძელებაც მას მოუხდა, გუგუჩიას თქმით:

**“უკვე იმდენი ექსპერტიზაა ჩატარებული, რომ კიდევ ერთის დანიშვნას აზრიც აღარ აქვს. ამიტომ, ჩვენ საქმის ყველა ფიგურანტის ხელახლა, უფრო დაწვრილებით დაკითხვა გადავწყვიტეთ. უკვე დავკითხეთ კიდეც 18 ადამიანი, ძირითადად, ის ექვსი პოლიციელი, რომელთა წინააღმდეგაც საქმეა აღძრული და ის ხალხი, ვინც მათ უდანაშაულობას ამტკიცებს. ახლა ვაპირებთ ექსპერტების დაკითხვას. ოთხ-ხუთ დღეში კი გამოძიების ვადის გაგრძელების საჭიროება დგება და მხოლოდ ამის შემდეგ შევუდგებით ღუღუნიშვილის მხარის დაკითხვას. ეს ძალზე რთული საქმეა: ერთის მხრივ, ღუღუნიშვილი ამტკიცებს, რომ აწამეს, მეორე მხრივ—ის პოლიციელები, ვისაც იგი ადანაშაულებს, ელქტროშოკით წამების ფაქტს უარყოფენ და ამბობენ, რომ მან სხეულის დაზიანებები დაკავებისას მიიღო. ამასთან, ხუთი ექსპერტიზის დასკვნიდან მხოლოდ ერთი მიიჩნევს შესაძლებლად – ყურადღება მიაქციეთ, რომ გადაჭრით არ ამტკიცებს, მხოლოდ შესაძლებლად მიიჩნევს — რომ დაზიანებები ელქტროშოკითაა მიყენებული. სხვა მოწმე არ არსებობს. ერთია, რომ შეიძლება პოლიციელები მართლაც დამნაშავენი იყვნენ, მაგრამ კარგად დასაბუთების გარეშე მათ პასუხისგებაში მიცემას, შესაძლოა, საშიში დამნაშავის გათავისუფლება მოჰყვეს. ღუღუნიშვილს ხომ 15-20 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. დამერწმუნეთ, რაიმე ხელჩასაჭიდი რომ გვქონდეს, მით უმეტეს, ექსპერტიზის დასკვნის სახით, პოლიციელთა პასუხისგებაში მიცემას არ მოვერიდებოდით”.**

ექვსი პოლიციელის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში დღეს უკვე ხუთამდე ექსპერტიზის დასკვნა დევს. ყველა ექსპერტი აღნიშნავს, რომ ღუღუნიშვილს სხეულზე მრავალი დაზიანება აღენიშნება, მაგრამ აქედან ერთადერთი, ვინც შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ღუღუნიშვილის ფეხის ტერფებზე არსებული ნაჭდევები ელექტროდენზე შეერთების კვალია, დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი გახლავთ. საბოლოოდ ჩატარებული კომისიური ექსპერტიზაც მისი მონაწილეობით მოხდა. დასკვნას, რომელიც ღუღუნიშვილზე ელექტროდენით ზემოქმედებას გამორიცხავს, ერთვის იმავე ნიკოლეიშვილის მოსაზრება. დამოუკიდებელი ექსპერტი აქაც იმეორებს, რომ, მართალია, მტკიცება არ შეიძლება, მაგრამ, დაზიანებები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ღუღუნიშვილი ელექტროდენზე ჰყავდათ შეერთებული.

**“გადაჭრით რომ ვამტკიცო, ღუღუნიშვილი ელექტროშოკით აწამეს თქო, არ შემიძლია, რადგან ამისათვის უნდა არსებობდეს მეცნიერულად დადასტურებული მეთოდები. ასეთი კი არ არსებობს. ცოცხალ ადამიანზე ასეთ ექსპერიმენტებს ხომ ვერ ჩაატარებდნენ,** — ასე ხსნის ნიკოლეიშვილი ორჭოფობის მიზეზებს და ამბობს, — **დღეს რომ მე ეს ექსპერტიზა ჩამეტარებინა, უკვე გადაჭრით ვიტყოდი, რომ დაზიანებები ნამდვილად ელექტროშოკითაა მიყენებული. ასეთი მტკიცების საფუძველს უკვე პრაქტიკა მაძლევს. რაც შეეხება პოლიციელთა მტკიცებას, რომ დაზიანებები ღუღუნიშვლმა დაკავებისას მიიღო, მე სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ფეხის ტერფებზე არსებული ნაჭდევების ტიპის დაზიანების მიღება ჩხუბისა თუ ვინმესთვის წინააღმდეგობის გაწევისას შეუძლებელია”.**

მიუხედავად იმისა, რომ მაია ნიკოლეიშვილს ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების და დასკვნის შედგენის შესაძლებლობა აღარ აქვს, იგი დღეს, დაკითხვისას, სავარაუდოდ, სწორედ ასეთ განცხადებას გააკეთებს გამომძიებლის წინაშე. ვნახოთ, იქნება თუ არა ეს საკმარისი იმისათვის, რომ გამოძიებამ ექვს პოლიციელს დაკავებულის წამებისთვის წაუყენოს ბრალი.




*ღუღუნიშვილის ბედით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დაინტერესდნენ*

# ახალციხეში სამოდელო სასამართლო გაიხსნა

“იმედი მაქვს, რომ ამ სასამართლოს ისეთივე ნდობა ექნება საზოგადოებაში, როგორი იერსახეც მას აქვს. დამეთანხმებით, ახალციხეში ყველაზე ლამაზი შენობა სასამართლოს შენობაა. მინდა გავიმეორო პრეზიდენტის სიტყვები: ძალიან ძნელია, ასეთ შენობაში ადამიანს თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯო,” –უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ ამ სიტყვებით გახსნა ახალციხის ახალი სამოდელო სასამართლო.

ახალციხის სამოდელო სასამართლოს შენობის რეკონსტრუქცია 425 ათას 381 ლარი დაჯდა და იგი ბოლო პერიოდში ამუშავებულ სამოდელო სასამართლოებს შორის მერვეა.

სასამართლო რეფორმისთვის მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს მთავრობისთვის მიცემული 16-მილიონიანი კრედიტიდან 6 მილიონი სასამართლოს შენობათა რეაბილიტაციისთვის გამოიყო. უზენაესი სასამართლოს პროექტით, საქართველოში 12 სამოდელო სასამართლო ამუშავდება. მსოფლიო ბანკის ფინანსებით ამჯერად კიდევ 4 სასამართლოს რეკონსტრუქცია მიმდინარეობს და ისინიც უახლოეს მომავალში ამოქმედდება.



*ლადო ჭანტურია ახალ სასამართლოს ხსნის*

## უცხოეთი

### გერმანიის პროკურატურა „ნორდ-ოსტის„ შტურმს გამოიძიებს

გერმანიის ფედერალურმა პროკურატურამ მოსკოვის ტერაქტის საქმის წინასაგამოძიებო შესწავლა დაიწყო. საქმე ისაა, რომ მძევალთა შორის იყო გერმანიის ორი მოქალაქე. გერმანიის პროკურატურა ამზადებს რუსეთის პროკურატურისადმი ოფიციალურ მიმართვას, რომლის საფუძველზეც მოითხოვს რუსეთის იმ საგამოძიებო მასალების შესწავლას, რომელიც გერმანელ მძევლებს ეხებათ.

გერმანიის პროკურატურა საქმის მასალების შესწავლის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას, აღძრას თუ არა საქმე ჩეჩენი ტერორისტების წინააღმდეგ, რომლებმაც გერმანელი მოქალაქეები დაატყვევეს.

### „მაკდონალდსთან„ მომხდარ აფეთქებაში ეჭვმიტანილი ჩეჩენია

მოსკოვის პროკურატურამ ოფიციალურად განაცხადა, რომ დააკავეს 19 ოქტომბერს მოსკოვში, რესტორან “მაკდონალდსთან” მომხდარი აფეთქების ორგანიზატორი. დაკავებულია 27 წლის ჩეჩენი, რომლის ვინაობას და დაკავების დეტალებს მილიცია ასაიდუმლოებს. გამოძიების ვერსიით, დაკავებული აფეთქებისას მარტო არ მოქმედებდა. სამართალდამცველები ეძებენ სხვა ეჭვმიტანილებსაც.

### ბარაევის თანაშემწემ მოკლული მეთაურის ადგილი დაიკავა

ჩეჩნეთის შალის რაიონის მილიციის ინფორმაციით, მოვსარ ბარაევის ბატალიონის მეთაურობა მოკლული ბარაევის თანაშემწემ თემირსულტანოვმა ჩაიბარა. ბარაევის მსგავსად, თემირსულტანოვიც ადამიანიების ვაჭრობითაა დაკავებული და საგანგებო სიტუაციათა ბატალიონში ერთ-ერთი ყველაზე დაუნდობელი ბოევიკის იმიჯით სარგებლობდა.

შალის მილიციის განცხადებით, რამდენიმე დღის წინ მესკერ-იურტის დასახლებულ პუნქტში ჩატარდა სპეცოპერაცია, რომლის მსვლელობის დროსაც მოკლეს შალის “ჯამაათის” ემირი ნაიბ ხადისოვი, რომელიც ბოევიკთა 20-კაციან ჯგუფს მეთაურობდა და რაიონში არაერთი დივერსიულ-ტერორისტული აქტი მოაწყო.

### ჩეჩნეთში გერმანელი ბოევიკები დაიღუპნენ

გერმანულმა ჟურნალმა “Der Spiegel”-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჩეჩნეთში მოკლეს გერმანიის ორი მოქალაქე, რომლებიც ჩეჩნეთის კრიმინალური დაჯგუფების წევრები იყვნენ. გავრცელებული ინფორმაციით, გერმანელები, ჩეჩენ ბოევიკებთან ერთად, რუსეთის სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ჟურნალში გამოქვეყნებული ინფორმაცია დაადასტურა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც. “მომხდარი ფაქტი ჩვენთვის ცნობილია”, - განაცხადა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა. თუმცა, მან გერმანელთა საომარ მოქმედებებში მონაწილეობის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას კომენტარი არ გაუკეთა.

არსებული მონაცემებით, გერმანელი ბოევიკები - მევლუტე და ტარეკე, საველე მეთაურის რუსლან გელაევის დაჯგუფების წევრები იყვნენ და გელაევის რაზმთან ერთად პანკისის ხეობაში იყვნენ დაბანაკებული. “Der Spiegel”-ის ინფორმაციით, გელაევის ჯგუფის წევრი გერმანელი ისლამისტები, პანკისის ხეობიდან გამოსვლის დროს, რუს სამხედროებთან მომხდარი შეტაკებისას დაიღუპნენ.

### ირანში ბენ ლადენის შვილი დაიჭირეს

ირანის უშიშროების სამსახურმა ბენ ლადენის ერთ-ერთი შვილი დააკავა. იგი, სხვა 250 ავღანელ თალიბთან ერთად, ტერაქტების მოწყობაშია ბრალდებული.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ენ მარკსმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი ფლობს ინფორმაციას ამ დაკავების შესახებ და ამოწმებს შეტყობინებას.

ბენ ლადენს სხვადასხვა ცოლებისგან 23 შვილი ჰყავს. უფროსი 22 წლის საიდ ლადენია, რომელმაც უკვე მოასწრო “ალ ქაიდას” ერთ-ერთი ჯგუფის ლიდერი გამხდარიყო. ბენ ლადენის კიდევ ორი შვილი – მოხამედი და ახმედი, “ალ ქაიდას” აქტივისტია. ირანის სპეცსამსახურები არ აკონკრეტებენ, ბენ ლადენის რომელი შვილი დაიჭირეს ავღანელ ბოევიკებთან ერთად.

### ბეკჰემის ცოლ-შვილის გამტაცებელთა ბანდა დააკავეს

გუშინ ლონდონის პოლიციამ დააკავა საერთაშორისო ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების 9 წევრი, რომლებიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელის დევიდ ბეკჰემის ცოლისა და შვილების გატაცებას გეგმავდნენ. გამტაცებელთა გეგმით, მძევლები 5 მილიონ სტერლინზე გაიცვლებოდნენ. ჯგუფის წევრები აპირებდნენ, ვიქტორია ბეკჰემი და მისი ორი შვილი სპეციალური გაზით დაეძინებინათ და ისე გაეტაცებინათ.

ბანდის წევრები რუმინელი და ალბანელი კრიმინალები არიან და მათ ერთხელ უკვე ჰქონდათ ვიქტორის ბეკჰემისა და მისი შვილის გატაცების სურვილი.

## მოკლედ

**თბილისი.** “იმელის” ყოფილ შენობაში 1 ნოემბერს მოქალაქეთა შეჭრის ფაქტთან დაკავშირებით, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურა პარლამენტარებს - ვანო მერაბიშვილსა და პეტრე ცისკარიშვილს, ჩვენებების მისაცემად პროკურატურაში გამოცხადებისთვის ოფიციალურად, წერილობით მიმართავს.

საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელის გივი ბაბუაშვილის განცხადებით, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით პარლამენტარები ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებენ, თუმცა, წერილობითი მიმართვის შემდეგ მათ პროკურატურაში გამოცხადება და გამოძიების დახმარება უკვე კანონით მოეთხოვებათ.

მომხდართან დაკავშირებით დღეისათვის გამოძიებას ჩვენება მისცა სამთავრობო დაცვის 15-მდე წევრმა.

“იმელის” ყოფილ შენობაში, სადაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა უნდა გამართულიყო, 1 ნოემბერს მოქალაქეთა თვითნებურად შეჭრის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე ხელისუფლების წარმომადგენელთათვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით აღიძრა. **“ინტერ-პრესი”.**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ თითქოს მასა და სახელმწიფო მინისტრს ან ფინანსთა მინისტრს შორის სპეცსახსრებთან დაკავშირებით კონფლიქტი არსებობდეს.

არსებული ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტროს სპეცსახსრები აღარ მიეცემა. ფინანსთა მინისტრი და სახელმწიფო მინისტრი აპირებენ, სპეცსახსრები ჩამოართვან არა მხოლოდ იუსტიციის, არამედ სხვა სამინისტროებსაც. მათი არგუმენტით, სპეცსახსრებისთვის გამოყოფილი თანხა ბიუჯეტის შევსებაზე დადებითად იმოქმედებს. , სავარაუდოდ, 2004 წლისათვის სპეცსახსრები არც ერთ სამინისტროს აღარ უნდა ჰქონდეს.

■ ■ ■

**კრასნოდარი.** კრასნოდარის აეროპორტში გუშინ დააკავეს ქართული წარმომავლობის, ისრაელის მოქალაქე, რომელიც ცდილობდა, თვითმფრინავში შეეტანა საბრძოლოდ გადაკეთებული გაზის პისტოლეტი.

მილიციის ინფორმაციით, მათ მამაკაცი დააკავეს დოკუმენტების შემოწმებისას. ჩხრეკისას მას აღმოუჩინეს გაზის პისტოლეტი. თუმცა, ისრაელის მოქალაქემ იარაღის ტარების უფლების დამადასტურებელი საბუთები წარმოადგინა და ის გაუშვეს. მაგრამ სპეცკონტროლის დროს იარაღში არ აღმოჩნდა გაზის პისტოლეტისათვის დამახასიათებელი ნივთიერება, ვინაიდან ის საბრძოლო იარაღად იყო გადაკეთებული. **“კავკას-პრესი”.**

■ ■ ■

**თბილისი.** დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი არ გამორიცხავს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული, რუსეთის სამშვიდობო ქვედანაყოფებიდან იარაღის გადინების შესაძლებლობას.

მისი თქმით, კონკრეტულ ფაქტებს არ ფლობს, მაგრამ იარაღის გადინების შესაძლებლობას უშვებს, რამდენადაც საყოველთაოდ ცნობილია ვაზიანის ყოფილი სამხედრო ბაზიდან რუს სამხედროთა მიერ იარაღის გაყიდვის შესახებ. **“პრაიმ-ნიუსი”.**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალ კვირას თელავის სასამართლო განიხილავს ანტიკრიმინალური სპეცოპერაციისას პანკისის ხეობაში დაკავებული ხვიჩა ჩოფანაშვილის საქმეს.

ჩოფანაშვილს სამთვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა ნოემბრის ბოლოს ეწურება. მას ბრალი წაუყენეს სამი მუხლით — ადამიანის გატაცება, მკვლელობა და ნარკოტიკების გასაღება.

ხვიჩა ჩოფანაშვილის ადვოკატის გიორგი თევზაძის განცხადებით, ეჭვმიტანილს ადამიანის გატაცებისა და მკვლელობის ბრალდება ვერ დაუმტკიცდა. რაც შეეხება ნარკოტიკების გასაღებას, გამოძიების მტკიცებით, 1999 წელს ჩოფანაშვილმა ვინმე რუსლან წანწალაშვილს ნარკოტიკები მიჰყიდა. თევზაძის თქმით, წანწალაშვილმა გამოძიებას წერილობით მიმართა იმის შესახებ, რომ ჩოფანაშვილს მისთვის არათუ ნარკოტიკები არ მიუცია, არამედ იგი საერთოდ არ იცნობს ეჭვმიტანილს.

ადვოკატი თევზაძე ვარაუდობს, რომ 5 ნოემბრის სასამართლო პროცესზე ჩოფანაშვილს გაათავისუფლებენ. მას, არც მესამე ბრალდება — ნარკოტიკების გასაღება უმტკიცდება. ხვიჩა ჩოფანაშვილი ამჟამად მეხუთე საპყრობილეში იმყოფება. ”**მედია-ნიუსი”.**

4 ნოემბერი, ორშაბათი, 2002 წელი. №155 24 საათი

# ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის



ეგვიპტის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი (მარცხნივ) დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ ენტონი იდენთან ერთად.



ხუან პაბლო პერეს ალფონსო



იტალიური ტრანსნაციონალური ნავთობკომპანია "ENI"-ს დამფუძნებელი ენრიკე მატეი (მარცხნივ) ირანის შაჰ რეზა ფეჰლევისთან ერთად.



აბდულა ტარიკი ("წითელი შეიხი") საუდის არაბეთის ნავთობმრეწველობის პირველი მინისტრი.

ლიანა ჭერვალიძე

## ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის შექმნა

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (OPEC) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც თერთმეტ ნავთობმწარმოებელ ქვეყანას აერთიანებს. ამ ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ნავთობის დადასტურებული რეზერვები, დაახლოებით, 1 ტრილიონ ბარელს შეადგენს. აქედან 75 პროცენტი OPEC-ის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზეა განთავსებული. იგი უზრუნველყოფს ნავთობზე მსოფლიო მოთხოვნის 40 პროცენტს და არეგულირებს ფასებს საერთაშორისო ბაზარზე.

მათ, ვინც ჩვენს რუბრიკას თვალს ადევნებს, წინა სტატიიდან ემახსოვრებათ, რომ 1955 წლის ოქტომბერში, ბაღდადის სამხედრო პაქტის დადებით, თურქეთს, ირანს, პაკისტანსა და ერაყს შორის შეჩერებულ იქნა საბჭოთა კავშირის სამხედრო ექსპანსიის საფრთხე ნავთობით მდიდარი ახლო აღმოსავლეთისა და სტრატეგიული მნიშვნელობის სავაჭრო არტერიებისაკენ. დაიდო გარიგებები, აშენდა სატრანზიტო ნავთობსადენები და პორტები, უზრუნველყოფილი იყო მათი უსაფრთხოება. ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს შეუფერხებელ და უსაფრთხო ენერგოუზრუნველყოფას თითქოს ვეღარაფერი შეუშლიდა ხელს, თუმცა, მალე ეს სრული ილუზია აღმოჩნდა.

**სულ სხვა ფორმით, საფრთხემ კვლავ იჩინა თავი, რასაც ნავთობმწარმოებელი ქვეყნების ორგანიზაციის შექმნა მოჰყვა. ეს საფრთხე მდგომარეობდა ანტიდასავლური განწყობილებების განუხრელ ზრდაში, რასაც ასაზრდოებდა, ერთი მხრივ, არაბული ქვეყნების პოლიტიკური ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის და უკმაყოფილება დასავლეთის მიერ ისრაელ-არაბულ კონფლიქტებში ისრაელის მხარდაჭერის გამო, და მეორე მხრივ - ნავთობის ბიზნესში მოგების საკუთარი წილით უკმაყოფილება. თუმცა, უშუალოდ *OPEC-ის შექმნის საბაბად იქცა სულ სხვა ფაქტორი, რომელსაც მოგვიანებით დავუბრუნდებით. მანამდე კი...***

## პოლიტიკური ვითარება ახლო აღმოსავლეთში OPEC -ის შექმნის წინ

ოტომანთა იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი ახლო აღმოსავლეთის ენერგორესურსებით მდიდარი სახელმწიფოები სწრაფი ტემპით ვითარდებოდნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი 15 წლის განმავლობაში აქ ჩამოყალიბდა დასავლეთში განსწავლული პოლიტიკური, საინჟინრო-ტექნიკური და ეკონომიკური დარგების ელიტა, რომელიც წარმოადგენდა საერთაშორისო ნავთობკომპანიების რეგიონული პერსონალის ხერხემალს. ამ ელიტის მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნდა, რომ საერთაშორისო ნავთობკომპანიებთან დადებული კონცესიური გარიგებები და მოგების განაწილების სისტემა რეგიონის ქვეყნებისათვის არახელსაყრელი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ მოქმედი საკონცესიო გარიგებების შესაბამისად, ნავთობკომპანიები სრულ მფლობელობაში იღებდნენ საკონცესიო საბადოებს და სუფთა მოგებიდან წილს აძლევდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას, მათ შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად. 50-იანი წლების შუა ხანებში ახლო აღმოსავლეთისა და აზიის ქვეყნების უმრავლესობამ მიაღწია მოგების წილის თანაბრად - 50/50-ზე განაწილების სისტემის დამკვიდრებას. მანამდე ასეთი რამ არ არსებობდა. გავიხსენოთ თუნდაც ბრიტანული კომპანია Ango-Iranian-ის(დღევანდელი Britih-Petroleum) მაგალითი, რომელმაც 1945-50 წლებში 250 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოგება მიიღო, მაშინ, როდესაც ირანის მთავრობის შემოსავალმა იგივე კომპანიისაგან მხოლოდ 90 მილიონი ფუნტი შეადგინა. ამიტომ იყო, რომ 1954 წელს, ირანის შაჰის დაბრუნების შემდეგ, კონცესიებზე მოლაპარაკებების დროს ამ კომპანიის გაგონებაც კი არავის უნდოდა.

მოგების თანაბრად განაწილების დამკვიდრებით თითქოს აღდგა სამართლიანობა, მაგრამ ადგილობრივი ელიტა მაინც არ იყო კმაყოფილი და სულ უფრო მეტ მოთხოვნებს აყენებდა. ახლო აღმოსავლეთის ნავთობმწარმოებელი ქვეყნების მმართველ წრეებს გაცნობიერებული ჰქონდათ ნავთობის მნიშვნელობა დასავლეთის ქვეყნების სტაბილური განვითარებისათვის და ცდილობდნენ, ზეწოლა მოეხდინათ მათზე, როგორც მოგების განაწილების წილობრივი სისტემის გადათამაშების, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, კერძოდ - ისრაელთან მიმართებაში მათი პოლიტიკის კორექტირებისათვის. თუმცა, ეს მცდელობა ამაო იყო. დასავლეთი განაგრძობდა ისრაელისათვის აშკარა დახმარებას 1948 წლის ომისა და 1956 წელს სუეცის კრიზისის დროს.

რეგიონის ქვეყნებში ანტიდასავლური განწყობილებების გენერატორი გახლდათ ნავთობის არამწარმოებელი ეგვიპტე და პანარაბიზმის იდეებით შეპყრობილი მისი ლიდერი აბდელ ნასერი. მართალია, ეგვიპტეს ნავთობი არ ჰქონდა, მაგრამ აბდელ ნასერს მიაჩნდა, რომ ახლო აღმოსავლეთში არსებული რესურსები არაბებს საერთო პოლიტიკური მიზნისათვის უნდა გამოეყენებინათ. იგი მთელი არაბული სამყაროს გაერთიანებაზე ოცნებობდა და ბევრი მომხრეც ჰყავდა არაბული ქვეყნების მოსახლეობის ყველა ფენაში და ყოფილი კოლონიური სახელმწიფოების ლიდერებს შორისაც. იგი იყო მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. ეს მოძრაობა საბჭოთა კავშირის მოკავშირე იყო საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად საკითხებში.

აბდელ ნასერის ავტორიტეტი განსაკუთრებით გაიზარდა 1956 წელს ისრაელ-ინგლის-საფრანგეთის ერთიანი სამხედრო აქციის დროს სუეცის წყლებში, რასაც ამ უკანასკნელთა სრული ფიასკო და სუეცის არხის ნაციონალიზება მოჰყვა. სუეცის არხით გადიოდა ახლო-აღმოსავლეთის ნავთობის ექსპორტის ორი მესამედი. ინგლისის სამხედრო კორპუსის გაყვანის შემდეგ, სუეციდან გამავალი ტვირთების ნაკადი ეგვიპტის კონტროლის ქვეშ (გაერო-ს დამკვირვებლების მონიტორინგით) აღმოჩნდა.

აბდელ ნასერის დიდი ძალისხმევით, 1958 წელს ეგვიპტე და სირია ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდნენ. მათ იმავე წელს მხარი დაუჭირეს სამხედრო გადატრიალებას ერაყში, რასაც პროდასავლური ჰაშემიდების სამეფო ოჯახის დამხობა მოჰყვა. თუმცა, მარცხით დამთავრდა მათი მცდელობა ერაყის სათავეში პანარაბული მისწრაფებების ხელისუფლება მოეყვანათ, რომელიც პოტენციურად ერაყს ეგვიპტე-სირიის კავშირში შეიყვანდა.

აბდელ ნასერის პროსაბჭოურ მიდრეკილებებს რეგიონული ელიტები დიდი ეჭვით უყურებდნენ. უფრო მეტიც - საუდის არაბეთისა და ირანის სამეფო ოჯახებს აბდელ ნასერის პანარაბული და პროსაბჭოური პოლიტიკა დამღუპველად მიაჩნდათ. ამიტომაც არაბული სამყაროს გაერთიანება ეგვიპტე-სირიის კავშირით დაიწყო და დამთავრდა კიდეც.

დრო და საერთაშორისო ვითარება კი არაბული ქვეყნების სასარგებლოდ მუშაობდა. ბრიტანული, ჰოლანდიური და ამერიკული კომპანიების გარდა, მალე ასპარეზზე სხვა სახელმწიფოების ნავთობკომპანიები გამოვიდნენ და მზის ქვეშ ადგილის მოსაპოვებლად ადგილობრივ ხელისუფლებასთან ბევრ დათმობებზე წასვლა დაიწყეს. იტალიელმა ბიზნესმენმა ენრიკე მატეიმ (რომელმაც შექმნა იტალიის პირველი ნაციონალური ნავთობკომპანია, დღევანდელი ENI) ირანის შაჰთან დადო გარიგება, რომლის ძალითაც ირანს რჩებოდა მოგების 75 პროცენტი, დანარჩენი 25 პროცენტი კი - ნათობკომპანიას. ENI-ის იაპონური ნავთობკომპანიები მიჰყვნენ, რითაც, ფაქტობრივად, დაინგრა 50-იანი წლების დასაწყისში ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად ჩამოყალიბებული მოგების განაწილების პარიტეტული სისტემა.

სუეცის კრიზისის დროს წარმატებამ, რაც არხის ნაციონალიზაციით დამთავრდა და მოგების განაწილების პარიტეტული სისტემის დანგრევამ, ფრთა შეასხა ახლო აღმოსავლეთის მმართველ წრეებს. მათ დაიწყეს აქტიური კონსულტაციები და შეეცადნენ მოეხდინათ თავიანთი ნავთობპოლიტიკის კოორდინაცია. ახლო აღმოსავლეთის მეამბოხე ტექნოკრატებს ლიდერობდა საუდის არაბეთის ენერგეტიკის მინისტრი აბდულა ტარიკი. კოორდინირებული ნავთობპოლიტიკის გატარების მხარდამჭერთა შორის აღმოჩნდა ვენესუელის ენერგეტიკის მინისტრი ხუან პაბლო პერეს ალფონსოც.

ვენესუელა აშშ-ს ძირითადი მიმწოდებელი იყო. აშშ-ს ეიზენჰაუერის ადმინისტრაციამ მიიჩნია, რომ იაფი იმპორტირებული ნავთობი დიდ საფრთხეს უქმნიდა ნავთობის ადგილობრივ წარმოებას ტეხასში. ამიტომ, ერთი მხრივ, შიდა წარმოების დაცვის, მეორე მხრივ, ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, 1959 წლის 10 მარტს ნავთობზე საიმპორტო ქვოტები დააწესა. ახალი პოლიტიკის მიხედვით, იმპორტირებული ნავთობი არ უნდა ყოფილიყო აშშ-ში მოხმარებული ნავთობის საერთო რაოდენობის 9 პროცენტზე მეტი. საიმპორტო ქვოტების შემოღება მძიმედ ურტყამდა ვენესუელის, როგორც მთავარი მიმწოდებლის სასიცოცხლო ინტერესებს. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა დასავლეთზე განაწყენებული ხუან პაბლო პერეს ალფონსოც ახლო აღმოსავლეთის ტექნოკრატების გვერდით.

ორივეს - აბდულა ტარიკსაც და პერეს ალფონსოსაც - განათლება და ნავთობწარმობაში მუშაობის გამოცდილება აშშ-ში ჰქონდათ მიღებული და კარგად იცნობდნენ აშშ-ს ნავთობწარმოების სამზარეულოს. მათ მიაჩნდათ, რომ კოორდინირებული საექსპორტო პოლიტიკის წარმოება შესაძლებელი იყო მხოლოდ სტრუქტურულად გამართული საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარჩოში.

ამგვარად, კოორდინირებული ნავთობპოლიტიკის წარმოების იდეა 1956 წლის შემდეგ აშკარად მომწიფებული იყო და პატარა ნაპერწკალიღა სჭირდებოდა, რომ რეალობად ქცეულიყო. ეს ნაპერწკალიც მალე გამოჩნდა - ოცწლიანი შესვენების შემდეგ, საერთაშორისო ბაზარზე გამოჩნდა საბჭოთა ჭარბი ნავთობი.

## საბჭოთა ნავთობის გამოჩენა საერთაშორისო ბაზარზე და მიწოდების კრიზისი

1955 წელს საბჭოთა ნავთობი დაბრუნდა საერთაშორისო ბაზარზე. 1956 წლის სუეცის კრიზისის დროს მოხდა ნავთობწარმოების მობილიზება და ბაზარზე მიწოდების ნაკლებობა ნამდვილად არ შეინიშნებოდა. პირიქით, ახლო აღმოსავლეთში დადებული ყველა გარიგება ამოქმედებული იყო, მწყობრში ჩადგა სატრანზიტო ინფრასტრუქტურა, პორტები და ტანკერების ფლოტილია. ბაზარზე იყო ვენესუელის, მექსიკის, საუდის არაბეთის, კუვეიტის, ერაყის, ირანისა და გაერთიანებული საემიროების ნავთობი. ნავთობკომპანიები რის ვაივაგლახით ახერხებდნენ საბაზრო ფასების შენარჩუნებას. ხშირად ნავთობის ოფიციალური ფასი, რომლის მიხედვითაც ხდებოდა საბოლოო მოგების ათვლა, ბევრად აღემატებოდა რეალურ ფასს, რაზეც ნავთობკომპანიებს უხდებოდათ ადგილზე გაყიდვა და ეს უკანასკნელნი ცალმხრივად ზარალდებოდნენ. ისინი ხომ ოფიციალური ფასის მიხედვით უხდიდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას მოგების წილს. გამძაფრებული ანტიდასავლური განწყობილებების გამო ნავთობკომპანიები გაჩუმებას არჩევდნენ.

ერთი სიტყვით, ბაზარზე თავისუფალი ნიშა რუსული ნავთობისათვის არ იყო. რუსეთის ხელისუფლება კი აგრესიულად, ფასების კონიუნქტურის გაუთვალისწინებლად ცდილობდა ათწლეულების წინ დაკარგული წილის დაბრუნებას საერთაშორისო ბაზარზე.

ცივი ომის ეპოქაში, ბევრი დასავლელი ექსპერტის აზრით, საბჭოთა ჭარბი ნავთობის გამოჩენა ბაზარზე, კომერციულზე მეტად პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენდა. **მათი შეხედულებით, საბჭოთა ხელისუფლების მიზანი იყო, იაფი ექსპორტით დასავლეთ ევროპა რუსულ ნავთობზე დამოკიდებული გაეხადა, რითაც შეძლებდა დაესუსტებინა ნატო-ს ბლოკის ერთიანობა და შეერყია დასავლეთის პოზიციები ნავთობით მდიდარ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.**

ამ შეხედულებას მყარ საფუძველს აძლევდა პროსაბჭოური მიდრეკილების ეგვიპტის ლიდერის, აბდელ ნასერის აქტიური ანტიდასავლური გამოსვლები და მუშაობა მეზობელი ქვეყნების ლიდერებს შორის; აგრეთვე ეგვიპტე-სირიის კავშირის სამხედრო აგრესია ერაყში, რაც პროდასავლური ორიენტაციის სამეფო ოჯახის დამხობით დამთავრდა.

1955 წელს ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დირექტორს ალან დალესს კაბინეტის შეხვედრაზე უთქვამს: **"საბჭოთა ნავთობის ექსპორტს შეუძლია დაარღვიოს სტაბილურობა საერთაშორისო ენერგეტიკულ ბაზარზე, რაც სერიოზულ საშიშროებას უქმნის თავისუფალ მსოფლიოს."**

მართლაც 1955-60 წლებში საბჭოთა ნავთობის ექსპორტი გაორმაგდა და საბჭოთა კავშირი ექსპორტის მოცულობის მიხედვით მეორე ქვეყანა გახდა აშშ-ს შემდეგ. მანამდე მეორე ადგილი ვენესუელას ეჭირა. 1960 წელს საბჭოთა კავშირმა 147 მლნ ტონა ნავთობი აწარმოა (აშშ-მ - 345 მლნ ტონა). საბჭოთა ექსპორტში გარკვეული წილი კვლავ ბაქოს ნავთობს ეკუთვნოდა, თუმცა, ვოლგა-ურალის ნავთობის, სახალინის, თურქმენეთისა და ყაზახეთის ნავთობის გამოჩენას არავინ ელოდა. 1961 წელს საბჭოთა კავშირში დაიწყო მესამე ბაქოდ წოდებული, კასპიის ზღვის ჩრდილო- აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ ყაზახეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გიგანტური საბადოს ათვისება. პარალელურად მიმდინარეობდა ნავთობსადენების ქსელის - "დრუჟბას" პირველი შტოს მშენებლობა ციმბირიდან დასავლეთ ევროპისაკენ, რომელიც 1964 დასრულდა კიდეც. საბჭოთა ნავთობწარმადობა ახლო აღმოსავლეთის წარმადობის სამ მეხუთედს შეადგენდა. საქმეს განსაკუთრებით ის ართულებდა, რომ საბჭოთა ექსპორტიც ევროპაზე იყო ორიენტირებული.

1959 წელს აშშ-ს სენატორ კენეთ კითინგს (Kenneth Keathing) სენატში თავისი ერთ-ერთი გამოსვლისას უთქვამს: **"ხრუშჩოვი არაერთხელ დაგვემუქრა, რომ დაგვმარხავდა, ახლა იგი აპირებს დაგვახრჩოს ნავთობის ზღვაში, თუ ჩვენ ამის საშუალებას მივცემთ."**

რუსულ ნავთობს ისევ ის სკანდალური იტალიელი საქმოსანი ენრიკე მატეი (დღევანდელი იტალიური კომპანია ENI-ს დამარსებელი) ყიდულობდა. მან ირანის შაჰთან დადებული გარიგებით - 75/25-ზე - დაარღვია მოგების განაწილების პარიტეტული სისტემა და სტაბილურ საერთაშორისო ბაზარზე ქაოსი და გაურკვევლობა შეიტანა.

რუსული იაფი ნავთობი იოლად იპყრობდა ბაზარს და ახლო აღმოსავლეთის მწარმოებლებს თამაშგარეთ ტოვებდა. საბაზრო წილის შენარჩუნების მიზნით, 1959 წლის დასაწყისში Ango-Iranian-მა ცალმხრივად, რეგიონის ქვეყნების ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, შეამცირა ოფიციალური ფასები ერთ ბარელ ნავთობზე. კომპანიის ამ ქმედებას დიდი აღშფოთებით შეხვდნენ ახლო აღმოსავლეთის ლიდერები. ეს იყო ნაპერწკალი, რომელსაც ამდენ ხანს ელოდნენ.

იმავე წლის აპრილში, კაიროში გამართული არაბული ნავთობის კონგრესის შემდეგ, ნავთობმწარმოებელი ქვეყნების წარმომადგენლები ერთმანეთს სრულიად საიდუმლო ვითარებაში შეხვდნენ კაიროს გარეუბანში მდებარე იახტსმენთა კლუბში და დადეს ჯენტლმენური შეთანხმება. ეს შეთანხმება ითვალისწინებდა ექსპორტიორთა საკონსულტაციო კომისიის შექმნას, საბაზრო ფასების დაცვას, ეროვნული ნავთობკომპანიებისა და ნავთობგადამამუშავებელი სექტორის შექმნას, საერთაშორისო ნავთობკომპანიების წინააღმდეგ კოორდინირებული ქმედებების წარმოებას. ეს შეხვედრა წარიმართა აბდელ ნასერის პატრონაჟის ქვეშ, რის გამოც რეგიონის კონსერვატორი ლიდერები უკმაყოფილონი იყვნენ. აბდელ ნასერის პოლიტიკის მიმართ პროტესტის გამო, კაიროს შეხვედრას საერთოდ არ დასწრებია ახლო აღმოსავლეთის, სიდიდით მესამე, მწარმოებლის - ერაყის წარმომადგენლობაც.

1960 წელს გაგრძელდა საბჭოთა ნავთობის გამოჩენით გამოწვეული ფასების მრავალჯერადი ვარდნა. ფასების ცალმხრივად შემცირება ამჯერად Standard Oil of New Jersey-მ (დღევანდელი Exxon-Mobil) დაიწყო და მას დანარჩენებიც მიჰყვნენ. მოგვიანებით Royal Dutch/Shell-ის მესვეურები მიხვდნენ, რომ ეს ფატალური შეცდომა იყო და ცალმხრივად გაზარდეს ოფიციალური ფასები, მაგრამ უკვე გვიან იყო.

არა მხოლოდ მწარმოებელი ქვეყნების ეკონომიკა, არამედ მათი მმართველი წრეების დოვლათი და კეთილდღეობა ძირეულად იყო და დღესაც არის დამოკიდებული ენერგორესურსების ფასებზე. ექსპორტიორი ქვეყნები ისედაც თავს ნავთობკომპანიების მიერ დაჩაგრულად და მოტყუებულად მიიჩნევდნენ და ფასების ცალმხრივად, მათთან კონსულტაციების გარეშე, შემცირება მათი ღირსების ხელყოფის კიდევ ერთ დამადასტურებელ ნიშნად მიიჩნიეს.

როგორ დაეცვათ თავი ნავთობკომპანიების ძალმომრეობისაგან? როგორ გაეზარდათ თავისი წილი მოგებაში? - სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად შეიკრიბნენ ნავთობის მთავარი ექსპორტიორი ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლები 1960 წლის სექტემბერში, ბაღდადში, ამჟამად უკვე აბდელ ნასერის მონაწილეობის გარეშე. ნავთობმწარმოებელი ქვეყნების წარმომადგენლებმა ბაღდადის შეხვედრაზე დააფუძნეს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია. ორგანიზაციის დამფუძნებლები იყვნენ საუდის არაბეთი, ალჟირი, ლიბია, კუვეიტი, გაერთიანებული არაბული საემიროები, ერაყი, ირანი და ვენესუელა. მათ მოგვიანებით რამდენიმე სხვა ქვეყანაც შეუერთდა.

ნავთობკომპანიები დიდი შეშფოთებით ადევნებდნენ თვალყურს ბაღდადში მიმდინარე მოვლენებს. მათ კარგად ახსოვდათ 1952 წელს, მოსადეყის რეჟიმის დროს, Ango-Iranian-ის ნაციონალიზება. ამიტომ, ყველაზე უარესი შედეგი მათთვის რეგიონის ნავთობმომპოვებელი სექტორის ნაციონალიზაციის დაწყება და რეგიონიდან გასვლა იქნებოდა. თუმცა, უარესის მოლოდინი არ გამართლდა - ახლო აღმოსავლეთის ნავთობმწარმოებელმა ქვეყნებმა ვერ გაბედეს დასავლეთთან ასეთ სერიოზულ დაპირისპირებაზე წასვლა. თანაც, არც ბაზარზე არსებული ვითარება იძლეოდა საამისო საფუძველს, აშშ ხომ ჯერ კიდევ მსოფლიოს უდიდეს მწარმოებლად რჩებოდა.

სულ ორიოდე წლის შემდეგ OPEC-ის შემქმნელი და გულშემატკივარი არცერთი პოლიტიკური ლიდერი აღარ დარჩა მოვლენების ავანსცენაზე:

1962 წელს საუდის არაბეთის მეფე საუდი, რომელიც პანარაბიზმისა და აბდელ ნასერის გავლენის ქვეშ იყო, მისმა ძმამ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ფეისალმა შეცვალა. მეფე ფეისალმა გადააყენა OPEC-ის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ენერგეტიკის მინისტრი აბდულა ტარიკი და მის მაგივრად შეიხი ახმედ ზაქი იამანი დანიშნა.

1962 წელსვე ასპარეზიდან თავისი სურვილით წავიდა OPEC-ის უუნარობით იმედგაცრუებული, ვენესუელის ენერგეტიკის მინისტრი, ხუან პაბლო პერეს ალფონსო.

1962 წელს ავიაკატასტროფაში დაიღუპა სიცილიიდან მილანში მიმავალი, იტალიელი ნავთობის მაგნატი ენრიკე მატეი, რომელმაც, ფაქტობრივად, წალეკა რუსული ნავთობით საერთაშორისო ბაზარი.

უფრო მოგვიანებით, 1970 წელს გარდაიცვალა პანარაბიზმის მედროშე, ეგვიპტის პრეზიდენტი აბდელ ნასერიც.

**რაც შეეხება თავად OPEC-ს, მას არანაირი სერიოზული გავლენა არ მოუხდენია ნავთობპოლიტიკაზე, ვიდრე 1973 წლამდე, როდესაც საერთაშორისო ბაზარზე საამისო პირობები შეიქმნა. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ამ დროისათვის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა სრულიად დამოკიდებული აღმოჩნდა ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე. ამ საკითხს შემდეგ სტატიაში შევეხებით.**

www.24hours.ge
24 B

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

თუმცა ქრისტიანული ეკლესიის ტრადიციაში უკვე კარგა ხანია აღარ არსებობს საჯარო აღსარების პრაქტიკა, მაინც უნდა ვაღიარო, რომ წინა სტატიაში ერთი სავალალო შეცდომა დავუშვი: დავით გურამიშვილს მივაწერე სინამდვილეში ბესიკის მიერ შეთხზული "რძალდედამთილიანი". ერთი პირობა იმასაც ვაპირებდი, ამ შეცდომისთვის რაიმე კვალიფიკაცია მიმეცა, მაგრამ მშობლიურ ენაში ვერ ვიპოვე სიტყვა, რომელიც ისეთივე ექსპრესიული და ამავე დროს ისეთივე ზუსტი იქნებოდა, როგორც რუსული "лажануться". საკუთარ თავს ფსიქოანალიზის სეანსს ვერ ჩაუტარებ, თანაც არა მგონია, მისი შედეგები ვინმესთვის საინტერესო იყოს. მეორე მხრივ, ვერც უყურადღებოდ დავტოვებდი ამ განსაკუთრებულ ფაქტს. დიდხანს ვფიქრობდი, იქნებ ამ უცნაურ მოვლენაში რამე მინიშნება იყოსმეთქი, სანამ ბოლოსდაბოლოს ხუთშაბათის, 31 ოქტომბრის ნომერი არ ჩამივარდა ხელში. იქ, ვენეციისადმი მიძღვნილ მასალაში რიმსკი-კორსაკოვის ერთ ოპერას ვიგონებდი. იმავე ნომერში, B1 გვერდიდან, ყველამ ერთად მოვისმინეთ ვარსკვლავთმრიცხველის არია ოპერიდან "ოქროს მამალი". ვარსკვლავთმრიცხველი, რა თქმა უნდა, ჯუმბერ ლომინაძეა, მეფე დოდონი — ედუარდ შევარდნაძე, შემახანის დედოფალი — ვლადიმირ პუტინი, აი, ოქროს მამალი კი... იქნებ ვერც ვიპოვოთ ეს ოქროს მამალი, ხომ ვიცით, რომ ყველა შედარება კოჭლობს.

ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ორშაბათის სტატიაში ჩემს მიერ დაშვებული სასაცილო შეცდომით დაიწყო ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ყალბი ატრიბუციების კვირა.

ჯერ ერთი, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ისტორია, ალბათ, გადაწყვეტს, როგორ გამოთქვას შესაბამისი აბრევიატურა — ცესკო თუ ცეესკა) ვერ გაურკვევია თავისი ფუნქცია. წავიკითხოთ 31 ოქტომბერს დაბეჭდილი თამარ მჭედლიშვილის სტატია *გუშინ ცესკო-მ თავი კანონზე მაღლა დააყენა*. ტექსტი გვეუბნება: "თავდაპირველად ცენტრალური კომისიის მხოლოდ ხუთმა წევრმა დაუჭირა მხარი ზვიად ძიძიგურის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარებას. დანარჩენების უარი კი იურიდიულად აბსოლუტურად დაუსაბუთებელი იყო". რატომ მოხდა ასე? მოვუსმინოთ კომისიის წევრებს. **პაატა საყვარელიძე**: "თვითონ (ე. ი. ზვიად ძიძიგური — ნ. ლ.) პრეფექტურის შენობაში იყო გამაგრებული, ჩვენ კი ერთმანეთს გვახოცინებდა". **მინდია სალუქვაძე**: "მას (ე. ი. ზვიად ძიძიგურს — ნ. ლ) სასჯელი ერის წინაშე ჯერაც არ მოუხდია". **გია ზესაშვილი**: "ნებისმიერი კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებას აზრი მხოლოდ მას მერე ექნება, როცა ფინანსთა სამინისტრო 24 ნოემბრის არჩევნების ჩასატარებლად საჭირო თანხას გამოყოფს". **ჯუმბერ ლომინაძე**: "არ ვიცი". მშვენიერია! — ფორმალურად აქ საქმე სწორედ ყალბ ატრიბუციასთან გვაქვს: ამ შემთხვევაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა თავიანთი ხმებით კანდიდატი კი არ უნდა აირჩიონ ან უარყონ, არამედ დაადასტურონ ან უარყონ კანდიდატურის წამოყენების კანონიერება. უფრო მეტიც, აქ რამდენიმე ყალბი ატრიბუცია დაგროვდა: საარჩევნო კომისიის წევრის საქმე არაა არკვიოს 1) კანდიდატის წარსული; 2) მისი დამოკიდებულება ისეთ პოეტურ აბსტრაქციასთან, როგორიც "საერო სამართალია"; 3) მომავალი არჩევნების ფინანსური შესაძლებლობა.

არ ვიცი, ტყუილია თუ მართალი, მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინ ყური მოვკარი, რომ ლიკანში გამართულ ერთ კონფერენციაზე ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ მესვეურს უთქვამს, დღეს ისტორიკოსობა და ფილოლოგობა დეგრადირებული ფაშისტების პროფესიებიაო. ერთი პირობა საშინლად აღვშფოთდი, მაგრამ აკადემიკოს მინდია სალუქვაძის მიერ შემოთავაზებულმა მოტივაციამ დამაფიქრა, იქნებ მართალიც იყო ეს ჩვენი ლიკანელი ლიბერალი — თავისი ორმაგი დახასიათების პირველ ნაწილში მაინც.

გარდა ამისა, — იკითხავს გამჭრიახი მკითხველი და მართალიც იქნება, — რამდენად მისაღებია, ამ საპასუხისმგებლო კომისიის თავმჯდომარე ამდენ უპასუხისმგებლო განცხადებას აკეთებდეს ერთ ჯერზე? ან ეგ "არ ვიცი" რას ნიშნავს? ან საარჩევნო კომისიის წევრთაგან ვინ იღებს ქრთამად ასიათასებს (იხ. ინტერვიუ 31 ოქტომბრის B1 გვერდზე)? ამ უკანასკნელ შესაძლებლობას სულაც არ გამოვრიცხავ, მაგრამ საჭირო დასაბუთების გარეშე ასეთი ex cathedra განცხადებისათვის ერთობ მოუმზადებლად მეჩვენება და მთელი სიტუაცია ერთ ძველ ანეგდოტს მაგონებს — ხომ გახსოვთ, "შპიონი" თუ გინდა, მესამე სართულზე ცხოვრობსო.

ახლა კი ყალბი ატრიბუციის ერთ შესანიშნავ მაგალითსაც მივხედოთ. უკვე რამდენიმე დღეა ჩვენს პოლიტიკურ სინამდვილეში ჟღერს სიტყვა "იმპიჩმენტი". ვიღაცას მისი ჟღერადობა არასაკმარისად ევფონიურად მოჩვენებია და ზედ უფრო კეთილხმოვანი სიტყვა, "ლუსტრაცია" მიუმატებია. ესეც ყალბი ატრიბუციაა, იმიტომ რომ ლუსტრაცია სხვა რამეს ნიშნავს და რამდენიც არ უნდა იძახო "შაქარი, შაქარი!" პირში სიტკბოს მაინც ვერ იგრძნობ. მაგრამ ახლა ეს არ გვაინტერესებს. ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, იმპიჩმენტის მოძახილს "ნაციონალებიც" შეუერთდნენ. ეს მოვლენა მეორე დღეს, 1 ნოემბერს აისახა ჩვენს გაზეთში: სოფო ბუკიას სტატია *"ნაციონალები" საიმპიჩმენტო დოკუმენტს თვითონ ქმნიან*. სამი დღით ადრე, 29 სექტემბერს, ეკა კვესიტაძე პირველი გვერდიდან სრულიად სამართლიანად მსჯელობდა, რომ კონსტიტუციური პროცედურის სირთულის გამო იმპიჩმენტის თაობაზე "პარლამენტართა ნაწილის მოთხოვნას ასრულების თეორიული შანსიც კი არ გააჩნია". შემდეგ ავტორი შენიშნავდა, რომ დეპუტატებმა პრეზიდენტის წინააღმდეგ წინასწარვე წაგებული თამაში წამოიწყეს. და მაინც, ხუთშაბათს ამ არაფრის გამო დიდ აურზაურს მიხეილ სააკაშვილის მოულოდნელი ხმაც მიემატა. რატომ? მივყვეთ სოფო ბუკიას ტექსტს და იქნებ გავიგოთ, რისთვის იყო საჭირო "ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური საბჭოს ღია სხდომის მოწყობა. თავიდანვე მიხეილ სააკაშვილი ამტკიცებს, რომ "აღორძინების" საიმპიჩმენტო ინიციატივა "პოლიტიკური შანტაჟია": "ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ მოვაწერთ ხელს ასლან აბაშიძის სურვილებით შექმნილ დოკუმენტს. აბაშიძე ითხოვს, დოკუმენტში ჩაიწეროს, რომ შევარდნაძის იმპიჩმენტის მიზეზი გახდა მისი დაპირისპირება ასლან აბაშიძესთან. ასეთ დოკუმენტს ჩვენ ხელს არ მოვაწერთ!". ამის შემდეგ სტატიაში წერია, რომ "ნაციონალები" იმპიჩმენტის თავიანთ გეგმას პარლამენტის 26 აგვისტოს დადგენილების შეუსრულებლობაზე ამყარებენ. მერე კი საოცარ რამეს ვკითხულობთ: თურმე "ნაციონალები" საკუთარ საიმპიჩმეტნო დოკუმენტზე ხელის მოსაწერად ყველა პოლიტიკურ ძალას ეპატიჟებიან, მათ შორის "აღორძინებასაც". ეს ადამიანები ისე ეცილებიან ერთმანეთს შევარდნაძის გაძევების პრიორიტეტს, თითქოს საქმე მართლაც რომ ლობიოს ჭამას ეხებოდეს. გინდ აბაშიძის, გინდ სააკაშვილის გეგმა ერთნაირად ხანგრძლივ და მრავალეტაპიან პროცესს მოითხოვს. მეორე მხრივ, გამოდის, "ნაციონალებს" ღია სხდომა იმისთვის მოუწვევიათ, რომ ჯერ აღორძინების მიერ შექმნილი დოკუმენტი გაექილიკებინათ, მერე თავიანთი არანაკლებ საეჭვო გეგმა წარმოედგინათ და ყოველივე ამის მერე თვით "აღორძინება" მიეპატიჟებინათ ხელის მოსაწერად. სხდომის მთელი შინაარსი ერთი თავისთავად ცხადი დებულებისა და ორი შეუძლებელი, ან ყოველ შემთხვევაში, ძნელად შესაძლებელი წამოწყებისგან შედგება. ვერ დავიჯერებთ, რომ ამ საქმეში ჩახედულ ხალხს ამდენი არ ესმის. ესე იგი საქმე გვაქვს "ნაციონალების" არა სტრატეგიულ, არამედ ტაქტიკურ ნაბიჯთან. თავისთავად, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ რითია განპირობებული ეს ნაბიჯი?

თვალი ოდნავ ზევით გავაპაროთ და პასუხსაც ვიხილავთ: ზურაბ ჟვანია: *"ჩვენ გველოდება წელი, რომელიც ქვეყნის მომავალს საბოლოოდ გადაწყვეტს"*. თამარ ხორბალაძის ეს მასალა "გაერთიანებული დემოკრატების" პირველ ყრილობას ეძღვნება. ჯერ გაუგებარია? მაშინ B1 გვერდზე გადავინაცვლოთ, სადაც 31 ოქტომბრის დღის პერსონად ზურაბ ჟვანია გვევლინება. რას ამბობს გაერთიანებულ დემოკრატთა ლიდერი იმპიჩმენტის შესახებ? მოვუსმინოთ: "თქვენ გინახავთ საიმპიჩმენტო დოკუმენტი? არც მე... ვნახე ერთი ვერსია, სადაც შევარდნაძეს ბრალი ედებოდა აჭარასთან შუღლის გაღვივებაში და მეორე — სადაც მას სხვადასხვა დანაშაულებისთვის სდებენ ბრალს. მაგალითად, მან ვერ უზრუნველყო, რომ ქვეყანაში არ ეწყობოდეს ტერორისტული აქტები...". ესე იგი ჟვანიას "აღორძინების" მიერ შექმნილი ორივე დოკუმენტი უნახავს — ასლანამდელიც და ასლანის შემდგომიც. და მაინც ამბობს, საიმპიჩმენტო დოკუმენტიც არ მინახავსო. ნამდვილი პასუხი იქ მთავრდება, სადაც ზურაბ ჟვანია წარმოთქვამს სიტყვებს: "არც მე...". ამის შემდგომი მრავალსიტყვაობა მხოლოდ დუმილის ფორმაა და მეტი არაფერი. ამ ენამჭევრი დუმილით ზურაბ ჟვანია მიგვანიშნებს, რომ ამ საეჭვო ავანტიურაში არ ჩაერევა. სხვა, უფრო სერიოზული საქმეები აქვს.

ჯერაც ვერ ხედავთ ყალბი ატრიბუციის ნიშნებს? არცაა გასაკვირი: მედიის პრიორიტეტები ჯერ კიდევ ბუნებრივადაა განაწილებული და ინფორმაცია "გაერთიანებულ დემოკრატთა" პირველი ყრილობის შესახებ ზემოდან ადევს "ნაციონალების" პოლიტიკური საბჭოს ღია სხდომის შესახებ რეპორტაჟს. ახლა კი ერთი დღით წინ წავიწიოთ.

ამ დღეზე გვეუბნებოდა თამარ ხორბალაძე თავის უკვე ნახსენებ სტატიაში: "ძალის და საზოგადოებრივი მხარდაჭრის დემონსტრირება დღეს, სამი საათისთვის სპორტის სასახლეშია დაგეგმილი". ლაპარაკია "გაერთიანებულ დემოკრატთა" პირველ საერთოეროვნულ კონვენტზე.

მაგრამ სრულიად მოულოდნელად შაბათის, 2 ნოემბრის ნომრის პირველ გვერდზე კვლავ ჯუმბერ ლომინაძის გაოგნებულ სახეს ვხედავთ, მისგან ოდნავ მარცხნივ კი, მიკროფონთან, ჟურნალისტთა მრავალრიცხოვანი გუნდით გარშემორტყმული დგას Deus ex machina — მიხეილ სააკაშვილი. კომპოზიცია სწორედ რომ ლეონარდო და ვინჩის "საიდუმლო სერობას" მოგვაგონებს. მაგრამ რა პრობლემა გადაწყვიტა ამ მანქანიდან მოვლენილმა ღმერთმა, რომელიც გამარჯვებული სახით ქადაგებს მიკროფონიდან? თამარ მჭედლიშვილი გვამცნობს შემდეგს: "50 ადამიანი საშვის გარეშე, შეიჭრა შენობაში (იგულისხმება იმელის შენობა, სადაც განლაგებულია ცენტრალური საარჩევნო კომისია — ნ. ლ.) და მის დაცვასა და აფხაზეთის უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლებს საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია". ეს ადამიანები "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები იყვნენ.

მაინც რისთვის იბრძოდნენ ისინი? გადავშალოთ გასული შაბათის ნომერი და გასაგებიც გახდება: "ჩვენ ვართ ის ძალა, რომელსაც შეუძლია საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მოგება". აი, ასეთი იყო "გაერთიანებულ დემოკრატთა" პირველი კონვენტის ძირითადი უწყება. ეს უწყება კი, მიხეილ სააკაშვილისა და მის თანამებრძოლთა ინტერესებიდან გამომდინარე, პირველ გვერდზე არ უნდა მოხვედრილიყო.

ყალბ ატრიბუციას იმ გარემოებაში ვხედავ, რომ ინფორმაციამ იმელის შენობის სათამაშო შტურმის შესახებ მეორე პლანზე განდევნა "გაერთიანებულ დემოკრატთა" კონვენტის გაშუქება. რატომ განაწილდა პრიორიტეტები ამგვარად? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არა მაქვს. შემიძლია შემდეგი ვივარაუდო: გაზეთს საპრეზიდენტო არჩევნებზე გამარჯვების პირველი აშკარა და სერიოზული განაცხადი რომ პირველ გვერდზე მოეთავსებინა, ამ მოვლენის ახლომახლო შექმნილი სრულიად უმნიშვნელო მაგრამ ხმამაღალი ფონის მიჩუმათება ნამდვილად ჩაეთვლებოდა ტენდენციურობაში. ეს ის შემთხვევაა, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდა მოვლენების შინაგანი ჭეშმარიტება და მათ მიმართ წინასწარ მოთხოვნილი ობიექტურობა, საგნების ნამდვილი ღირებულება და გარემოებებით გამოწვეული მათი შეფასება. ლიბერალურ ღირებულებათა ბატონობის ერთ-ერთი თანმხლები ეფექტი ისაა, რომ ამ ღირებულებათა დაცვა ხანდახან მათ საწინააღმდეგოდ შემობრუნდება.

მე მაინც მგონია, რომ "გაერთიანებულ დემოკრატთა" კონვენტი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ვიდრე იმელში რამდენიმე ათეული თუნდაც შეიარაღებული კაცის შეჭრა (ისე კი, მხოლოდ ერთ საფანტის პისტოლეტზე იყო საუბარი). ოღონდ აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ ამგვარი განცხადებით მე ჩემს საკუთარ პოლიტიკურ პრიორიტეტებს ავხადე ფარდა. ჯერ-ჯერობით ჩვენი პოლიტიკური სპექტრის ფერები ერთმანეთისგან მხოლოდ სახელებით განსხვავდებიან და კიდევ ისეთი სრულიად აქციდენტური მახასიათებლებით, როგორიცაა პირადი გამოცდილება, ხასიათის თვისებები და მისთანა. როდესაც "გაერთიანებული დემოკრატები" ამბობენ, რომ ლიდერების კი არა, იდეების გარშემო ერთიანდებიან, ეს ჯერჯერობით მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამ განცხადების ავტორს სხვაზე ოდნავ მეტი გემოვნება აქვს და პოლიტიკური სპექტრის დანარჩენი ნაწილის ულიმღამობა ასე იაფად გამოსვლის საშუალებას იძლევა. კაცმა რომ თქვას, არც გემოვნების უპირატესობაა ძალიან დიდი: როცა გამსახურდიას გამზირზე ქუჩის ერთი მხრიდან მეორემდე გადაჭიმული სიტყვა "კონვენტი" წავიკითხე, პირველად თვალებს არ დავუჯერე, მერე გავიხსენე, რომ კონვენტს გილიოტინა მოსდევს, მერე რატომღაც მომეჩვენა, რომ ჟაკ-ლუი დავიდის სურათზე გამოსახული მარატი რაღაცით ზურაბ ჟვანიას გავს, გოკა გაბაშვილის გამოხედვაში კი მართლაც შეიმჩნევა სენ-ჟიუსტის ყმაწვილური ცეცხლი. რას იზამ, ილია ჭავჭავაძემ უკვე მოგვცა ამგვარი მოვლენების ასახსნელი უნივერსალური ფორმულა: "ქართველია და იმიტომაო". ჩვენში ხომ ასე ადვილია ხელი გაიწვდინო და ჭერიდან ჩამოიღო ან ლეიბორისტის, ან ქრისტიან-დემოკრატის სახელი და დაირქვა. ერთი მე ვერ მოვახერხე საქართველოში გველფების ან გიბელინების პარტიის დაარსება! ალბათ, მარიფათი არ მყოფნის საამისოდ. მაგრამ პირველსავე სიტყვას მოვიდეთ.

მნიშვნელოვანი მოვლენები კონვენტით არ ამოწურულა. აი, მაგალითად, "ახლებისა" და დანარჩენი "დემარშისტების" პრეტენზიები სახელმწიფო მინისტრთან ასევე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა. მაგრამ ესეც დაჩრდილა იმელის ინციდენტმა.

დიახ, ჩემი აზრით, ამ ინციდენტის პირველ ადგილზე მოთავსება ნამდვილად იყო საინფორმაციო პრიორიტეტების ყალბი ატრიბუცია, მაგრამ გაზეთი სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო. რატომ? იმიტომ, რომ უხამსობა ყოველთვის პირველ რიგში უნდა ისჯებოდეს, ხოლო თამარ მჭედლიშვილის ტექსტში ჩვენს თვალწინ არა მხოლოდ ფაქტების გადმოცემა იშლება, არამედ იხსნება მათი ეთიკური მნიშვნელობაც. მკითხველი კი საკმაოდ აღზრდილი უნდა იყოს იფქლისა და ღვარძლის გასარჩევად. მჯერა, რომ არის კიდეც.

ყალბი ატრიბუცია, ამ შემთხვევაში, გაზეთს კი არა, სინამდვილეს უნდა გადავაბრალოთ. სინამდვილე კი, იცოცხლე, ყოველ დონეზე სავსეა მსგავსი მოვლენებით. ზოგი მათგანი ნამდვილად სასაცილოა...

აი, 1 ნოემბრის ნომერში ვხედავთ ირინე სანებლიძის მასალას, *დაიწყო ავლიპ ზურაბაშვილის საიუბილეო დღეები*. აქ ფოტოზე მოცემულია ლევან სალუქვაძის მიერ შექმნილი ბარელიეფი, რომელზედაც ცნობილი ფსიქიატრის პროფილს აშკარად ემჩნევა ნიცშესთან მსგავსება. მაგრამ ამაში როდია ყალბი ატრიბუცია. წინა კვირის ერთ საღამოს 18 საათზე "კურიერმა" გადმოსცა, რომ ბარელიეფი მერაბ ბერძენიშვილის საჭრეთელს ეკუთვნის. ამ ტელეგადაცემიდან რამდენიმე წუთში დამირეკა ლევან სალუქვაძემ და საოცარი ამბავი მამცნო: როცა მოქანდაკემ ბარელიეფზე მუშაობა დაასრულა, ავლიპ ზურაბაშვილის შთამომავლებმა სთხოვეს, მოდი, მერაბ ბერძენიშვილის სახელი დავაწეროთ, ვითომ მან გააკეთაო. ამ ფაქტის კომენტარი ჩემი საქმე არაა, მით უმეტეს, რომ ჩვენს გაზეთში არ გამოქვეყნებულა, მე, უბრალოდ, ირინე სანებლიძის მასალის შევსება მინდა ამ მეტად ნიშანდობლივი დამატებით. საბაბად კი იმას ვიყენებ, რომ სტატიაში ლევან სალუქვაძე ახალგაზრდა მოქანდაკედაა მოხსენიებული, თუმცა სტატიის შინაარსს არანაირი შეხება არა აქვს მის ასაკსა და გამოცდილებასთან. ბარელიეფთან დაკავშირებული კურიოზი ჩემი წინა სტატიის ლაიტმოტივსაც ეხმაურება — ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეს. ასევე ეკა კვესიტაძეც გამომეხმაურა 30 ოქტომბერს გამოქვეყნებულ თავის სვეტში. ყოველთვის სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ ნიჭიერ ადამიანებს გულგრილად არ ტოვებს შენი ნაწერი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეკას შემდგომ პუბლიკაციას სათაურად არ ექნება "ყალბი, ყალბი ატრიბუცია". იგი ხომ უამისოდაც მშვენივრად ართმევს თავს შემოქმედებით ამოცანას.

საბოლოოდ კი ყალბი ატრიბუციის კიდევ ერთი მაგალითი: 29 ოქტომბერი, თამარ სუხიშვილი, *მუსიკა, რომელიც სიჩუმეში იმალება*. სტატიაში ვკითხულობთ: "კალიფორნიელი მამა, რომელიც აგნოსტიციზმიდან ორთოდოქსობამდე მივიდა და რომელიც ამერიკელ ხალხს ორთოდოქსული რელიგიის მისიონერად მოევლინა, — ასეა ცნობილი დღეს მთელი მსოფლიოს ქრისტიანულ სამყაროში სერაფიმ როუზის სახელი". რომელი ორთოდოქსული რელიგიის მისიონერად მოევლინა როუზი ამერიკელ ხალხს? ორთოდოქსული შეიძლება იყოს კათოლიციზმი, იუდაიზმი, ალბათ, ბუდიზმიც. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში საუბარია აღმსარებლობაზე, რომელსაც ქართულად მართლმადიდებლობა ეწოდება. სერაფიმ როუზის სახელი პირველად საქართველოში 80-იან წლებში გახდა ცნობილი. მის ნაწარმოებს, "სულის სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ" ერთმანეთს ხელიდან ხელში გადასცემდნენ ჩვენი ანთროპოსოფები. მერე ზაზა თვარაძემ თარგმნა ქართულად მცირე საპროგრამო სტატია "სამეუფო გზა", რომელიც აქამდე რუსულად იყო გავრცელებული ჩვენს ფუნდამენტალისტურად განწყობილ მართლმადიდებელთა შორის. 1991 წელს, რუსეთის ქალაქ დუბნაში ფიზიკოსებთან შეხვედრისას, ცნობილ ამერიკელ მართლმადიდებელ ღვთისმეტყველს, დეკანოზ ალექსანდრე შმემანს დაუსვეს შეკითხვა სერაფიმ როუზის შესახებ. ალექსანდრე შმემანმა გაიკვირვა: ეს სახელი პირველად მესმისო. მართლაც, ექსტრავაგანტური მქადაგებლური ნიჭით დაჯილდოებული მღვდელმონაზონი, სერაფიმ როუზი, რომელსაც რომელიმე ბილი გრეჰემისაგან კუნკულ-ბარტყული და წმიდა მამებზე დაყრდნობები თუ განასხვავებს, ამერიკაში მხოლოდ ჯორდანვილის მონასტერში ახსოვთ. ამას კიდევ რუსული "ზარუბეჟნიკების" ნაწილი შეიძლება მივამატოთ და კიდევ "ერ-პე-ცეს", ანუ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რამდენიმე ათეული მნათე ან სამრევლო აქტივისტი, რომელთაც განსაკუთრებით უყვართ საშინელი ამბების მოყოლა იმის შესახებ, თუ ჭიპლარიდან როგორ სწოვენ სისხლს ახალდაბადებულ ქრისტიან ყრმებს ებრაელი ექთნები.

დღეს მეუფე ნიკოლოზი ამბობს, რომ სერაფიმ როუზის წიგნის მომზადებას ერთი წელი დასჭირდებაო. მახსოვს, რა ენთუზიაზმით გამოსცემდნენ 90-იანი წლების დასაწყისში ძმები გელა და ზურაბ აროშვილები ხუთტომეულს "სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა". მშვენივრადაც გამოსცეს. დღეს ამ ხუთტომეულის შესახებ ბევრი საყვედურიც შეიძლება გამოითქვას, ბევრი ნაკლიც შეიძლება შეიმჩნეს, მაგრამ ბოლო 10 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით ამაზე კარგი არაფერი გაკეთებულა. დღეს ძმები აროშვილები სქიზმატებად არიან შერაცხულნი. ორთოდოქსიის წიაღში დარჩენილები კი მთელ წელიწადს ანდომებენ სერაფიმ როუზის სტატიის თუ ლექციის მომზადებას გამოსაცემად.

ასეა თუ ისე, სერაფიმ როუზის მემკვიდრეობისათვის ესოდენი მნიშვნელობის მინიჭება ნამდვილად ყალბი ატრიბუციაა.

კიდევ, კიდევ? მოსკოვის ტერაქტზეც მინდოდა რაღაცის დაწერა და რუსული კულტურის მოღვაწეებთან შეხვედრაზე, მაგრამ ნორჩმა ქიმიკოსმა, გოგი გვახარიამ დამასწრო. ვისაც ეს საკითხები აინტერესებს, წაიკითხოს მისი 2 ნოემბრის სვეტი — *პოსტმოდერნისტული რეკვიემი ტარანტინოს სტილში*. უკეთესს მე ვერაფერს ვიტყოდი.

ბოლოს კი კვლავ მინდა მოვინანიო, რომ წინა ორშაბათს ჩვენს ზნეობის დამცველებს არასწორი ორიენტაცია მივეცი და ბესიკის მაგიერ დავით გურამიშვილთან გავაგზავნე. ახია ჩემზე — ზნეობისა და ჭეშმარიტების გულშემატკივრებმა თვითონ უნდა გაარკვიონ თავიანთ ორიენტაცია.



ლადო ბურდულის სვეტი

## მაგალითისთვის: ქართული შოუ-ბიზნესი



**გაგრძელება**

იმის გამო, რომ დღეს ქართველ ახალგაზრდებში ფულის ძალაუფლებამ სი ბემოლს მიაღწია, ხოლო ამ ფულის მოპოვების ხერხები და საშუალებები ყველანაირ მანამდე უცნობ თუ ნაცნობ, ნებადართულ თუ ნებადაურთავი ილეთების გამოყენებას ითვალისწინებს, ახალგაზრდებში პოპულარული შემდეგი პროფესიები და სფეროები გახდა: პოლიტიკოსობა, პარლამენტი, სახელმწიფო სტრუქტურები, მერია, საკრებულო, ბანკირი, ძალოვანი სტრუქტურები, საგადასახადო ინსპექცია, საბაჟო დეპარტამენტი, და ა.შ.

ხოლო ამ დირექტორების და თამადების ქვეყანაში კი არავინ ოცნებობს და არავის უნდა გახდეს მაგალითად, საბავშო ბაღის მომვლელი ან უბრალოდ ბაიკერი ან სუფლიორი ან თუნდაც მარკშეიდერი... ყველა სცენაზე და ყველა მთავარი პარტიით! მათ ხომ ყველაზე კარგად ეხერხებათ დიდი სუფრიდან, ტრიბუნიდან ან თუნდაც სცენიდან რჩევა-დარიგებების და ჭკუის სწავლება ხშირი ხმარებისგან უკვე ოდნავ გადიდებული საჩვენებელი თითით; თანაც, არა მარტო ქართული საზოგადოებისთვის და ახალგაზრდობისთვის, არამედ თუ საქმეს დასჭირდა - მთელი მსოფლიოსთვისაც.

და რასაკვირველია, რომ მოიხედავ და... ასეთ თამადების და დირექტორების ქვეყანას, დევიზით - “რაც მაგრები ვართ ქართველები ვართ”, მესამე ქვეყნების სიაში ნახავ.

და სულ მკლავს ფიქრი - რაში სჭირდებათ ამ გოჭუნებს ამ გაღატაკებულ და გაძარცვულ ქვეყანაში ეს ოხერი “ამდენი ფული”? სად ნახეს ის გასართობი ადგილი, სადაც შეიძლება მისი ამ რაოდენობით დახარჯვა? ნუთუ მართლა ამ ორი ბარდელისთვის, სამი რესტორნისთვის და ოთხი კაზინოსთვის ინგრევა ქვეყანა?

მაგრამ ქართულმა ბიზნესმა დევიზით “ნიჟსა ფართო გზა” მაინც ჰპოვა თავისი ადგილი ტრადიციული კვებ-პუნქტების დახვეწა განვითარებაში. მაგალითისთვის, ახალი სტილის რესტორნების ჰიტი კონცეფციით “ნე ოტხოდია ოტ კასი”, სადაც კუპე-რესტორანი, აუზი, მუსიკა, სასტუმრო-საძინებელი თავის ტელევიზორით და გოგონებით. ეს კი, გარკვეულ წილად ჰგავს “ხაშს ზარმაცებისთვის”

მაგრამ იდეა და სერვისი ისე შთამბეჭდავი არ არის, როგორც კლიენტურა, ანუ მომხმარებელი: დასუქებული ახალგაზრდები მშიერი მშობლების ქვეყანაში, მუდამ მოწყენილი, აწითლებული და და უკმაყოფილო სახე, რომლის დანახვაზეც დროებით ივიწყებ ამ მკაცრ ქართულ რეალობას და იძირები უდარდელ 70- ან წლებში. ეს წარმატებული ქართული ბიზნესია, რომელიც ქუდზე კაცის პრინციპით არის აშენებული და გახსნილი. მაგრამ ჰოი საოცრებავ - ქვეყანას მაინც შია!!! და ეხლა მივხვდი რატომ არის რომ ამბობენ: “მსუქანი ხალხი ყოველთვის კეთილია გამხდარი კი ავიო”. რაც ჩვენმა ქვეყანამ დაიკლო წონაში, მას შემდეგ დატრიალდა ჩვენს თავზე ეს შავი უბედურების ღრუბელი. ასე რომ, ყველას მოგიწოდებთ ერთისკენ - “დაუყონებლივ დაუბრუნდით სიმსუქნეს ყველა თქვენს ხელთ არსებულ ხერხებით!”

მაგრამ მაინც, როგორ ვიშოვოთ ეს ოხერი ფული, ურომლისოდაც ჩვენი კეთილებად გადაქცევა გამორიცხულია? ან თუნდაც რამდენ ხანს უნდა ველოდოთ ფულის ჩვენსკენაც მოტრიალების პროცესს?

მანამდე კი, მოდი გავიხსენოთ “საქართველოში ფულის უახლესი ისტორია”, რომელიც ასე გავს სურვილის საწინააღმდეგოდ ბევრჯერ განათხოვარ ქართველი მანდილოსანის ბედს და ცხოვრებას. რამდენად რეალური და მიზანშეწონილი არის ჩვენის მხრიდან ეს უსასრულო ლოდინი და იმედი?

და აი აქ მივხვდებით იმას, რომ ქართველი ახალგაზრდობა არამც და არამც არ ცდება თავის პრაგმატიზმში და არჩევანში, რადგანაც საქართველოში ფული მუდამ ჰქონდათ და ექნებათ.. ანუ მასზე ქორწილი მუდამ ქონდათ და ექნებათ. არა, მოდი ნუ ავურევთ და ყველაფერი თანმიმდევრობით დავალაგოთ:

ნუ დავიწყებთ ოსმალეთიდან და პირდაპირ გავაგრძელოთ ასიმილაცია-დისიმილაციის პროცესი “წითელი კრემლიდან” – “თეთრ სახლამდე”.

მას შემდეგ რაც 1921 წელს კომუნისტებმა ჩამოაგდეს და განდევნეს საქართველოდან თავისუფალი საქართველოს პატრიოტები, მთელი ის სიმდიდრე, რომლის გატანაც ველარ მოასწრეს თავისუფლებისთვის მებრძოლმა გმირებმა, ერთპიროვნულად დარჩათ გამგებლობაში კომუნისტ პატრიოტებს და მათ თანაპარტიელებს. თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, მათი ოჯახის წევრებს, ანუ საძმოს, ანუ სამეგობროს, იგივე საახლობლოს, ანუ სანათესავოს და ა.შ., რომელიც იმართებოდა და ნაწილდებოდა კრემლიდან და რომლის დროსაც საბჭოთა საქართველო სიმდიდრით 15 რესპუბლიკაში მესამე იყო.

როცა გარდაქმნების შედეგად ატეხილი ქარტეხილის შემდეგ, დამოუკიდებლობის სიომ საქართველოშიც შემოუბერა და დიდი საბჭოეთი დაიშალა, ხოლო საქრთველოდან წითელი ურჩხულის პატრიოტები იქნენ განდევნილნი, 1990 წელს ფული “გადაებარათ” თავისუფალი საქართველოსთვის მებრძოლ გმირებს, ანუ “ზვიადისტებს” და მათ თანამებრძოლებს, ანუ თანამოაზრეებს, ანუ მათი ოჯახის წევრებს, ანუ მათ საძმოებს, ანუ სამეგობროებს და ა.შ. (ჩემის აზრით, ყველაზე დაჩაგრულები ფულთან ასე მცირე ხნის სასიყვარულო რომანით მაინც ეს ერთგული პატრიოტები აღმოჩნდნენ)

მას შემდეგ რაც “პროვინციული ფაშიზმის “ სახელით მონათლული პატრიოტები ჩამოგდებულნი და განდევნილნი იქნენ საქართველოდან, 1992 წელს ფულთან “თაფლობის თვე” წილად ერგოთ თავისუფალი საქართველოსთვის თავდადებულ გმირებს, “მხედრიონელებს”, ანუ მათი ოჯახის წევრებს, ანუ საძმოს, ანუ და ა.შ.

ხოლო მას შემდეგ რაც “კრიმინალებად” წოდებული პატრიოტები განდევნილნი, ანუ დაკავებულები იქნენ ზემდგომი ორგანოების მიერ, ფული, ანუ პატარძალთან “თაფლობის თვე” ხელში ჩაიგდო თავისუფალი საქართველოსთვის მებრძოლმა “საქართველოს დემოკრატიულმა ძალებმა”, ანუ იგივე “მოქალაქეთა კავშირმა”, ანუ მათმა თანაგუნდელებმა, ანუ მათთმა ოჯახის წევრებმა, ანუ საძმოებმა, ანუ და ა.შ.

ხოლო აი აქედან კი, აირია მონასტერი და მთავარია უკვე მასთან, ანუ ფულთან, ანუ პატარძალთან ვინ მიახლოვდება პირველი. მიახლოების მეთოდები კი ისეთია, რომ იგორ კიოსაც კი განცვიფრებაში მოიყვანს ქართველი კორუფციონერის მიერ ათვისებული ფოკუსები “ფულის გაქრობის” შესახებ, ანუ პატარძლის “შეუხებლად დაორსულების” ნომერი.

აი ასე გაიარა ქართულმა სიმდიდრემ “წითელი კრემლიდან” “თეთრ სახლამდე”.

შემდგომ წერილში კი ჩვენ ისევ დავუბრუნდებით ამ თემას და ამჯერად განვიხილავთ “ფულის განაწილების საიდუმლოს საქართველოს უახლეს ისტორიაში”.

**P.S. მე კი ვფიქრობ, რომ უბრალო ქართველი მოქალაქე ამ რიგში დგომისთვის განწირულია, თუ ის არ გახდა პატრიოტი ანუ თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირი, ანუ თუ მან დიდი პისტოლეტი არ იყიდა და გარადაქმნებში აქტიური მონაწილეობა არ მიიღო. როგორც ისტორია გვასწავლის, ეს არ ყოფილა უცხო ხილი ჩვენი ძველი ქართველი ბრძენი მამებისთვის, რომლებსაც უთქვამთ: “მიუჩვეველს ნუ მიაჩვევე და მიჩვეულს ნუ მოაკლებო”.**

http:lado.art.ge

# „ფალსტაფი ისე სჭირდება საზოგადოებას, როგორც მარილი წვნიანს”

### ვახტანგ მაჭავარიანი ვერდის უკანასკნელი ოპერის საკონცერტო პრემიერას გვთავაზობს

მადი სერებრიაკოვა

გასული წელი ვერდის “ფალსტაფის” პოპულარობის პიკად შეიძლება ჩაითვალოს. 2001 წელს იგი ევროპის თითქმის ყველა მნიშვნელოვან სცენაზე დაიდგა: ლონდონში, პარიზში, ზალცბურგში, ბერლინში, მიუნხენში, ტორონტოში, მოსკოვში. გამოიცა ოპერის ორი ბრწყინვალე ჩანაწერი (ჯონ ელიოტ გარდინერის და კლაუდიო აბადოს დირიჟორობით). ამჯერად “ფალსტაფის” რენესანსი თბილისსაც შეეხო. დღეს ოპერისა და ბალეტის თეატრში, ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და დირიჟორი ვახტანგ კახიძე “ფალსტაფის” საკონცერტო შესრულებას გვთავაზობენ.

საქართველოში “ფალსტაფი” პირველად სრულდება. ვერდის უკანასკნელი ოპერის შეუსრულებლობის ობიექტური მიზეზად შეიძლება მისი განსაკუთრებული სირთულე დავასახელოთ. კომიკური ოპერის სიმსუბუქისა და მახვილგონივრულობის შენარჩუნება სამ მოქმედებაში განფენილი ურთულესი ანსამბლების, ფინალში ათხმიანი ფუგის პოლიფონიის ფონზე – მსოფლიოს უდიდეს თეატრებშიც ხშირად ძნელი მისაღწევია. “ფალსტაფში” ვერდი წარმოგვიდგა სრულიად ახალ განზომილებაში – აღნიშნავს ვახტანგ მაჭავარიანი, - აქ ყველაზე ნათლად იგრძნობა ვაგნერის გავლენაც”. დირიჟორმა პრობლემის გადაჭრა უცხოელი სოლისტების მოწვევით სცადა. დღევანდელ წარმოდგენაზე ექვსი უცხოელი შემსრულებელი გამოვა. თითოეულ მათგანს დირიჟორი ევროპის სცენებზე შეხვედრია. “ფალსტაფის” პარტიები უმეტესობისთვის საუკეთესო როლებია. თავად მაჭავარიანმაც აღნიშნა, რომ ევროპის საუკეთესო სცენებზეც “ფალსტაფის” მომზადებას ექვს კვირას მაინც ანდომებენ. თბილისის თეატრში კი მისი ხუთ დღეში მომზადება გარისკეს (თუმცა ორკესტრი სოლისტების ჩამოსვლამდეც აქტიურად ემზადებოდა პრემიერისთვის).



გიუნთერ ფონ კანენი რეპეტიციაზე

“ფალსტაფის” შესრულებას ჩვენი ორკესტრისთვის არა მხოლოდ წმინდა შემოქმედებითი მნიშვნელობა აქვს. წლევანდელი სეზონი ორკესტრისთვის საიუბილეოა და მისი მესვეურები საუკეთესო რეპერტუარით ცდილობენ მის აღნიშვნას. ერთი თვის წინ ვერდის “რექვიემის” შესასრულებლად თბილისში პაატა ბურჭულაძე, მაყვალა ქასრაშვილი, თეა დემურიშვილი და ლაშა ნიქაბაძე ჩამოვიდნენ. ამჯერად, “ფალსტაფს” ჩვენს ორკესტრთან ერთად, გერმანელ და ავსრტიელ მომღერალთა სოლიდური შემადგენლობა შეასრულებს.

მოწვეულ სოლისტებს შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფალსტაფის პარტიის შემსრულებელი გიუნთერ ფონ კანენია. “ბაიროითის ფესტივალის ლომად” წოდებული ბარიტონი ბერლინის სახელმწიფო ოპერის, ჰამბურგის, ბონის თეატრების სოლისტია. ხშირად ჩნდება პარიზის, ჩიკაგოს, ტოკიოს, ამსტერდამისა და მილანის სცენებზეც, სადაც იგი ზოგჯერ რეჟისორის ამპლუაშიც გვევლინება (ჰამბურგში დადგა “ნიბელუნგების ბეჭედი”). ფონ კანენი აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ინტერპრეტატორი. გერმანიაში მას სატელევიზიო გადაცემა აქვს სახელწოდებით “გიუნთერ ფონ კანენი - ინტერპრეტატორი”. რეპეტიციებზე უკვე მუსიკის მრავალი მოყვარული მოხიბლა მისმა რბილმა და თბილმა ბარიტონმა. ფალსტაფი კი მისთვის ერთ-ერთი საუკეთესო პარტიაა. ჩვენთან საუბარში მომღერალი საკუთარ პერსონაჟს ყველაზე ექსცენტრულ, ოპტიმისტურ, ეროტიულ გმირს უწოდებს: “ფალსტაფში ცხოვრების ფილოსოფიაა განხორციელებული, როგორც მარილი წვნიანში – ისევე საჭიროა ფალსტაფი საზოგადოებისთვის. ყოველი ჩვენთაგანი ცოტათი ფალსტაფია”.

ფრანკფურტისა და სან ფრანცისკოს საოპერო თეატრების სოლისტია იოჰანეს მარტინ კრენცლე. თბილისში იგი ფორდის პარტიას შეასრულებს. ჩვენს ორკესტრთან ერთად მას 2000 წელს თბილისში ბრამსის გერმანული რექვიემი აქვს შესრულებული. ფრანკფურტის თეატრის სოლისტია პიტერ მარშიც, რომელიც თბილისში ფენტონის პარტიას შეასრულებს. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისთვის ასევე გამოცდილი პარტნიორია ნაილა ვან ინგენი. ორკესტრის საიუბილეო კონცერტებზე, 2000 წელს მან თბილისში ბონის გუნდთან ერთად ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია და ბრამსის გერმანული რექვიემი შეასრულა. ამჟამად იგი ალისა ფორდის პარტიით წარსდგება ქართველი მსმენელის წინაშე.

მეცო-სოპრანოს პარტიებით მდიდარ “ფალსტაფში” ორ მოწვეულ სოლისტს, ავსტრიელ ბეა რობინსა და უნგრელ კლარა ჩორდაშ ვიტს ვიხილავთ. ბეა რობინი უფრო საკონცერტო შემსრულებლად არის ცნობილი. ვენის მუსიკ-ფერაინში, ზალცბურგის მოცარტეუმში, ამსტერდამის კონცერტგებაუში, იტალიის, საფრანგეთის საოპერო თეატრებში იგი თითქმის ყველა ეპოქის მუსიკის კონცერტებს მართავს ჰენდელიდან მოყოლებული - შონბერგისა და შნიტკეს ჩათვლით.

უცხოელი სოლისტების ადგილობრივი პარტნიორებიდან მიშელინა ქობალიანი უნდა გამოვყოთ (ნანეტას პარტიით). თბილისის საოპერო თეატრის ახალგაზრდა სოლისტი უკვე რამოდენიმე მნიშვნელოვან სპექტაკლში ვიხილეთ. მათ შორის “ტოსკაში” (სადაც მას პარტნიორობას ლადო ათანელი უწევდა) და “ბალ-მასკარადში” (ნუგზარ გამგებელთან ერთად). უახლოეს მომავალში იგი გერმანიაში შეასრულებს ვერდის რეკვიემს, კიდევ რამოდენიმე ახალგაზრდა ქართველ სოლისტთან ერთად. გიუნტერ ფონ კანენთან სახიფათო კონკურენციაში შევხვდებით ახალგაზრდა ბარიტონ ზაზა ხელაიასაც. სადებიუტო იქნება დოქტორ კაიუსის პარტია გიორგი პეტროსიანისთვის.

დღევანდელი სპექტაკლი დიდი გამოცდა და გამოცდილება იქნება ორკესტრისთვისაც და ახალბედა ქართველი სოლისტებისთვისაც. თუმცა, წარმატებისა თუ წარუმატებლობის შემთხვევაშიც “ფალსტაფის” პრემიერა (სამწუხაროდ მხოლოდ საკონცერტო შესრულებით) ამ სეზონზე დედაქალაქის მუსიკალური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება.

# ბატონ პეჟოს მომთაბარე თოჯინები

*ეს თოჯინები ორ რამეს კატეგორიულად უარყოფენ - სტანისლავსკის სისტემას და სტრიპტიზს. წარმოდგენაზე პატივსაცემ საზოგადოებას სასაცილო და საშინელი, უცნაური და მომხიბვლელი ნიღბები ართობენ. ჯადოსნური ამბები, ორთაბრძოლები, ძველებური ცეკვები – ნამდვილი ევროპული კარნავალის მონაწილენი გახდებით...*

ანა კორძაია-სამადაშვილი

1993 წელს, პეტერგოფის პარკში, ნიკოლოზ მეორის სასახლეში რაღაც მანქანებით ახალგაზრდები შესახლდნენ, რომლებიც, რაღაც მანქანებით, კომედიანტები გახდნენ და თან საჭურველმტვირთველი, მკერავი, მეთოჯინე და საკრავთა ოსტატიც ჰყავდათ.

პატარა სასახლის სხვენი სახელოსნოებად იქცა, დიდი შავი ძაღლი – ამ საგანძურის მცველად. ყოფა კი მძიმე იყო, მაგრამ, მოგეხსენებათ, კომედიანტები მხიარული ხალხია. ისინი სულ დღესასწაულებს მართავდნენ; და არამარტო პურის ფულის საშოვნელად: ჩხუბსა და აყალმაყალს კარნავალი ნამდვილად ჯობს.



კომედიანტები ერთობიან

ასე შეიქმნა კარნავალის თეატრი, “ბატონ პეჟოს მომთაბარე თოჯინები”. ვინაა ბატონი პეჟო – უფალმა უწყის. ერთი ისაა, რომ მთელი არსებობის განმავლობაში მსახიობები, ანუ თოჯინები, მისი განაწესის თანახმად ცხოვრობენ:

“შუა საუკუნეების კომედიანტის უნივერსალიზმი არსებობის საწყისია. მსახიობმა ყველაფერი უნდა შეძლოს, და რაც მეტი იცის, მით უკეთესი; ნიღაბი კარნავალის განუყოფელი ნაწილია – უცნაური, საშინელი, სასაცილო. მას გაოცება შეუძლია, და მხოლოდ გაოცება თუ გაატანს იმ გალავანში, რომელიც ყოველი თანამედროვე ადამიანის ირგვლივაა აღმართული. ნიღაბს არავინ ერიდება, რადგან ის ადამიანი არაა, და მხოლოდ მას შეუძლია შეაღწიოს იქ, სადაც ყოველი ჩვენთაგანის ბავშვობაა მიმალული.”

ყოველ წარმოდგენაში მაყურებელიც მონაწილეობს. ვთქვათ, “პრინცესა ბომბილას” მსვლელობის დროს მთავარი გმირი – მშვენიერი მეფის ასული – რომელიმე მაყურებელია. მას შემზარავი მონსტრები იტაცებენ და მისი დახსნა მხოლოდ ასევე “დარბაზიდან” არჩეულ გმირს შეუძლია. ამისთვის მან ბოროტ გარპიასთან და აღმოსავლეთის ჰარამხანის ჯადოსთან გამოცდა უნდა გაიაროს, მერე მთავარ არამზადას უნდა შეებრძოლოს... ნუ შეშინდებით, ყველაფერი კარგად დამთავრდება, მთელი სიამოვნება, დიდი-დიდი, ნახევარი საათი გასტანს, არც უცხო ენის ცოდნა სჭირდება, არც ძალა და არც დიდი ინტელექტი. თან ერთხელ მაინც იგრძნობთ თავს თვალწარმტაც მეფის ასულად ან მამაც რაინდად...

თეატრი ბევრს მოგზაურობს – რუსეთში, ბალტიისპირეთში, ევროპის ქვეყნებში. წარმოდგენები ყველგან იმართება, თოჯინებსა და ნიღბებს არც განსაკუთრებული შენობა სჭირდებათ, არც ბილეთის საფასური: თუ გაგიხარდებათ, გადაიხდით, თუ არადა, ქუჩაში ჩამოდგომას ნამდვილად არავინ დაგიშლით. მთავარია, თქვენ გაიხაროთ. თვითონ თოჯინები ისედაც ხარობენ.

# სულიერად გაბანკროტებული ხელოვნება

ნინო ჭანიშვილი

ლონდონის ტეიტის გალერეაში წლის ყველაზე პოპულარული გამოფენა-დაჯილდოება Turner Prize გაიხსნა. არტ-ობიექტები გალერეის ეზოშიცაა განლაგებული. ნომინანტთა უმეტესობა თანამედროვე ხელოვნების რადიკალურ მიმდინარეობებს გამოხატავს. ფიონა ბერნერის, ლიამ გილიკის, კეიტ ტაისონის და კეტრინ იასის პროვოკაციული პროექტები პრიზის მოპოვების კარგი საწინდარია. გასულ წლების გამოცდილებით, სწორედ რადიკალურ არტ-ობიქტებს ერგებათ პრიზები.

ბრიტანეთის კულტურის მინისტრი კიმ ჰოველი ტეიტის მონახულების შემდეგ აღშფოთებულია. მან წლევანდელი ტერნერის პრიზის ნომინანტებიდან გამომდინარე, თანამედროვე ხელოვნებას “ცივი, მექანიკური და კონცეპტუალური ნაძირალა” უწოდა. მისი თქმით, ბრიტანული ხელოვნება დაკარგულია, თუ ის, რაც ტეიტის გალერეაშია გამოფენილი, საუკეთესოდ ითვლება. ტერნერის პრიზით დაჯილდოება ყოველ წელს იწვევს კამათს. 2001 წელს ტერნერის



შესაძლო პრიზიორი

პრიზი მარტინ კრიდის ინსტალაციამ მოიპოვა. ეს იყო ოთახი, რომელშიც ინთებოდა და ქრებოდა შუქი.

ჰოველი, რომელიც ტურიზმის, კინოსა და ტელევიზიის მინისტრია, ცნობილია თავისი ღია განცხადებებით. “კონცეპტუალიზაციის ყველა მცდელობა პათეტიკურია და საკუთარი თავის რწმენის დეფიციტითაა გამოწვეული. ვერ წარმომიდგენია, რომ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში შექმნილმა ხელოვნებამ რაიმე გავლენა მოახდინა ხალხის ცნობიერებაზე. ხელოვნებაში უნდა იყოს მეტი გრძნობა და ვნება. დღეს რაც ნამდვილად გვჭირდება, ეს არის ამბოხებები და რამდენიმე ნამდვილი რევოლუციონერი”.

ტეიტის გალერეაში გამართული გამოფენის ორგანიზატორმა კი განაცხადა, რომ ბატონი მინისტრის შეფასებები დიდად არ განსხვავდება დამთვალიერებელთა შეფასებებისგან. “ტერნერის პრიზის მთავარი მიზანი კი არის გამოიწვიოს დისკუსია თანამედროვე ხელოვნებაში ახალი მიმდინარეობების შესახებ,” - აღნიშნა მან.

8 დეკემბერს გამოვლინდება მთავარი პრიზის მფლობელი, რომელიც 20 ათას ფუნტ სტერლინგს მიიღებს. გამარჯვებას კეიტ ტაისონის “მოაზროვნეს” (როდენის მიხედვით) უწინასწარმეტყველებენ. ეს არის მონოლითური შავი რვაკუთხედი, რომლის შიგნით კომპუტერებია მოთავსებული.

რაც შეეხება ტერნერის პრიზის ჟიურის, ის ნამდვილად წარმომადგენლობითია. მასში შედიან - თავად ტეიტის დორექტორი სერ ნიკოლას სეტორა, პომპიდუს ცენტრის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დირექტორი ალფრედ პაკემენი, ჰოვარდის გალერეის დირექტორი სუზან ფერლეგერი და კრიტიკოსი მაიკლ არჩერი.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## ოზურგეთული ამარკორდი

ნოდარ მალაზონია

### პანტელეიმონ იობაშვილი

კარგად არ მახსოვს, პირველად ოზურგეთს რუზველტის ვაჟი ეწვია, თუ ჯერ ამერიკული "სტუდებეკერები", "კუს კვერცხი", ხორცის კონსერვები და თეთრი ქათქათა პურის ფქვილი?..

მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, ეს განსაკუთრებული სტუმრის საპატიო ვიზიტი ოზურგეთში როგორი სევდითა და ეროვნული ენამოსწრებულობით (უცხო-ველად დიდი რისკის ფასად) შეაფასა ჩვენმა ქართულის მასწავლებელმა:

- გუშინ ბავშვებო, ექადის აღმართზედ, "ემადინით", რუზველტის ბიჭმა ჩამოიქროლა, გამიღიმა და ხელი დამიქნია, მაგრამ რას იფიქრებდა ის ყმაწვილი, როცა თავზედ ტომარაწაფარებული და წვიმაში გალუმპული კაცი დაინახა, რომელიც თავის გაძვალტყავებულ ძროხას გზის განაპირას აბალახებდა (ველ-მინდვრები, სათიბები და საძოვრები მთლიანად კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობებს ეკუთვნოდა), ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი პანტელეიმონ იობაშვილი იყო?!

### ლადიკო

ომის დაწყებიდან სულ მალე, ჩვენს სახლში სიცივე, შიმშილი და სილატაკე ერთბაშად შემოიჭრა. მართალია ჩვენ პროვინციაში ვცხოვრობდით, მაგრამ არც ყანა და არც ნალია-ბეღელი გაგვაჩნდა ხორაგით სავსე და არც ზაფხულში, ზამთრისათვის მოჭრილ-დაჩეხილი, ჩერში საგანგებოდ დალაგებული შეშა.

მამაჩემი პეპელასავით, ერთი დღის სიცოცხლით ცხოვრობდა და ეს სულითა და ხორცით ინტელიგენტი კაცი, ოჯახითა და სამი შვილით სრულიად უსუსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა იმ კატაკლიზმების წინაშე, რასაც ომის სინდრომი ჰქვია.

თეატრისათვის ჯერ არავის ეცალა. ლადიკოს აღარც ლანჩხუთის და აღარც ჩოხატაურის სპექტაკლების გასაფორმებლად იწვევს ვინმე, სხვა კი მას არაფერი შეუძლია, გარდა ერთისა, როგორმე, თუნდაც ჩვენს წინაშე, შეინარჩუნოს თავისი ღირსება.

როცა დღეს ყოველივეს ვიხსენებ, ის მიკვირს, რომ მაშინ მამა ჩემზე ოცდაათი წლის უმცროსი იყო. ეს ლაღი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც გამორჩევით კოხტად და მოხდენილად ეცვა (ევროპულ ყაიდაზედ) ჩაცმა, დროსტარება და სტუმარ-მასპინძლობა (იგი შესანიშნავად უკრავდა გიტარასა და პიანინოზედ) ამ ჟამის თანდათან, თავისი შლაპით, ერთობ შელახული თეთრი პერანგით, პალტოთი და დაგლეჯილ ფეხსაცმელზედ საგულდაგულოდ წამოცმული კალოშებით, ჩაპლინის "მაწანწალას" დაამსგავსა.

ჰოდა, ერთხელ აი ასე, ხელიხელჩაკიდებულები (ალბათ მეც კარგი სანახავი ვიყავი) თოვლ-ჭყაპში სადღაც მივჩანჩალებდით, მაგრამ სანამ მთავარ შარაგზაზედ გავალთ, შვიშელების სახლს უნდა ჩავუაროთ, იქ კი, როგორც მუდამ, ალბათ დღესაც, ერთი ავზნიანი ფინია ძაღლი გვყავს ჩასაფრებული, რომელიც სწორედ მაშინ გვეცა კოჭში, თავი რომ სამშვიდობოზედ გვგონია გასული.

იცის ეს ყველამ და ვიცით ჩვენც. ამიტომ ვცდილობთ გზის ეს მონაკვეთი განსაკუთრებული სიფხიზლით გავიაროთ და, რაც მთავარია, დროზედ შევნიშნოთ "აგრესორი", მერე კი ერთ დოუცაცხანებთ და როგორც გამოვრცხვება, ისევ ისე შევაჩერებთ. მაგრამ მოასწრებ დანახვას! ის ხომ სწორედ თავისი მოულოდნელობის უპირატესობით გვჯობნის ხშირად და გულებსაც იმით გვიხეთქავს, თორემ მას ჩვენ არასდროს დავუკბენივართ.

აი ეს გულისხეთქვა კი განსაკუთრებით გაუსაძლისია მაშინ, როდესაც მამა მიგვყავს, რადგან მამა ამაზედ ძალზედ ბრაზდება და ისეთი სიმძაფრით გამოხტება ყოველთვის, რომ ვეჭვობ, ეს მხოლოდ ფინია "აგრესორის" მისამართით ყოფილიყოს ნათქვამი, რადგან აღრიცხვა მუდამ თქვენზედაა, მრავლობით რიცხვში მიიხსენიება და შინაარსიც უფრო მრავალისმთქმელი და დაბოლოვება: "ოხ თქვენი, თქვე ყულუპუნებო! თქვენი დედა ...... ხარმა ნაცხში"...

მე კი, ამ დროს, თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებ შეწუხებული, რათა დავრწმუნდე, ესმის, ან ხედავს ამას ნეტავ ვინმე?!.

ვაიმე! შვიშელების ფინია მაინც გვეცა კოჭში!!!

მამამ წონასწორობა დაკარგა, ცალ ფეხზედ ფეხსაცმელიც წაძვრა და ორივ დაგარდნილიყო, როგორც შემეძლო, ისე წავეშველე. შემდეგ სწრაფად მოვავლე თვალი იქაურობას, რადგან ვიცი, რომ სწორედ ახლა ამოაფრქვევს ლადიკოს "ვულკანი".

მამამ ფრთხილად ჩაიმუხლა, სველ წინდებზედ აუჩქარებლად და უნდოდ ჩამოიცვა თავისი ფეხსაცმელ-კალოში, ისევ საიმედოდ გაბანრა, მარჯვედ წამომხტა და ღიმილით მითხრა:

- წავიდეთ მამაია!..

### ლაზარეთი

სერზედ, სადაც ოზურგეთის თითქმის ყველა საგანმანათლებლო შენობა იდგა, უსწრაფესად და სანიმუშო მოქნილობით, სამხედრო ჰოსპიტლად გადაკეთდა.

დედა, როგორც ერთ-ერთი კორპუსის დიასახლისი, სწორედ იმ ოთახში განათავსეს, რომელშიაც თვითონვე, თავისივე ხელით ნოლ ჯგუფში შემიყვანა მე.

ერთხელ, როცა დედა ორი დღე და ღამე, სახლში არ მოვიდა, მამამ თქვა, რომ რაღაც განსაკუთრებული ხდებოდა და არც შემცდარა.

ეს ის დროა, როდესაც ყირიმის ნახევარკუნძული ჯოჯოხეთად იქცა, განსაკუთრებით ქართველთათვის და ამაში დასარწმუნებლად ოზურგეთის ლაზარეთიც კმაროდა.

- მიდი და ნახე, ნამდვილი გერმანელები და მათი ნახელავიც. - მითხრა სახლში დაბრუნებულმა ქანცმილეულმა დედამ.

ჰოსპიტალის ჭიშკრის ცალფეხა კარისკაცმა პეტრენკომ, მართალია მიცნო, მაგრამ ისე მედგრად გადამეღობა წინ, ისღა დამრჩა შემოვლითი გზით სწორედ იმ სატვირთო მანქანას მივდგომოდი, რომელზედაც თოთხმეტი თუ თექვსმეტი დაჭრილ-დასახიჩრებული გერმანელი იჯდა საბარგულზედ.

პირველი, რამაც გამაოცა, მათი სიმშვიდე და ამუნიცია იყო. როგორც შემდეგ გავიგე, მათი მანქანაზედ შეყოვნება იმით იყო გამოწვეული, რომ არ იცოდნენ, თუ სად განეთავსებინათ ისინი (და არა იმიტომ, რომ მათთვის საგანგებო ოთახი შეერჩიათ, ცუდი თუ კარგი, არამედ იმიტომ, რომ ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც მთელი ლაზარეთი გადაჭედილი იყო და არათუ ცალკე პალატა,


ნოდარ მალაზონიას ნახატი
ღარიბი სუფრა

არამედ ერთი ცარიელი ლოგინიც კი აღარ იყო დარჩენილი).

სასწრაფოდ სამკითხველო-ბიბლიოთეკა დაცალეს და ყველა გერმანელს იატაკზედ, საკაცეებზედ გაუშალეს ლოგინები, კარებთან კი ყარაულად ერთი ცალთვალა სახალხო რაზმელი დაუყენეს, ძველი ვინტოვკით ხელში.

ახლა გერმანელთა ბედის ირონიაც ნახეთ. მედპერსონალის გარდა, იმ გამონაკლისთა შორის, რომლებსაც უფლება ჰქონდათ გერმანელთა პალატაში დაუბრკოლებლივ შესულიყვნენ, კულტმუშაკი, ლეიტენანტი ლევ შვინგერი იყო (თავისი კრაჭუნა პროთეზის ფეხით) და მეორე მე.

შვინგერის სამსახურებრივი იდეაფიქსი ის გახლდათ, რომ გერმანელებისათვის ყოველდღიურად საბჭოთა პრესა გაეცნო; ჰოდა შვინგერის პალატაში შესვლა და იქიდან მისი გამოგდება ერთი იყო. ხოლო თუ როგორ მოვიპოვე მე ეს განსაკუთრებული ნდობა, ამასაც აქვე მოგიყვებით.

ეს მოხდა მაშინ, როცა ფანჯრიდან კლაუსმა (მე კი, ყველა გერმანელს, ფრიცი ერქვა მეგონა) დიდის ვაივაგლახით გამაგებინა, რომ მე მისთვის ბამბუკის პატარა ნაჭერი უნდა მიმეტანა, რისგანაც თურმე მას სალამურის გაკეთება სურდა და ეს იმიტომ, რომ იგი ყოფილი მეცხვარეა (აუ... მთელი ბალადაა, ამისი მიხვედრა როგორ მოვახერხე?).

როცა კლაუსს, ბამბუკის ნაცვლად ნამდვილი სალამური მივუტანე და თან ერთი უბე პანტაც ზედ დავამატე, აი მაშინ უნდა გენახათ მათი განცვიფრება და აღტაცება.

რატომ ან რისთვის გავაკეთე ეს? ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, თუნდაც დღეს.

# მატარებლის დიდი გაძარცვა

ამერიკული "ცხენის ოპერა" 100 წლისაა



კადრი ფილმიდან "ბარი ქრიფლ ქრიქში"

**ნაწილი პირველი**

ირაკლი მახარაძე

ყველა იმ გმირებიდან, რაც თავისი ისტორიის მანძილზე ამერიკულ კინემატოგრაფს შეუქმნია, ალბათ, ყველაზე ცნობილი კოვბოია, ანუ ადამიანი "ველური" დასავლეთიდან ("ველურ" დასავლეთში იგულისხმება აშშ-ს დასავლეთი და ცენტრალური შტატები). კოვბოი ფართოფარფლებიანი ქუდით ანუ სთეთსონით, დეზებიანი ჩექმებითა და თეძოზე ჩამოკიდებული კოლტით, ამერიკის ყველაზე საცნობი სიმბოლო გახდა.

კოვბოი (ინგლისურად - მწყემსი, მენახირე), როგორც პერსონაჟი, სცენაზე პირველად მელოდრამებში გამოჩნდა, სადაც მოქმედება ამერიკის საზღვრისპირა რაიონებში ვითარდებოდა. შემდეგ ის ფართოდ გახდა ცნობილი ამერიკელი მხატვრების ფრედერიქ რემინგთონისა და ჩარლზ რასელის ფერწერული ტილოებისა და სკულპტურების შედეგად. ცნობილი კოვბოისა და შოუმენის, ამერიკული შოუ-ბიზნესის ფუძემდებლის "ბაფალო" ბილ ქოუდის მიერ შექმნილმა საცირკო სანახაობამ Wild West Show-მ (ველური დასავლეთის შოუ) კი კოვბოის მთელს მსოფლიოში გაუთქვა სახელი, როგორც უბადლო მსროლელსა და ინდიელებთან მებრძოლს.

კოვბოისა და "ველური" დასავლეთის მიმართ დიდი ინტერესესის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი იყო მთელს ამერიკაში გავრცელებული იაფი, ბულვარული რომანები "ველური" დასავლეთის ცნობილ პერსონაჟებზე, ბანდიტებსა და შერიფებზე, გამოგონილი ისტორიები და არაკები მათ ყოფაზე, რომლის ავტორები თხზავდნენ და ალამაზებდნენ მათ საქმიანობას და ცხოვრებას. ამ რომანებმა, რომელთაც სხვანაირად dime novels ეძახდნენ, (სიტყვიდან dime-ათცენტიანი; ამდენი ღირდა ეს ნაწარმოებები), მყარად ჩაუნერგეს მკითხველს აზრი, რომ "ველური" დასავლეთი დაუსრულებელი და ამაღელვებელი თავგადასავლებით სავსე სამყაროა, სადაც მეფობენ ვაჟკაცი და უშიშარი ადამიანები, რომლებიც ნებისმიერ წამს მზად არიან დაეხმარონ უმწეო და გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანს. "თუ ლეგენდა რეალურ ფაქტებს არ ემყარება, მაინც ლეგენდა დაბეჭდეთ!" - ეს სიტყვები ეკუთვნის ჟურნალის რედაქტორს ჯონ ფორდის ფილმიდან "ადამიანი, რომელმაც მოკლა ლიბერთი ველენსი." თვითონ რეჟისორი კი ამბობდა: "მე ვფიქრობ, რომ ეს სასარგებლოა ქვეყნისთვის. ჩვენს ისტორიაში უამრავი ადამიანია, რომელიც თითქოსდა დიდი გმირია, მაგრამ ბევრს კარგად მოეხსენება, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერება, მაგრამ ქვეყნისთვის სასარგებლოა, როცა არსებობენ გმირები, რომელთაც პატივს სცემ, რომლითაც ამაყობ..."

1865-დან 1890 წლამდე "ველურმა" დასავლეთმა ბევრად მეტი ლეგენდა და თქმულება წარმოშვა, ვიდრე მთელმა ამერიკის ისტორიამ. ამერიკული კინემატოგრაფი კი თავისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე მიხვდა, რომ ოქროს საბადოს წააწყდა.

პირველ ვესთერნად და საერთოდ, პირველ სათავგადასავლო ფილმად ედვინ პორთერის "მატარებლის დიდი გაძარცვა" ითვლება, რომელსაც 2003-ში 100 წელი უსრულდება. (ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, პირველი ვესთერნი, რომელსაც თუმცა არავითარი სიუჟეტი არ ჰქონდა, უილიამ დიქსონის მიერ ედისონის სტუდიაში გადაღებული "ბარი ქრიფლ ქრიქში"(1898) იყო. ეს ის დიქსონია, რომელმაც პირველი სრულყოფილი კინოკამერა-კინეტოგრაფი გამოიგონა). მიუხედავად ამისა, "მატარებლის დიდი გაძარცვა" მიჩნეულია არა მარტო პირველ ვესთერნად, არამედ პირველ ფილმად, რომელსაც გამართული სიუჟეტი ჰქონდა (რეჟისორ-ნოვატორმა პორთერმა გადატრიალება მოახდინა კინოხელოვნებაში და დღემდე მისებური "პარალელური მონტაჟი" მთავარ ღერძად ითვლება კინოფილმების შექმნისას). ამის შემდეგ ვესთერნი, როგორც ჟურნალი "ლაიფი" წერდა, მსოფლიო მასშტაბით, ორიგინალურ ამერიკულ ხალხურ ოპერად" (მას "ცხენის ოპერასაც" უწოდებენ) იქცა და არ არსებობს სხვა კინოჟანრი, ასე მჭიდროდ რომ იყოს დაკავშირებული თავისი ქვეყნის ისტორიასთან. "ვესთერნი ეს ამერიკული ისტორიაა", განაცხადა ცნობილმა კინომცოდნემ ჯიმ ქითსისმა. ფრანგმა რეჟისორმა ჟან-ლუკ გოდარმა ვესთერნს ყველაზე კინემატოგრაფიული ჟანრი უწოდა, ხოლო კინოკრიტიკოსმა ლუი დელუკმა ის ანტიკურ დრამას შეადარა. პარადოქსია, მაგრამ ფრანგებმა, ამერიკელებამდე გაცილებით ადრე, ამოიცნეს ვესთერნის პოტენციალი და ყოველნაირად პოპულარიზაციას უკეთებდნენ მას.

"მატარებლის დიდი გაძარცვა" დაფუძნებული იყო რეალურ ამბავზე, როცა 1900 წლის 29 აგვისტოს ბუჩ ქესიდისა და სანდენს ქიდის "ველური ბანდის" წევრებმა ვაიომინგის შტატში გაძარცვეს "იუნიონ პასიფიქის" მატარებელი და გაიტაცეს 5 ათასი დოლარი. ფილმის ხანგრძლივობა სულ 10 წუთია, შედგება 14 სცენისგან და კინოს ისტორიაში შევიდა აგრეთვე იმ დროისთვის შოკში ჩამგდები სცენით, როცა ბანდიტი ფილმის ბოლოს (თუმცა, ხშირად ფილმს ამ სცენითაც იწყებდნენ, ეს კი დამოკიდებული იყო კინოთეატრის მფლობელის იშტაზე) პირდაპირ კინოკამერაში, ანუ მაყურებელში, ისვრის იარაღს. ეს იყო პირველი, თანაც შეფერადებული (პისტოლეტიდან გამოფრქვეული ბოლი ხელით იყო გაფერადებული) "თავდასხმა" მაყურებელზე და მძიმე ურთიერთობის დასაწყისი მაყურებელსა და ეკრანულ ძალადობას შორის.

ფილმს უამრავი მიმბაძველი გამოუჩნდა. კინოფირმამ Lubin Company-მ გააკეთა ფილმის ზუსტი ასლი იმავე სათაურით. ხოლო იგივე ედისონის კომპანიამ ორი წლის შემდეგ გამოუშვა პაროდია "მატარებლის პატარა გაძარცვა."

ტრადიციულად, ვესთერნის მოქმედება ხდება 1850-90 წლებს შუა. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის ეს მონაკვეთი მოიცავს სამოქალაქო და ინდიელთა ომებს. დაკოტას, კალიფორნიის ოქროს ციებ-ცხელებებს, რკინიგზის მშენებლობას, დასავლეთის მიწების ათვისებას ფერმერების, ემიგრანტების, ავანტიურისტთა და სხვა ჯურის ადამიანთა მიერ.


ნამდვილი კოვბოი 1887 წ.

"მატარებლის დიდი გაძარცვა" დაემთხვა აშშ-ს გაძლიერებისა და გამდიდრების ხანას. ვესთერნის განვითარებაზე ალბათ, დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ თეთრ სახლში პრეზიდენტად იჯდა ყოფილი კოვბოი, თეოდორ რუზველტი. პრეზიდენტი ბევრს ეხმარებოდა ძველ კოვბოებს, შერიფებს.

იმ დროს ყველა ამერიკელს, ამ უზარმაზარი ქვეყნის დიდი იმედი ჰქონდა და სწორედ ვესთერნი იყო ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა ოპტიმიზმისა და რწმენის ჩასანერგად.

ვესთერნი არა მარტო მითებითა და ლეგენდებით საზრდოობდა, ის ასახავდა ცხოვრებისეულ სინამდვილესაც. იმ წელს, როცა ეკრანებზე პირველი ვესთერნი გამოვიდა, ორმა ინგლისელმა ბანდიტმა გაძარცვა საფოსტო მატარებელი. ასეთი შემთხვევები კი ხშირი იყო იმდროინდელ ამერიკაში. 1982 წელს გადაიღეს კანადური ვესთერნი "ნაცრისფერი მელია," სადაც მოთხრობილია რეალურად არსებული ბანდიტის, ბილ მაინერის ამბავი, რომელმაც თავისი პირველი მატარებელი მას შემდეგ გაძარცვა, როცა ნახა ედვინ პორთერის ფილმი.

ტერმინი ვესთერნი წარმოქმნილია ინგლისური სიტყვიდან west - დასავლეთი, აქედან გამომდინარე ყველა ფილმი შექმნილი "ველური" დასავლეთის თემაზე არის ვესთერნი.

ვესთერნი როგორც მცნება ძალზე ტევადია, როცა წარმოვთქვამთ ამ სიტყვას, ეს კონკრეტულად არაფერს გვეუბნება, იმიტომ რომ ეს შეიძლება იყოს ეპიკური ტილო რკინიგზის მშენებლობის შესახებ, ყამირი მიწების ათვისების შესახებ, მიუზიკლი, დრამა, კომედია, დეტექტივი, ფანტასტიკა და ა.შ. ეს თავისთავად მეტყველებს ამ ჟანრის მრავალფეროვნებაზე.

1926 წლიდან ამერიკაში წარმოებული ყველა ფილმიდან მეოთხედი ვესთერნზე მოდის. მიუხედავად უდიდესი პოპულარულობისა, კინოაკადემია არასოდეს არ სწყალობდა ამ ჟანრს. თავისი ისტორიის მანძილზე სულ რამოდენიმე ფილმს აქვს მიღებული ეს ჯილდო სხვადასხვა ნომინაციაში: "სიმარონი" (უესლი რაგლსი, 1930წ.), "ნაშუადღევს" (ფრედ ცინემანი 1952წ.), "ქეთ ბალუ" (ელიოთ სივერსთეინი 1965წ.), "ნამდვილი ვაჟკაცობა" (ჰენრი ჰათაუეი 1969წ.), "ბუჩ ქესიდი და სანდენს ქიდი" (ჯორჯ როი ჰილი 1969წ.), "ცეკვა მგლებთან" (ქევინ ქოსტნერი 1990წ.) და "მიუტევებელი" (ქლინთ ისთვუდი 1992წ).

მუნჯი კინოს პერიოდში და 30-იანი წლებში შექმნილი ვესთერნების უმრავლესობა ტყუპებივით წააგავდა ერთმანეთს. ხშირად ერთი ფილმიდან მეორეში გადადიოდა ერთი და იგივე (ზოგჯერ სხვადასხვა წერტილიდან გადაღებული) სცენები, თუმცა, მაყურებელს, განსაკუთრებით კი მოზარდებს, ეს არ აღელვებდათ, მთავარი იყო რომ ფილმის ფინალში სიმართლეს ბოროტებაზე გაემარჯვა. იმ დროს ასეთი გამონათქვამიც კი არსებობდა: "თუ თქვენ ერთი ვესთერნი მაინც გაქვთ ნანახი, მაშინ თქვენ ყველა ვესთერნი გინახავთ." რა თქმა უნდა ეს გადამეტებული ნათქვამი იყო, რადგან თითქმის იგივე ხდებოდა სხვა ჟანრის ფილმებშიც, უბრალოდ ვესთერნი რაოდენობითაც და პოპულარულობით ყველას ჯაბნიდა.

# 15 წუთის შემდეგ...

## ენდი უორჰოლი არტ-მარკეტს იპყრობს


ელვისი


მერლინი



˝კემბელის სუპი˝


ენდი უორჰოლი

*რეცეპტი: აიღეთ მერილინის რამდენიმე ფოტო, დაუმატეთ მგლოვიარე ჯეკი კენედი და იარაღმომარჯვებული, წითელტუჩება ელვისი, გააზავეთ ყვავილების ფერადოვნებაში, ფონად Campbell's Soup-ის ქილების სერიალი გამოიყენეთ, არც ცოტა ავტოკატასტროფა, ვარდისფერი ძროხა და ჩე გევარა დაივიწყოთ და შედეგად მიიღებთ მეოცე საუკუნის პოპ-არტის ყველაზე თვალწარმტაც სურათს, რომლის ავტორიც არა თქვენ, არამედ ენდი უორჰოლი იქნება. უკვე 15-იოდე წუთის შემდეგ კი (ოღონდ არა 15 წუთით, არამედ სამუდამოდ) ის უკვე მოიპოვებს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე ექსტრავაგანტური, ყველაზე ავანგარდული ხელოვანის ტიტულს. ხელოვანის, რომელიც კი არ ქმნის, არამედ "ამუშავებს" ("I am not a creator of art, I am a "recreator" – ენდი უორჰოლი)...*

თამარ ბაბუაძე

ენდი უორჰოლი მოდიდან არასდროს გადადის. თუმცა, საზოგადოება მისი ნამუშევრებით დროდადრო განსაკუთრებულად ინტერესდება ხოლმე. ამჯერად პოპ-არტის ფუძემდებელი საყოველთაო ყურადღების ცენტრში საკუთარი ნათესავების წყალობით მოექცა: ნოემბერში, "კრისტის" აუქციონზე უორჰოლების ოჯახი გასაყიდად გაიტანს ტილოს, რომელმაც ძირფესვიანად განსაზღვრა ხელოვნების განვითარების ბედი. ეს გახლავთ ენდი უორჰოლის პირველი ნამუშევარი ცნობილი "ქემბელს სუფ ქენს"-ის სერიიდან. "კრისტის" ექსპერტები აცხადებენ, რომ "არაფერია უფრო ამერიკული, ვიდრე ეს ქილები". უორჰოლის ამ უნიკალური ტილოს სავარაუდო ფასი 1 მილიონი ფუნტი სტერლინგია.

"ქემბელთან" ერთად, "კრისტიზე" ასევე გაიტანენ "დიდ ელექტროსკამს" და "ლავანდის მერილინსაც". აუქციონის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ "სკამი" 3-4 მილიონ დოლარად გაიყიდება, "მერილინი" კი – 4-6 მილიონად. უორჰოლის მემკვიდრეობაზე გაჩაღებული ბიზნესისთვის საგულისხმო თარიღია 11 ნოემბერიც. ამ დღეს "ფილიპსი" "ვერცხლისფერი ლიზის" გაყიდვას და ტილოში 4 მილიონი დოლარის აღებას გეგმავს.

როგორც ხედავთ, ენდი უორჰოლზე საშემოდგომო ბუმია ატეხილი. ამ პოპულარობის მიზეზად არტ-მარკეტის ექსპერტები მის ნამუშევრებზე გაზრდილ ღირებულებას ასახელებენ. მართლაც უორჰოლის ტილოებზე ფასებს ბოლო წლებში სულ უფრო მეტი ნული ემატება. ჯერაც უცვლელ რეკორდად რჩება მისი "მერილინ მონრო". ეს ტილო რამდენიმე წლის წინ აუქციონზე 17.3 მილიონ დოლარად შეიძინეს.

მოკლედ, უორჰოლი ისეთ პატივშია, ბევრი ხელოვანი რომ ინატრებდა. თუმცა, უნდა ითქვას – თავად მხატვარი ცოცხალი რომ იყოს, "კრისტის" პრესტიჟულ აუქციონზე თავისი ტილოების გაყიდვას სრულიად აუღელვებლად შეხვდებოდა. ის ხომ სიცოცხლეშივე ვარაუდობდა, რომ დადგებოდა დრო და "ქემბელ სუფ ქენ"-ის ეს 38 სმ-იანი ტილო მილიონები ეღირებოდა. დღეს ასეც ხდება – 15 წუთში ვარსკვლავად ქცეული ხელოვანი ისე ცნობილია, როგორც არასდროს.

■ ■ ■

მიუხედავად ამისა, ბევრს დღესაც არ ესმის, რას ისახავდა მიზნად მხატვარი – მასკულტურის ახალ კონტექსტში მოქცევით კომერციის ვულგარულობას დასცინოდა, თუ პირიქით – ხოტბას ასხამდა კომერციულ ამერიკას...

"ენდი უორჰოლი იყო სერიოზული ხელოვანი, რომლის პოზაც არასერიოზულობა იყო", - ასე ახასიათებდა მას უილიამ რუბინი, ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ერთ-ერთი დირექტორი.

...სინამდვილეში, ის მორცხვი იყო, ლამის ჩურჩულით ლაპარაკობდა, თანაც ისე რომ ტუჩებს ხელის გულით იფარავდა. მთლიანობაში კი, თითქოს, თავისი დიდი სათვალის და ქერა პარიკის მიღმა იმალებოდა. ამავე დროს, სურდა, ვარსკვლავი ყოფილიყო. სულ ყურადღებას ეძებდა – თავისი "ქარხნის" (ასე მოიხსენიებდა ის სახლ-სტუდიას, სადაც, შეგირდებთან ერთად – ესენი იყვნენ ნარკომანები, ჰიპები, მხატვრები, პოეტები... პოპარტის ტილოებზე მუშაობდა) ბაზაზე ჩამოაყალიბა როკ-ჯგუფი Velvet Underground, გააკეთა ჟურნალი, იღებდა ფილმებს, ღამეებს კი დისკოთეკაზე ცეკვით ათენებდა, არავის უმალავდა თავის ჰომოსექსუალობას – იყო ხელოვანთა სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული წევრი, სხვადასხვაგვარი ჰობით.

ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ მრავალფეროვანი ინტერესითა და საქმიანობით, ნაცრისფერი ყოველდღიურობის გაპროტესტებას ცდილობდა... სიკვდილამდე, სანამ ცუდად გახდებოდა, MTV-ის არხზე პროგრამა "ენდი უორჰოლის 15 წუთი" მიჰყავდა. ამ შოუს სახელიც მისი ცნობილი გამონათქვამიდან წამოვიდა: "მომავალში ყველას ექნება შანსი 15 წუთით მაინც გახდეს პოპულარული" – ის მასობრივი კომუნიკაციების სისტემების განვითარებას გულისხმობდა.

■ ■ ■

6 აგვისტოს ენდი უორჰოლის დაბადების დღე იყო და ის 75 წლის გახდებოდა. უცნობია, ამ საიუბილეო თარიღს დაამთხვიეს, თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში უორჰოლის კოლექციები წარმატებით მოგზაურობდა ევროპასა და შტატებს შორის. ლონდონის ტეიტის გალერეის ფურორით მოვლის შემდეგ, გამოფენა ლოს ანჯელესის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ჩაიტანეს და იქ 15 სექტემბრამდე დატოვეს. პარალელურად, უორჰოლის ნამუშევრები შტატების სხვადასხვა მუზეუმებში გახლდათ დარიგებული...

■ ■ ■

ენდი უორჰოლმა პოპულარულობა 60-იანი წლების დასაწყისში მოიპოვა. წარმატების მიზეზი დღეს უკვე ლეგენდადქცეული Campbell's Soup-ის ქილების სერიები გახდა. შემდეგ იყო ყოველდღიურ თემატიკაზე შექმნილი სხვა ტილოები და ვარსკვლავების "გაფერადებული" გამოსახულებები – მერილინ მონრო, ელვის პრესლი, ჯუდი გარლანდი, ელიზაბეტ ტეილორი...

თანდათან, ენდი უორჰოლი პოპ-არტის სინონიმად იქცა. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მხატვარი ხელოვნების სამყაროში ახალი ტალღასავით შეჭრილ ცნებას – "პოპს" "ადგილზე დაუხვდა". მეტიც, ქვეცნობიერად, პოპ-მიმდინარეობაში "გასაწევრიანებლად" იმ ხანად მხოლოდ უორჰოლი აღმოჩნდა მზად.

■ ■ ■

ცნება "პოპის" გამოგონებას ბევრი იჩემებს. საზოგადოებამ ეს სიტყვა პირველად მხატვარ რიჩარდ ჰამილტონის ტილოს წარწერაზე შენიშნა. ხალხმა დაასკვნა, რომ ის "პოპულარულს" ნიშნავდა. თუმცა, ადამიანი, ვინც ხელოვნების კრიტიკოსებს ტერმინი "პოპი" გააცნო ბრიტანელი არტ-კრიტიკოსი, ლოურენს ელოუეი იყო. ამ განსაზღვრებით აღნიშავდნენ მასობრივი მოხმარებისთვის განკუთვნილ ხელოვნების ნიმუშებს, კინო და მუსიკის კერპების გავლენით შექმნილ სტერეოტიპებს, ერთი სიტყვით, ყოველდღიური ცხოვრების სიმბოლოებს, რომლებიც რეკლამაში, კომიქსებში მჟღავნდებოდა. ცხადია, დახვეწილი ბრიტანული გემოვნება პოპ-არტის მიმართ მაშინვე უარყოფითად განეწყო; ის მორიგ ნაგვად, სისულელედ და შეურაცხყოფადაც კი მიიღო.

თუმცა, ასე არ ფიქრობდა უორჰოლი. მას ჰქონდა თავისი ფილოსოფია, რომელიც დაახლოებით ასე შეიძლება გადმოვცეთ: კულტურისთვის, რომელიც პირთამდე სავსეა ინფორმაციით, რომელშიც საზოგადოება რეალობას ტელევიზიისა და ბეჭდური მედიის "გავლით" იღებს (ანუ შეიმეცნებს ბანალურად გადამუშავებულ, ათასჯერ გამეორებით გაუბრალოებულ მოვლენებს), პოპ-არტი მეტად საჭირო ატრიბუტია. ასეთ საზოგადოებაში არ არის აუცილებელი, იყო ამაღლებული, მგრძნობიარე. პირიქით, გულგრილობა მაქსიმალურად უნდა შეინარჩუნო და რაღაცით დაემსგავსო ზედაპირმოყინულ სარკეს – დარწმუნებული იყო უორჰოლი და ამ განწყობით ქმნიდა თავის პოპ-არტს – ერთი და იგივე ადამიანების, ერთი და იგივე ნივთების დაუსრულებელ სერიებს; პოპ-არტს, როგორც კოლექტიური ამერიკის აზროვნების შედეგს, სადაც სიწმინდის, ერთსულოვნების ადგილს ცნობილი სახეები (იქნება ეს ვარსკვლავი, თუ პოპულარული სამარკო ნიშანი) იკავებს.

■ ■ ■

ასეთი იყო უორჰოლის ფილოსოფია. ამიტომ არ უნდა შეხედოთ გულგრილად მის არაფრით გამორჩეულ, ერთმანეთისგან ცოტათი განსხვავებულ ტილოებს. ისინი გვეუბნებიან, თუ როგორი ერთფეროვანია "პოპ-ცხოვრება".

Campbell's Soup-ის ქილათა სერიაც მხოლოდ ერთიდაიგივეობაზე მიუთითებს: (სუპების სხვადასხვა გემოს მიუხედავად) ჩვენს წინაშეა ერთი და იგივე სამარკო ნიშანი, ერთი და იგივე ზომა, ერთი და იგივე პოპულარობა. ანუ, ეს ქილები მასებზე გათვლილ რეკლამას დასცინის, დასცინის ლამის რუტინად ქცეული შეცდომის ყოვლისმომცველობას... ეს განწყობა სუპის ქილებიდან გადადის მერილინ მონროს, ელვის პრესლის, ჯეკი კენედის, მიკ ჯაგერის, ლიზ ტეილორის სახეებზე, ყვავილებზე, ელექტროსკამებზე, დოლარის ბანკნოტებსა და ძროხებზე შექმნილ ტილოებშიც. მოკლედ, პოპარტი, როგორც მარადიული ერთიდაიგივეობა დაუსრულებლად იქმნება და ბრუნავს.

■ ■ ■

რამდენიმე ციტატა პირადად ენდი უორჰოლისგან ერთიდაიგივეობის შესახებ:

"ამ ქვეყანაში ყველაზე მეტად მომწონს ის ტრადიცია, რომ უმდიდრესი ადამიანებიც იმავე ნივთებს ყიდულობენ, რასაც უღარიბესნი. შეგიძლია უყურო ტელევიზორს, თვალი მოკრა "კოკა-კოლას" და დარწმუნებული იყო, რომ პრეზიდენტიც სვამს "კოკა-კოლას", ლიზ ტეილორიც სვამს "კოკა-კოლას" და, უბრალოდ, წარმოიდგინე – შენც შეგიძლია, დალიო "კოკა-კოლა"...

"ამერიკის შესახებ იდეა ფანტასტიკურია იმიტომ, რომ რაც უფრო თანასწორია ორი რაღაც, მით უფრო ამერიკულია ის".

"ტოკიოს ალამაზებს "მაკდონალდსი". სტოკჰოლმს ალამაზებს "მაკდონალდსი". ფლორენციას ალამაზებს "მაკდონალდსი". პეკინსა და მოსკოვს ლამაზი ჯერ არაფერი აქვთ".

■ ■ ■

ბუნებრივია, უორჰოლზე დაუსრულებულად შეიძლება საუბარი. მან ხომ მემკვიდრეობა ხელოვნების რამდენიმე სფეროში დატოვა, თანაც, თანაბრად საინტერესო. თუმცა, ვარდისფერი ძროხების შპალიერი მაინც გამორჩეული ნიმუშია. არსებული მოსაზრების მიხედვით, ეს ვარდისფერი ძროხა, რომელსაც უორჰოლი ასჯერ, ათასჯერ იმეორებდა, ავტორის ქალური ალტერ ეგო იყო. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ სხვა ტილოებთან შედარებით, ვარდისფერი ძროხების სერიები ყველაზე მეტად გადმოსცემენ უორჰოლის შინაგან სამყაროს ისევე, როგორც პიკასოს ბუნებას გადმოსცემს ხარი (პიკასო გერნიკას პერიოდში ხატავდა ათასობით ხარს, ძლიერსა და მრისხანეს, და ამით საკუთარ შინაგან ბუნებას გადმოსცემდა)...

■ ■ ■

ენდი უორჰოლი 1987 წლის 23 თებერვალს გარდაიცვალა, ნიუ იორკის ჰოსპიტალ-კორნელის სამედიცინო ცენტრში – გულის ინფარქტით. თუმცა, ხომ ამბობენ, რომ დიდი ადამიანები თავიანთ ქმნილებებში გარდაისახებიან და ასე აგრძელებენ ცხოვრებას. უორჰოლსაც სჯეროდა, რომ არ მოკვდებოდა. მან ანდერძივით შემდეგი სიტყვები დატოვა: "რადგანაც მე მჯერა მუშაობის, მგონი, არ უნდა ვიფიქრო იმაზე, რომ სიკვდილის შემდეგ გავქრები. და ისედაც, ძალიან შთამბეჭდავი იქნება, თუ იმ ბეჭედად გარდავისახები, რომელიც პოლინ დე როტშილდს უკეთია თითზე"...

და მაინც, ვინ იყო უორჰოლი? ტრუმან კეპოტი მას "სფინქსს საიდუმლოს გარეშე" ეძახდა. თავად უორჰოლი კი საკუთარ თავზე ამბობდა: "საზოგადოება სარკეს მეძახის. და თუ სარკე სარკეში ჩაიხედავს, რას დაინახავს?"...

## დაბრუნება კუდიანი დედაბრების სამყაროში

თამარ ბაბუაძე

**თურმე, ბავშვობაში, ყველაზე უგულისყუროდ წაკითხული ზღაპარიც კი არ ქრება უკვალოდ. კუდიანი დედაბრები, ბაყაყადქცეული პრინცები და ოქროსნისკარტა ფასკუნჯები ჩვენს პარალელურ განზომილებაში განაგრძობენ ცხოვრებას და თუ მოვინდომებთ, მათი დანახვა არც ზღაპრების კითხვის ასაკიდან გამოსულებს გაგვიჭირდება.**

**ალბათ, დაახლოებით ასე ფიქრობენ ის ამერიკელები, რომელთაც ახალი არქიტექტურული მიმდინარეობა – საბავშვო წიგნის სტილი შექმნეს. ამ ადამიანებს ზღაპრებიდან რეალობაში არა მხოლოდ ცალკეული სიუჟეტი, არამედ არქიტექტურაც გადმოაქვთ და აშენებენ ისეთ სახლებს, რომლებშიც მათი საყვარელი გმირები ცხოვრობენ.**

**დანარჩენ საზოგადოებას ეს ტენდენცია შესაძლოა, უცნაურად ეჩვენოს და ამ ადამიანების ფსიქიკურ სიჯანსაღეშიც კი შეეპაროს ეჭვი. თუმცა, მოდით, საქმის არსის გამოძიება ექსპერტებს მივანდოთ. ჩვენ კი დღეს ეს თავისთავად საინტერესო პრეცედენტი მიმოვიხილოთ და ზღაპრებიდან გადმოხატული დიზაინით შექმნილ რამდენიმე სახლს ვეწვიოთ.**

ასეთი სახლები ამერიკაში რამდენიმე წლის წინათაც იდგა. თუმცა, მათ, უბრალოდ, უცნაურ შენობებს უწოდებდნენ და გამვლელები ცნობისმოყვარე თვალს ვერ აშორებდნენ. 2001 წელს კი არქიტექტორმა აროლ გელნერმა, ფოტოგრაფ დუგლას კეისტერთან ერთად, გამოსცა წიგნი "საბავშვო წიგნის სტილი", რომელშიც დაწვრილებით მიმოიხილა ეს არქიტექტურული მიმდინარეობა და, როგორც უკვე მიხვდით, მონათლა კიდეც ის. 195 გვერდზე 218 ფერადი, შთამბეჭდავი ფოტოს თანხლებით, მათ მკითხველს მართლაც ზღაპრული სამყარო აღმოაჩენინეს. ერთადერთი, თავიანთ წიგნში მათ ქოხები ქათმის ფეხებზე არ შემოსვეს, თორემ, სხვა მხრივ, ავტორებმა ამ ახალი არქიტექტურული მიმდინარეობის აბსოლუტურად ყველა დეტალი დააფიქსირეს.

გელნერსა და კეისტერს, ისევე როგორც ამ უცნაური სახლების უბრალო მნახველებს განსაკუთრებულად ართობთ ერთი არსებითი დეტალი – 21-ე საუკუნეში, როდესაც არქიტექტორები თავიანთი ქმნილებებით ცისკენ, სივრცისკენ ისწრაფვიან და ტექნოკრატიის შედევრებს ქმნიან, კვლავაც შემორჩნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ცათამბჯენების ნაცვლად, ხის ქოხებში ცხოვრება ურჩევნიათ.

ეს სასაცილო და საინტერესო არქიტექტურული სტილი მეოცე საუკუნის 20-იან წლებში იშვა. თუმცა, მოდაში ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, საუკუნის ბოლოს შემოვიდა. ამერიკელები ზღაპრების გავლენის ქვეშ დაახლოებით 80-იან წლებში მოექცნენ. არსებული მოსაზრების თანახმად, ამ არქიტექტურული მიმდინარეობის ხელახლა გავრცელებაზე დიდი გავლენა იქონია "ჰარი პოტერისა" და "ბეჭდების მბრძანებლების" შექმნამაც. თუ გახსოვთ, "ბეჭდების მბრძანებელში" ჰობიტი ბილბო ბეგინსი სწორედ ასეთ ზღაპრულ სახლში ცხოვრობს – პატარა ფანჯრებით, ხის ოვალური კარით, ლამაზი ბაღით. როგორც ჩანს, სწორედ წიგნის წაკითხვისა თუ ფილმის ნახვისას იფიქრეს ამერიკელებმა, რომ არ აწყენდათ ამ მყუდრო და სასიამოვნო განწყობის რეალობაში გადმოტანა და ცხოვრების ცოტათი "გაზღაპრება" მაინც.

ამ ახალი ტენდენციის პიონერები ცოლ-ქმარი მორგანები აღმოჩნდნენ. მათ ჯერ კიდევ 80-იან წლებში აბსოლუტურად ზღაპრული კომპლექსი შექმნეს, ხის უბრალო ღობით, რომელიც ლამაზ ბაღს აკრავს, სხვადასხვა ფერის ქვის ფილებიანი ბილიკებით, უცნაური ფორმის კარ-ფანჯრითა და ერთი შეხედვით ძველი, დანგრეული, კრამიტით გადახურული შენობით.

სწორედ ასეთი, ზღაპრებში ჩარჩენილი ამერიკელები ცხოვრობენ კალიფორნიის შტატის ერთ პატარა დასახლება კარმელშიც. ამ რაიონის დათვალიერებისას შესაძლოა, დაიჯეროთ კიდეც, რომ ძმები გრიმების პერსონაჟები, და-ძმა ჰანსი და გრეტელი უღრან ტყეში მართლაც გადააწყდებოდნენ ბოროტი დედაბრის სახლს: ამ ციცქნა კალიფორნიულ რაიონში დგას ხის პატარა ქოხები, იქვეა ქვებით მოკირწყლული სუფთა ორღობეები და მწვანეში ჩაფლული ბაღები. შეხედავთ და თავი მართლაც იმ ილუსტრაციების ნაწილი გეგონებათ, საბავშვო მოთხრობებს რომ აფორმებენ ხოლმე.

კარმელი ამერიკული ბოჰემის სავანედ ითვლება. აქ ცხოვრობს ჰიუ კომსტოკი – არქიტექტორი, რომელსაც "ოცნებების მშენებელს" ეძახიან და რომელიც სწორედ ასეთი, საბავშვო წიგნის სტილის კოტეჯებს აშენებს; სახელგანთქმული ფოტოხელოვანი ედვარდ უესტონი, ცნობილი ფემინისტი ქალი მერი ოსტინი. კარმელში გადაღებულია მრავალი ჰოლივუდური ბლოკბასტერი, მზიან ამინდში კი, მისი პატარა ქუჩები მოლბერტიანი მხატვრებითაა სავსე... ერთი სიტყვით, ეს დასახლება ხელოვნებით ბოლომდეა გაჯერებული. ლექსის დასაწერად, ფილმის გადასაღებად, ან, უბრალოდ, ცხოვრებაში ზღაპრული ელემენტების გადმოსატანად სრული იდილიაა შექმნილი. "საბავშვო წიგნის სტილს" პატივს სცემენ ვაიომინგის შტატშიც – ტაკომაში ერთ-ერთ ასეთ შენობაში ახლა დენტისტის ოფისია მოთავსებული.

დაბოლოს, მივადექით "საბავშვო წიგნის სტილის" ყველაზე დიდ გამოვლინებას, ბევერლი ჰილსის უმთავრეს კოლორიტს, ე.წ. "დედაბრის სახლს". ის განსაკუთრებით პოპულარული იყო საუკუნის დასაწყისში, როდესაც ჰოლივუდში გადაღებულ თითქმის ყველა მუნჯ კინოში ჩანდა. დღეს კი მისამართზე: უოლდენ დრაივის № 516, ბევერლი ჰილსი, კალიფორნია – ვინმე მაიკლ ლიბოუ ცხოვრობს. არადა, საკმარისია, თითქოს ნახევრადდანგრეულ, წვიმისგან დამპალ ხის ყვითელ შენობას და მის დაჭეჭყილი კარ-ფანჯრებს შეხედოთ, რომ გაიფიქრებთ – ამ სახლში ლიბოუ კი არა, ჰანსი და გრეტელის სასტიკი მტერი, ბოროტი, გრძელცხვირა დედაბერი უნდა ცხოვრობდეს, ან სულაც ეს მაიკლ ლიბოუ უნდა იყოს ზღაპრის გადაცმული პერსონაჟი. შთაბეჭდილებას თავად გარემოც ამძაფრებს. "დედაბრის სახლი" ხომ შუაგულ ბევერლი ჰილსზე, ძვირფასი მაღაზიებით სავსე როდეო დრაივის მეზობლად მდებარეობს და არაფრით არ ჯდება ფეშენებელური ვილების საერთო ლანდშაფტში.

ამ "გაუგებრობაში" ჰენრი ოლივერის მიერ დაპროექტებული "დედაბრის სახლი" 1926 წელს მოხვდა, როდესაც კალვერ სიტიდან ბევერლი ჰილსზე



გადმოიტანეს. მანამდე ის კალვერის კინოსტუდიის ოფისი გახლდათ. 90-იან წლებში კი მაიკლ ლიბოუ (თქვენ წარმოიდგინეთ აბსოლუტურად ჩვეულებრივი ადამიანი, მეტიც, უძრავი ქონების აგენტი) უშედეგოდ ცდილობდა მის გაყიდვას. სახლის ყიდვის მსურველები არ მალავდნენ, რომ მათ უცნაური ნაგებობის დანგრევა და მის ნაცვლად ნამდვილი ბევერლი ჰილსური ვილის აგება სურდათ. ერთი შეხედვით მოსაწყენი საქმოსანი ლიბოუ კი მეტისმეტად სენტიმენტალური კაცი იყო და ეს უუცნაურესი ნაგებობა დასანგრევად არ ემეტებოდა. ამიტომაც, ბოლოს სახლი თავად შეიძინა და ასე შემოუნახა ჰოლივუდის ამ მდიდრულ უბანს ყველაზე დიდი კოლორიტი. ნაგებობა მხოლოდ ქმნის ძველის და დანგრეულის ეფექტს, თორემ ისე ყველანაირად კეთილმოწყობილი სახლია, რომელშიც ბედნიერად ცხოვრობს მაიკლ ლიბოუ და თავი, ალბათ, ძმები გრიმების ზღაპრის პერსონაჟი ჰგონია...

უყურებთ ამ სახლს და ღიმილისგან თავს ვერ იკავებთ, არა? სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ლიბოუს მსგავს ადამიანებს ცოტათი მაინც უნდა გავუგოთ. ბოლოსდაბოლოს, ზღაპრის გმირების სახლებში ცხოვრება ხომ მათ კეთილ ბუნებასა და იუმორის გრძნობაზე მიუთითებს. შეხედავ მულტფილმებიდან და საბავშვო წიგნების ილუსტრაციებიდან გადმომხტარ შენობებს და იფიქრებ, რომ მათი პატრონები არ გაზრდილან, პირიქით, ისინი ბავშვობაში ჩარჩნენ – იმ ბედნიერ ხანაში, როდესაც ჯერ კიდევ გჯერა ზღაპრების. ისე, საერთო გლობალიზაციის და ტექნოკრატიის ფონზე ნამდვილად მშვენიერი და ორიგინალური მიმდინარეობაა, ვერაფერს ვიტყვით...

**ჯანო ბაგრატიონის სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია**

აცხადებს ბავშვების მიღებას
6 წლიდან 13 წლის ჩათვლით.

მსურველებს გთხოვთ მობრძანდეთ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 13 სთ-დან 15 სთ-მდე.

მისამართი: საბურთალო, იოსებიძის ქუჩა №49, საქართველოს უნივერსიტეტი "VITA"-ს შენობაში.
ტელ: 26 25 26; 95 87 56, მობ. 8(77) 49 22 02

## ბინები

### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, 132 კვ.მ არასტანდარტული ბინა ჩიქოვანის №18-ში. პირველი სართული. ფასი: 20000 $. ტელ: 98-40-41

იყიდება კავსაძეზე 1,5 ოთახიანი სამხატვრო ბინა-სახელოსნო მე-2 სართ.
ფასი: 14000.
ტელ: 893 31-17-72

იყიდება 4-ოთახიანი ჩეხური ბინა ვარკეთილი 3, I მკ/რ. მე-15 კორპუსი, მე-5 სადარბაზო, ბინა 90. ფასი შეთანხმებით.

იყიდება კაპიტალურად გარემონტებული 3-ოთახიანი, გადაკეთებული ოთხიანად. ვაჟა-ფშაველას VII კვ. III კორპ. ბ. 58. III სართული. ავტოფარეხით. ფასი 26 000. 30 42 43

იყიდება 3-ოთახიანი პრივატიზებული ბინა ძალიან კარგ მდგომარეობაში. გამსახურდიას გამზ. № 19, II სად. 38 59 55

იყიდება 2-ოთახიანი (გადაკ. 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი კუთხის ბინა. მე-9 სართულზე, საბურთალო, ზაქარიაძის №1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ., 3 აივნით, 2 ტუალეტით. 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა
39-53-41 მარინა
877 495-490

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

ვყიდი მხატვრის სახელოსნოს.
ტელ: 70-69-65
899 970234

იყიდება 3 ოთახიანი სტანდარტული ბინა. მაღალი ჭერით, დიდი აივნით. მეტრო დელისთან. ბუნებრივი აირით, გოგირდიანი წყლით. ტელეფონით. ფასი: 25 000$
ტელ: 39-80-48

იყიდება 1-ოთახიანი ალმაშენებელზე. 92 16 44

იყიდება 2-სართულიანი აგურის შენობა ორთაჭალაში, 750 კვ.მ. სარდაფით, მიწის ნაკვეთით. 75 53 55

იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული პრივატიზებული, გარემონტებული ბინა ვაზისუბნის 3 მ/რ. II კვარტალში. კ. 8, ბ. 18, I სად. VI სართული. 78 59 45

იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი ევრორემონტით სამების ტაძართან. გამოდგება სასტუმროდ. 99-62-43, 77-23-31.

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 56 27 54

## ბინები

### ქირა, გირაო

ვიქირავებ 1-ოთახიან გარემონტებულ, კომფორტულ ბინას მ. დელისის მახლობლად.
ტელ: 899 51 99 83

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

გირავდება "ჩეხური" 4-ოთახიანი ბინა 1100-ად, გლდანის VI- მ/რ-ში, 4(9). 64-33-60

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ბუდაპეშტის № 10-ში. მე-5 სართული. ავეჯით, რემონტით. ფასი 170 $. 8(99) 56 27 54

## კომერციული ფართი

**ქირავდება!**

**კომერციული ფართი ვერაზე**

საუკეთესო საოფისე (კომერციული) ფართი 1 სართულზე, ქუჩიდან იზოლირებული შესასვლელით, საერთო ფართი 110 კვ.მ.

მისამართი: **ქიაჩელის ქ. 10 (რესპუბლიკის მოედანთან)**

**ტელ: 94-01-96, მობ. 899 518007**

სასწრაფოდ! იყიდება მომგებიანი, "ლუდის ბარი" დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინამძღვრიშვილის 198. თანამედროვე დიზაინით, კეთილმოწყობილი, ყველა საჭირო ინვენტარით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 479860. სოსო ან აზა.

## მანქანები

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება "ოპელ-ომეგა", "CD ბრილიანტი" 1990 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2200-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

## სწავლება

შეგასწავლით კომპიუტერის საოფისე პროგრამებს (Windows, Word, Internet). მოგიძებნით ინტერნეტში ინფორმაციას, მათ შორის საზღვარგარეთ საქმიან (სამეცნიერო) პარტნიორებს. დაგეხმარებით საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლაში. შეგიქმნით Web - გვერდს.

ტელ: 63-37-40 (საღამო), 33-17-59, 893 304942

ნებისმიერი ასაკის მსურველთა მომზადება გერმანულ, ესპანურ, რუსულ ენებში ინდივიდუალურად, უახლესი ლიტერატურით ქართულ და რუსულ ენებზე. 39 50 31, 8(93) 30 93 20

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Excell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი. Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69

მოვამზადებ ნებისმიერი ასაკის პიროვნებას ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში, ბინაზე მისვლითაც. ფასი შეთანხმებით. 78 47 31 სოფო

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში. 38 44 43, 61 29 76

## სხვადასხვა

ვასრულებ სამღებრო-სარემონტო სამუშაოებს შეღავათიან ფასებში. 57-11-26.

ფიტოკოსმეტიკა სახის ნებისმიერი პრობლემისათვის, შამპუნები თმის ცვენის შესაჩერებლად, თმის ამოსაყვანად. 67 98 06 მარინა

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან ქართულად შეღავათიან ფასში. 75 35 55

იყიდება 20-ნათურიანი ფაიფურის ძვირფასი ჭაღი. 68 45 30 გოგა

იყიდება კაპიტალური ავტოფარეხი ფალიაშვილის 48-ში. 23 35 12, 8(99) 28 99 66

იყიდება 710-ის სამეული (ტახტი, სავარძლები, მაგიდა) საუკეთესო მდგომარეობაში. ს/ფასი 1200 $. 23 57 39, 8(99) 16 80 06.

იყიდება კომპიუტერი "პენტიუმ-3" და "პენტიუმ-4".
ტელ: 35-37-28; 899 559338

**საქართველოში მომუშავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების საყურადღებოდ**

საქართველოს პარლამენტის აპარატის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ა.წ. 1 ნოემბრიდან იწყებს საქართველოს პარლამენტში 2003 წლის ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის განცხადების მიღებას. განაცხადი უნდა შედგეს საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგლამენტისა და პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დებულების დადგენილი წესის მიხედვით.

მადლობელი დაგრჩებით, თუ მასმედიის ხელმძღვანელები, განაცხადთან ერთად, ცალკე ფურცელზე მოგვაწვდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისამართს, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის ნომრებს, აგრეთვე, აკრედიტებულ ჟურნალისტთა კოორდინატებს.

**განცხადების მიღება დასრულდება ა.წ. 1 დეკემბერს.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ ნომრებზე: 99 00 00, 99 99 62

## განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
  ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
  მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.




## სკანდინავიური კროსვორდი



## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა".
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ჯუზეპე ვერდი "ფალსტაფი"
დას: 19:00 სთ

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**
"ჩემი გალაკტიონი", რეჟ. ელდინო სალარაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**გალერეა „ვერნისაჟი"**
ალექსანდრე გრიცაევის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"სკუბი დუ"
დას: 12:00; 16:00; 18;00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"ოსტინ პაუერსი-3"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 6,7,8 ლარი

**„რუსთაველი"**
"პატარა სტიუარტი"
დას: 13:00; 15:00; 17;00 სთ; ფასი 5 ლარი
"ნიშნები", რეჟ. ნაით შამალანი; მთავარ როლში, მელ გიბსონი
დას: 19:00; 21:30 სთ; ფასი 7 ლარი




ჭადრაკი

# საქართველოს ნაკრები მეოთხე ტიტულს მიუახლოვდა

*სლოვენიური კურორტი ბლედი ქართველებისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ქალები დამაჯერებლად ლიდერობენ, ხოლო ვაჟები ახლოს არიან პირველ ოლიმპიურ მედალთან.*

კახა ფაჩუაშვილი

საქართველოს ქალთა ნაკრების გამარჯვებაში უკვე აღარავის ეპარება ეჭვი. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ საქართველომ ბლედში ჩამოიყვანა უაღრესად მობილიზებული გუნდი, რომლის მძლეველი წლევანდელ ოლიმპიადაზე არ ჩანს. ჩვენი ნაკრები მეორე ადგილზე მყოფ ამერიკელებს ორი ქულით უსწრებს და, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონები ტურნირის თითქმის ყველა ფავორიტს უკვე შეხვდნენ (აშშ, რუსეთი, ჩინეთი), ადვილი შესაძლებელია, გუნდი სამშობლოში მეოთხე ტიტულით ხელდამშვენებული დაბრუნდეს.

ქალებმა ძალიან კარგად ჩაატარეს უაღრესად მნიშვნელოვანი, მე-8 ტურის შეხვედრა ჩინეთის გუნდთან. ოლიმპიადაზე არ ჩამოვიდა სიუ ჟუნი, მაგრამ ჩინელებთან დაპირისპირება ყოველთვის პრინციპული ხასიათისაა. მოგება კი საგრძნობლად აუმჯობესებს გამარჯვებულის დივიდენდებს. სწორედ ამიტომ, ჩინელთა წინააღმდეგ უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი - მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია-გრანტი.

ჩიბურდანიძემ, თეთრი ფიგურებით, ჩჟუ ჩენთან დებიუტშივე უპირატესობა მოიპოვა და გამარჯვებამდე უპრობლემოდ მივიდა. იგივე გააკეთა მესამე დაფაზე ქეთევან არახამიამაც, რომელიც ჩჟაო სიუსთან არკვევდა ურთიერთობას. ნანა იოსელიანი კი, შავი ფიგურებით, სიუ იუხუას დაუზავდა. ერთი სიტყვით, ჩვენები, ყველასთვის მოულოდნელად, იოლად გაუსწორდნენ ჩინეთის გუნდს. ამ ფაქტმა ექსპერტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მატჩი დამთავრებულიც არ იყო, რომ სპეციალისტებმა საქართველოს ნაკრები ქათინაურებით შეამკეს.

"ძალიან ძლიერი და მობილიზებული გუნდი გყავთ. იგი იოლად გაუსწორდა მთავარ კონკურენტებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენი მოჭადრაკეები შესანიშნავ ფორმაში არიან. ამ გუნდის დამარცხება, მით უმეტეს, ჩინელთა გაბითურების შემდეგ, ალბათ, წარმოუდგენელია", - ასეთი პათოსით საუბრობდნენ საქართველოს ქალთა ნაკრებზე.

ბლედში აქტიურად, აგრესიულად თამაშობენ ვაჟებიც, რომლებმაც საყოველთაო ყურადღება და სიმპათია დაიმსახურეს, მაგრამ, როგორც სეოკის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა ტელეფონით შეგვატყობინა, - "სამეულში მოხვედრაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. მთავარი ბრძოლები წინ არის. გუნდი, ჯერჯერობით, ექვსეულში მოხვედრას გეგმავს. თუმცა, კენჭისყრას გააჩნია: თუ იღბალმა სასურველი მეტოქეები გვარგუნა, შესაძლოა, სამეულისთვისაც ვიბრძოლოთ".


საჭადრაკო ოლიმპიადაზე

მერვე ტურში საქართველოს ნაკრებმა 2,5:1,5 მოუგო ბელორუსის გუნდს. გადამწყვეტ შეხვედრაში ისევ ბაადურ ჯობავამ ისახელა თავი - თეთრი ფიგურებით აზაროვი დაამარცხა და გუნდს გამარჯვება მოუტანა. ამჟამად ქართველი მოჭადრაკეები 21 ქულით 4-7 ადგილებს იყოფენ სლოვაკეთის, ჩეხეთისა და ბოსნიის გუნდებთან.

# ქართველ ქალებთან ვერავინ მივა

## ვაჟებმა კი მეტოქეებს აზრი შეაცვლევინეს

*ბლედში მიმდინარე 35-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე კარგად თამაშობს საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები. ჩინეთის ძლიერი გუნდის დამარცხების შემდეგ ქალებს ჩემპიონობის რეალური შანსი გაუჩნდათ. ურიგოდ არც ვაჟები გამოიყურებიან.*

გიგა გურასაშვილი

ბრძოლის პერიპეტიების უკეთ გასაცნობად გუშინ ბლედში მყოფ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს ემზარ ზენაიშვილს დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვა დავუსვით.

**- ახლა, როცა ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტს, ჩინეთის გუნდს ვძლიეთ, დარჩენილ ტურებში როგორ შეაფასებდით საქართველოს ნაკრების პერსპექტივას - გვაქვს თუ არა ჩემპიონობის შანსი?**

- ის, რომ 2,5 ქულით დავწინაურდით, უკვე გამარჯვების შანსს იძლევა, თუმცა, ამისთვის ჯერ ეს უპირატესობა უნდა შევინარჩუნოთ. რაც მთავარია, გუნდში კარგი განწყობაა. თამაშობენ ლაღად და თავისუფლად. ქალები, როგორც სპეციალისტები ამბობენ, აჩვენებენ იმსახურებენ ჩემპიონობას. მათი აზრით, ჩვენების თამაშის კლასი მეტოქეებისას სჯობნის. დარჩენილია ექვსი პარტია. დღეს რუმინეთს 2,5-ქულიანი ფორით ვხვდებით. ვფიქრობ, ისეთი მოთამაშეები, როგორიც საქართველოს ჰყავს, ამგვარ უპირატესობას არ გაანიავებენ. რუსები და უკრაინელები უკვე ჩემპიონობას გვილოცავენ. ფიდეს ყოფილმა პრეზიდენტმა ფლორენციო კამპომანესმა, რომელიც ვესაუბრე, მითხრა, არ არსებობს გუნდი, რომელიც ახლოს მივა თქვენს ნაკრებთან. ჩვენც იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ნაკრები ჩემპიონობას დაიბრუნებს.

**- დარჩენილ მეტოქეთაგან თუ არიან ისეთები, რომლებსაც შეუძლიათ, გამარჯვებაში ხელი შეგვიშალონ?**

- საშიში მეტოქეები, რა თქმა უნდა, კიდევ არიან. ბოლო ტურში ყველა მათგანი შეეცდება, ქულა აიღოს. ასე მოიქცევა, ალბათ, ჩვენი დღევანდელი მეტოქე რუმინეთიც, რომელსაც ძლიერი გუნდი ჰყავს. თუ ვის გადავეყრებით შემდეგ ტურებში, ამის წინასწარ განსაზღვრის საშუალებას შვეიცარიული სისტემა არ იძლევა. ასე რომ, ყველაფერი კენჭისყრაზეა დამოკიდებული. ამგვარი სათამაშო სისტემა არც იმის საშუალებას იძლევა, რომ რაღაცაში ბოლომდე იყო დარწმუნებული, რადგან, როგორც წესი, მე-14-15 ადგილებზე მყოფთაც აქვთ იმის შანსი, რომ უცებ დაწინაურდნენ. რუმინელებთან თამაშის შემდეგ მოდიან ისეთი გუნდები, რომლებსაც არ შევხვედრივართ. ესენია პოლონეთი, უკრაინა, იუგოსლავია და აზერბაიჯანი.

**- ვაჟებში რა მდგომარეობაა, როგორი პერსპექტივა გვაქვს? არის თუ არა იმის შანსი, რომ ისინი პრიზიორთა შორის ვიხილოთ?**

- მათაც კარგი შანსი აქვთ. კარგად მიდიან წინ. საკმაოდ დაბალანსებული გუნდია. მათ რვიდან შვიდი თამაში მოიგეს და, ფაქტობრივად, მეოთხე ადგილზე არიან. ასე რომ, მათგანაც შეიძლება წარმატებას ველოდოთ. თუმცა, ჯობს, ვიყოთ რეალისტები. ექვსეულში რომ მოხვდნენ, იღბალსა და კენჭისყრაზეც ბევრი იქნება დამოკიდებული. გამორიცხული არ არის, ვაჟებიც პრიზიორთა შორის ვიხილოთ.

**- უცხოელი სპეციალისტები როგორ აფასებენ მათ შანსებს?**

- ყველა მიჩვეულია იმას, რომ საქართველოს ნაკრები ყოველთვის ითვლება ჩემპიონობის პრეტენდენტად მხოლოდ ქალებში. მეტოქეები მთელი ძალით გვეთამაშებიან. საგულისხმოა ერთი გარემოება: როდესაც ბლედის ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრების ახალგაზრდული შემადგენლობა იხილეს, ეგონათ, რომ მას იოლად დაამარცხებდნენ. დღეს უკვე სხვაგვარად ფიქრობენ.

რეკორდი

# 9999 დღეში დატრიალებული დედამიწა

*შუასაუკუნეებში, დიდი მოგზაურობების ხანაში, როდესაც ესპანეთი და პორტუგალია ახალი მიწების შესაცნობად თუ დასაპყრობად მატერიკს ნაწიბ-ნაწიბ სცილდებოდნენ, მათი მთავარი საზრუნავი, ყველაფერთან ერთად, ნაკლებად სამში და ხელსაყრელი სავაჭრო გზის ძიება გახლდათ. მათგან განსხვავებით, თბილისელი ჯუმბერ ლეჟავასთვის უცხო მიწების დაპყრობა და დამორჩილება კი არა, არამედ მათთვის საქართველოს კულტურის, ისტორიის, ტრადიციების გაცნობა გახლდათ მთავარი.*

გიგა გურასაშვილი

ყველაფერი 1993 წლის 13 აგვისტოს დაიწყო. ჯუმბერ ლეჟავამ, მარტოდმარტომ, ველოსიპედით ფედამინას შემოუარა. რუსთავიდან აღებული სტარტი მსოფლიოს გარშემო, მოგზაურობის ცხრა წლისთავზე, გუშინ რუსთავშივე დასრულდა. დაირღვა ერთგვარი ტრადიცია. როგორც წესი, გინესის მსოფლიოს რეკორდსმენი მნიშვნელოვან წამოწყებს მისთვის საყვარელ რიცხვში - 13-ში დგამს ხოლმე. ეს დიდი მოგზაურობაც 13 რიცხვში, 13 საათზე დაიწყო. მან შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ლეჟავას ახლა საქართველოზე ბევრი აქვს შესაცნობი, თუმცა, ვეჭვობ, ქვეყანაში შეძენილი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მხრივ, ცხრა წლის წინანდელსა და ახლანდელს შორის რამე განსხვავება შეამჩნიოს. ერთი რამ, რაც ლეჟავას ერთბაშად თვალში მოხვდა, ეს გაზრდილი შეილიშვილებია, რომლებიც სახლოვან ჰპაპას გუშინ ნითელ ხიდზე, სომხეთიდან საქართველოში შემოსვლისას მიეგებნენ.

ქართველმა მოგზაურმა მოიარა დედამიწის ყველა კონტინენტი. ველოსიპედით გაიარა 264 ათასი კილომეტრი. თუ ამას საზღვაო და საჰაერო გზებსა და იძულებით გადაადგილების მანძილსაც დავუმატებთ, მთლიანობაში ორჯერ მეტი, ანუ დაახლოებით 500 ათასი კილომეტრი გამოვა. გაიარა 232 ქვეყანაში (ექვს ქვეყანაში ვიზაზე უარი უთხრეს). თუმცა, ასეთი მიღწევაც, თავისთავად, უნიკალურია, ისევე როგორც მთელი მისი მოგზაურობა. ცხრა წლის განმავლობაში იყო ბევრი სიხარული და ბევრი გაჭირვებაც, მაგრამ უკან არ დაუხევია.

"უამრავ რამეს ნავაწყდი. რამდენჯერმე სიკვდილის საფრთხის წინაშეც ვიდექი. გადავიტანე ბუნებრივი კატაკლიზმები თუ ამინდის ჭირვეულობა: ქარიშხლები, ციკლონები, უდაბნოს ქარი, თოვლი, წვიმა, ყინვა... იყო თავდასხმები, შეურაცხყოფა, მუქარა, ფსიქოლოგიური თუ მორალური სტრესი. ერთადერთი, რაც მაძლებინებდა, მომავლის რწმენა გახლდათ", - აღელვებული გვიყვებოდა ლეჟავა. მოგზაურისა დიდი მოგზაურობისთვის ემზადებოდა, თქვა, თუ გზაში არაფერმა შემეშალა, მიზნის განხორციელებამდე ორჯერ წინ ვერაფერი დამიდგება. ასე შინაა, მშობლიურ კედლებში. მანამდე კი იყო უამრავი შეხვედრა. როგა ლეჟავამ საქართველო-სომხეთის საზღვარი გადმოლახა, ქვემო ქართლის გუბერნატორმა ლევან მამალაძემ მას ქართველი მაგალითი უწოდა. წითელ ხიდთან შეხვედრის შემდეგ ქართველმა მოგზაურმა რუსთავისკენ აიღო გეზი. გზაში მას ცხონისმოყვარეთა მთელი არმია ეგებებოდა. რუსთავის ცენტრში შეხვედრის შემდეგ ლეჟავა თბილისისკენ გამოემართა, სადაც მას საქართველოს პრეზიდენტიც ელოდა. ედუარდ შევარდნაძემ ჯუმბერ ლეჟავა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. იყო შეხვედრა ქალაქის მერთან. ლეჟავა არც მას დაუტოვებია უსაჩუქროდ - ზოდილავამ მოგზაურის ოროთახიანი ბინის ორდერი გადასცა. შინ მშვიდობით დაბრუნებულს, ნარმატება მოულოცა და დალოცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II. ბოლოს, ცხრა წლის შემდეგ, სახლოს კარიც შეაღო. ახლა ცოტა ვინმე თუ ახსოვდა, რომ ლეჟავას ამ სათავგო მოგზაურობას თავიდან ბევრი ეჭვით უყურებდა. მოგზაურობა კი წარმატებით შედგა.


ჯუმბერ ლეჟავა მშობლიურ რუსთავში

მოკლედ

**ფეხბურთი.** ტურინის "იუვენტუსს" ლაზარეთი ევსება. გუნდი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი - ტრეზეგე, ტიურამი, დავიდსი, ტუდორი და ტიურამი, სხვადასხვა ტრავმის გამო, სარეაბილიტაციო პერიოდს გადიან. ასეთი რთული მდგომარეობა "ბებერ ქალბატონს", კარგა ხანია, არ ჰქონია. თუ "იუვემ" სასწრაფოდ რაიმე არ იღონა, ადვილი შესაძლებელია, გუნდს კრიზისი დაეწყოს - მიიჩნევენ იტალიელი მიმომხილველები.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლუის ვან გაალისა და არგენტინელი ხუან რომან რიკელმეს უცნაური ურთიერთობა გრძელდება. ჰოლანდიელი სპეციალისტი არგენტინელს ჯიუტად არ აყენებს ძირითად შემადგენლობაში, არადა, რიკელმემ არასრულ 9 მატჩში 3 გოლი გაიტანა. თუ გავითვალისწინებთ, რომ რიკელმე ახალ კლუბს ჯერჯერობით მხოლოდ ეჩვევა, 3 გოლი ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. თუმცა, ირკვევა, რომ შეიძლება არგენტინელისთვის ძირითად შემადგენლობაში ადგილი მაინც გამოინახოს, მაგრამ არა საკუთარი დამსახურების, არამედ ლუის ენრიკეს არყოფნის გამო, რომელიც ვან გაალის გუნდში, პუიოლთან და კლუივერტთან ერთად, ხელშეუხებლობით სარგებლობს და ძირითადში ადგილი გარანტირებული აქვს. როგორც ირკვევა, ჰოლანდიელი მწვრთნელი ლუის ენრიკეს ზესაპასუხისმგებლო მატჩებისთვის - "რეალისა" და "დეპორტივოს" წინააღმდეგ სათამაშოდ ინახავს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიის "რომას" ფორვარდმა გაბრიელ ბატისტუტამ განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს ინგლისის პრემიერლიგაში გადასასვლელად. "მინდა, ჩემი თვალთახედვის არეალი გავზარდო. შევხვდე ახალ ხალხს, გავეცნო ახალ კულტურას და, საერთოდ, ახალ ენაზე ვილაპარაკო", - განაცხადა ბატიგოლმა. არგენტინელმა იტალიაში 181 გოლი გაიტანა. გახდა ამ ქვეყნის ჩემპიონი. ასე რომ, აპენინებზე მან ბევრს მიაღწია და ატმოსფეროს შეცვლა სურს.

"მე უკვე ვესაუბრე ხუან სებასტიან ვერონს. მან მითხრა, რომ ინგლისში ფეხბურთელს პირადი ცხოვრებისთვის უფრო მეტი დრო რჩება. ძალიან მინდა, რომ მეც, რაც შეიძლება, მეტი თავისუფალი დრო მქონდეს. იტალიაში ფეხბურთელი საკუთარ თავს არ ეკუთვნის. ის მთლიანად საზოგადოების საკუთრებაა", - განმარტა ბატისტუტამ. გარდა ამისა, სუპერფორვარდს იტაცებს ინგლისური ფეხბურთის ფილოსოფიაც, რომელიც შეტევისკენ არის მიმართული და, იტალიურის მსგავსად, ტაქტიკურ სქემებში არ იხლართება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სატრანსფერო ბაზარზე "მილანმა" პირველი მარცხი განიცადა. იტალიურ კლუბს სურს, თავისი რიგები განაპირა მცველით გააძლიეროს, მადრიდის "რეალი" კი დაცვის ცენტრის გაძლიერებას ესწრაფვის. ამიტომ "მილანის" კომერციულმა დირექტორმა ადრიანო გალიანიმ "რეალის" პრეზიდენტს ფლორენტინო პერესს, მიჩელ სალგადოს საფასურად, როკე ჟუნიორი შესთავაზა, მაგრამ სატელეფონო მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო. მადრიდულ კლუბს არ სურს თავისს მცველთან განშორება. მით უფრო, რომ როკე ჟუნიორს ჩემპიონთა ლიგაში თამაში არ შეუძლია. რაც შეეხება მიჩელ სალგადოს, მას "სამეფო კლუბთან" კონტრაქტი 2004 წლამდე აკავშირებს. ამიტომ "რეალი" ფეხბურთელის სატრანსფერო საკითხს ამ სეზონის ბოლოს განიხილავს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფეხბურთი აღარ არის მარტოოდენ თამაში. ის, თუ გნებავთ, პოლიტიკა და დიდი ფულია. კლუბები სატელევიზიო კონტრაქტებით მილიონებს აკეთებენ. სტატისტიკის მიხედვით, სატელევიზიო დამოკიდებულების თვალსაზრისით, პირველ ადგილზე ესპანური კლუბები არიან. ესპანელები ტელეტრანსლაციიდან წლიური შემოსავლის 50 პროცენტს იღებენ. შედარებისთვის: ამ მაჩვენებლით მეორეა საფრანგეთი - 41 პროცენტი. მესამე ინგლისის პრემიერლიგა - 29 პროცენტი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გუშინ ლონდონში გამოქვეყნდა ხუთი ყველაზე მდიდარი ბრიტანელის სახელი. სპორტსმენთა შორის ყველაზე დიდი კუში მძიმეწონოსანმა პროფესიონალმა მოკრივემ, მსოფლიო ჩემპიონმა ლენოქს ლუისმა მოხვნა. ივნისში ლას-ვეგასში ტაისონთან გამარჯვებისთვის მან 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღო. მეორე ადგილზეა ინგლისის ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექჰემი, რომელმაც წლეულს, თავის ანგარიშზე, 15,5 მილიონი გირვანქა მიითვალა. ბექჰემმა "სულ რაღაც" 300 ათასით აჯობა ინგლისის დედოფალს, ელისაბედ II. მისი უდიდებულესობა ამ სიაში მხოლოდ 46-ე აღმოჩნდა. შემოსავლის დიდ ნაწილს დევიდ ბექჰემი რეკლამებიდან იღებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ირლანდიელი როი კინის დაბრუნება გადაიდო. მას აგვისტოში ბარძაყის ოპერაცია გაუკეთეს. კინი უკვე ვარჯიშობს გუნდთან ერთად, მაგრამ ამჟამად ხელს უშლის 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია, რომელიც ძალაში შევიდა. ირლანდიელი იმედოვნებდა, რომ 13 ნოემბერს, ჩემპიონთა ლიგის მატჩში მოედანზე მონაწილეობას, მაგრამ ფერგიუსონმა გადაწყვიტა, ფეხბურთელი დაესვენებინა. "კინის აღდგენითი პროცესი უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე გვეგონა. ამიტომ, სჯობს, ცოტა კიდევ დაისვენოს", - განაცხადა მანჩესტერელთა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კურიოზული შემთხვევა დაფიქსირდა რუმინეთში. რუმინეთის "რაპიდის" ვიცე-პრეზიდენტი რაზვან ლუჩესკუ იძულებული გახდა, საკლუბო პიჯაკი მეკარის მაისურით შეეცვალა და თავისი გუნდის კარი დაეცვა. საქმე ის არის, რომ კლუბის სამივე გოლკიპერი - ემილიან დოლხა, იონუტ კურკა და ემილიან მარინესკუ, ტრავმის გამო, ერთმანეთის მიყოლებით დამწყდა და "რაპიდი" მეკარის გარეშე დარჩა. იმ მატჩში ბუქარესტელი გუნდი "არჯეშ" ხვდებოდა. ლუჩესკუმ, რომელმაც საფეხბურთო კარიერა ამ ზაფხულს დაამთავრა, ძველი გაიხსენა და კარში ჩადგა. ექსპერიმენტმა გაამართლა - ვიცე-პრეზიდენტის კარგი თამაშის წყალობით "რაპიდმა" კი მოიგო გამარჯვება მოიპოვა და გათამაშების ცხრილის სათავეში იმყოფება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედი" "მილანის" უკრაინელ ფორვარდით, ანდრეი შევჩენკოთია დაინტერესებული. ინგლისის მრავალგზის ჩემპიონი მზად არის, უკრაინელში იტალიელებს ფაბიან ბარტეზი და 30 მილიონი ევრო დაუთმოს. თუმცა, როგორც ირკვევა, ეს არ არის ერთადერთი წინადადება, რომელიც ფორვარდმა მიიღო. მადრიდის "ატლეტიკო", რომელსაც ძირითად შემადგენლობაში მილანური კლუბის გრძობაშად 5 ყოფილი ფეხბურთელი ჰყავს (ალბერტინი, კოლონინი, კონტრა, მორენი, ბარი) მზად ერის, "შევას" სანაცვლოდ იტალიელებს 10 მილიონი ევრო და ფორვარდ ფერნანდო ტორესი დაუთმოს. იტალიური პრესის ინფორმაციით, "მილანს", რომელსაც ამჟამად ფინანსური პრობლემები აქვს, იძულებული გახდება, შეცვალოს თავის ბომბარდირი, რათა ვალის ნაწილი (კლუბის ვალი 33,2 მილიონ ევროს შეადგენს) მაინც დაფაროს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგაში ლევერკუზენის "ბაიერისგან" განცდილი მორიგი მარცხის შემდეგ, თანამდებობიდან გაათავისუფლეს საბერძნეთის "ოლიმპიაკოსის" მთავარი მწვრთნელი იანის კოლიასი. თამაშიდან მეორე დღეს ბერძნულმა გაზეთებმა ახალი, სავარაუდო მწვრთნელების სახელები გამოაქვეყნეს. შაბათს კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ საბერძნეთის მრავალგზის ჩემპიონის ახალი მწვრთნელი გახდა ბელგიელის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი სრეჩკო კატანეცი. 39 წლის სპეციალისტმა კლუბთან სეზონის ბოლომდე შეთანხმება მოაწერა ხელი. თუ მხარეებს თანამშრომლობის პირობები დააკმაყოფილებს, მაშინ შეთანხმება ხელშეკრულების კიდევ ორი წლით განახანგრძლივებასაც ითვალისწინებს. შეგახსენებთ, რომ კატანეცმა სლოვენიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდის უფერული გამოსვლის შემდეგ დატოვა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "რომას" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ დაადასტურა, რომ კლუბის ახალგაზრდა ფორვარდი ანტონიო კასანო, ბოლო დროს, გუნდთან ერთად აღარ ვარჯიშობს. ფეხბურთელი შაბათს ვარჯიშზე არ გამოჩენილა და არც გუნდის რომელიმე ხელმძღვანელთან ჰქონია კონტაქტი. კასანო "რომას" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და ამბიციურ ფეხბურთელს ეს, ალბათ, ძალიან აღიზიანებს. მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მატჩში კასანო მთელი თამაშის განმავლობაში ემზადებოდა მინდორზე გამოსასვლელად, მაგრამ მოედანზე მის გამოჩენას საშველი არ დაადგა. "ჩვენ დამარცხდით გუნდის შემადგენლობაში ეს ბავშვი არის, მაგრამ მან კლუბის მიმართ ინდა იყოს. გუნდი ყველაფერს აკეთებს, მაგრამ გადაწყვეტილებას, კასანოს გარდა, ვერავინ მიიღებს", - განაცხადა "რომას" მწვრთნელმა.

■ ■ ■

**კრივი.** 12-რაუნდიან ბრძოლაში საშუალო წონითი კატეგორიის მოკრივე მარკო ანტონიო ბარერამ ჯონ ტაპია დაამარცხა და, WBC და IBF-ის ვერსიით, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ორთაბრძოლა თანაბარი იყო და მხოლოდ 12 რაუნდის დამთავრების შემდეგ მსაჯებმა ქულებით ბარერას მიანიჭეს უპირატესობა. სპეციალისტების აღიარებით, ბარერა უფრო იმსახურებდა გამარჯვებას, რადგან ის უფრო აქტიური იყო. მეტოქის დარტყმები კი ნაკლებად ეფექტიანი გამოდგა.

"ბრძოლის წინ მწვრთნელმა მითხრა, არაფრის შეგეშინდეს და მხოლოდ შეტევაზე გადადიო. ჩემთვის მთავარი იყო, ცივი გონება შემენარჩუნებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლებოდა, ყველაფერი მომხდარიყო. მეც ვეცადე, მოულოდნელობებს ავრიდებოდი", - განაცხადა ბარერამ.




















გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

# მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო საცურაო კოსტუმი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მობრძანდით მისამართზე
ვაჟა-ფშაველას 45, 30-15 სართული, მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი", ტელ: 93 69 11

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6


## TV პროგრამა 4 ნოემბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 ბურმანთა მეგზური
11.10 "ხალხის პირისპირ"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 ჰერაკლე
19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე"
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
00.20 მხ.ფილმი "მუშკეტერი" მთ.როლებში ჯასტინ ჩემბერსი, კატრინ დენევი
02.30 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
16.05 ოქროს მართვე
16.35 "საქართველო და გარესამყარო"
17.00 "რამპა"
17.05 50-50 17.40 დოკ. სერიალი "დროშა"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "მრავალჟამიერ"
19.05 ვიდეოპატრული
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
20.00 მოამბე
21.00 ტელესერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.10 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი"
23.00 დღის ბოლოს
23.40 სერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "არაფერი პრობერის შესახებ"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
08.00 "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით
12.00 "მო" გამეორებით
13.30 "არასარეკლამო ათეული" გამეორებით
13.45 "ცენტრი" გამეორებით
14.45 მხ.ფილმი
17.00 "კომედია" მხ.ფ. "არაფერია დასაკარგი"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 უცნობი
22.45 "პა-სეანსი"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ამერიკული რაფსოდია".
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "ტალღის ქიმზე"
03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ჯანმრთელობა
21.40 მიზანი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "მეხუთე ელემენტი"

### ევრიკა

10.00 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 "ვესტი"
12.30 "ვარსკვლავები გვამცნობენ"
14.30 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში"
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინალური
20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.40 პირველი ნაბიჯები
21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები
22.35, 00.40 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "ჩიტი მავთულზე"
10.20 მხ.ფ. "კეთილისმყოფელი"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "ხეივანი მთვარის შუქზე"
22.30 ბურთი და მოედანი
22.50 მხ.ფ. "ტელეხედვა"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი
15.00 მხ. ფილმი "სარკეს ორი მხარე აქვს"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "პოლიციის აკადემია"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "ფლაბერი"
22.30 მხ. ფილმი "ბოროტების სავანე"

### მეცხრე არხი

09.00, 15.00 "დილა"
10.00 დოკ. ფილმი "მაიკლ ჯორდანი"
10.50, 12.40, 16.20, 23.50, 00.20 მუსიკა
11.00 მხ. ფილმი "ვედრება"
12.50 დოკ. ფილმი "ივ ვინო ვერიტას"
13.30 მულტფილმი "ფანი-ბანისათვის მოწყობილი შოგა"
14.00 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
14.45 სანახაობა "ყოჩაღები"
16.00 დოკ. ფილმი "დაკარგული ქვეყანა"
16.30 დოკ. სერიალი "ველური ბუნება"
17.45 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
18.15 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
21.10 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ლოს გლასიერისი - ყინულის მაია არგენტია"
21.30 "მთავარი თემა"
22.15 მხ.ფ. "მშველელი"
00.40 მხ.ფ. "სურვილთა ამსრულებელი"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.40 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ქორწილი"
10.00 კომედია "ნიღაბი"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 სათავგადასავლო ფილმი "პატარა პატრიოტი"
13.45 ისტორიული ფილმი "გაუნტი"
16.15, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.20 მულტფილმი "მეფე ლომი"
17.45 მხატვრული ფილმი "ქალბატონის ვიზიტი"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.40 მხატვრული ფილმი "კერკეტი კაკალი-3"
22.00, 00.00 "დღეს"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 მხატვრული ფილმი "უკანასკნელი დონი"
03.30 მელოდრამა "ლოლიტა"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.10 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.15 "აჩიკუდა"
09.50 "სახლიდან გაუსვლელად"
10.20 მელოდია
10.55 ანიმაცია
11.10 "სახლიდან გაუსვლელად"
11.45 "ობიექტივი"
12.45 დოკ.ფ. "კარატე"
13.05 დისნეი და მისი მეგობრები
13.25 "სახლიდან გაუსვლელად"
14.05 სპორტი
18.10 პრესა
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.45 მელოდია
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
21.00 "ლა-ლა-ლა"
21.45 დოკ.ფ. "კარატე"
22.20 "სახლიდან გაუსვლელად"
22.55 "კინოკლუბი " - "უკანასკნელი მოჰიკანი"
00.30 პრესის მიმოხილვა
00.50 "სახლიდან გაუსვლელად"
01.20 "ბიორითმი"
01.45 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Худ.фильм "ТРИ МУШКЕТЕРА. ПОДВЕСКИ КОРОЛЕВЫ"
12.10 "Фабрика звезд"
12.40 "Твинисы"
13.15 Боевик "ФИРМА"
16.15 "Фабрика звезд"
16.50 Док.сериал "Живая природа"
18.00 "Большая стирка"
19.25 "Шутка за шуткой"
20.00 Жди меня
21.00 "Кто хочет стать миллионером?"
22.00 Время
22.40 Сериал "НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ", 1 с.
23.45 Независимое расследование
00.30 "Фабрика звезд"
01.00 "Другое время"
01.40 "На футболе"
02.10 "Море сокровищ"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия".
09.45 Комедия "КАБЕЛЬЩИК" (США)
11.30 "Белоснежка". Мультфильм.
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.15 ВЕСТИ
12.20 Ток-шоу "Цена успеха".
13.15 "Вера, надежда, любовь".
14.15 "Экспертиза".
14.30 ВЕСТИ-МОСКВА. НЕДЕЛЯ В ГОРОДЕ
15.20 "Что хочет женщина"
16.25 х.ф. "БЕЗУМНАЯ ЛОРИ". 1991г. 1-я с.
17.30 "Том и Джерри". Мультсериал
18.20 "Диалоги о животных".
19.20, 21.35 ВЕСТИ-МОСКВА.
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ".
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.50 Сериал "ТАЙГА".
22.50 Телесериал "МАРШ ТУРЕЦКОГО-2. ЗАГОВОР ГЕНЕРАЛОВ".
23.55 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ.
00.30 "Дежурный по стране". Михаил Жванецкий.
01.25 "Синемания".
01.55 "Дорожный патруль".

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"


# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.